WWW.SAERTOGAZETI.ORG

# საერთო გაზეთი

№04 (238) ● 20-26.II.2013 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● www.saertogazeti.org; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი

## ია მეტრეველი:



# „მერამდენედ უნდა მომკლან ჩემს შვილთან ერთად?"

## ვასილ ჭიჭინაძე:

როგორ აპირებს საქართველო ნატოში შესვლას, როცა 2020 წლამდე ნატოს გაფართოება არ იგეგმება?!



## ვახტანგ ხარჩილავა:

# „ქართველ ხალხს უფლება აქვს იცოდეს..."

## ბალათერ არაბული:



ვანოს „პაგონიანი" ჟურნალისტების დახმარებით „ნაციონალები" სამოქალაქო დაპირისპირების გაღვივებას ცდილობენ

# საქართველოს ორად გაყოფის გეგმა ისევ დღის წესრიგში დგას




რატომ სურს სააკაშვილს პარლამენტის შენარჩუნება მაინცდამაინც ქუთაისში?

## ლევიკო ხაფერიძე:



# „ნაციონალები" ბიძინა ივანიშვილის ლიკვიდაციას გეგმავენ?!

## კახა მიქაია:



რა უნდოდა სააკაშვილს ნარაზენში? კახა ლომაიას გარდაცვლილი მამის სანახავად ჩამოვიდა?

## გია ექვთიმიშვილი:

პატიმრებისთვის ჩამორთმეული მანქანები კოდუას ხალხს სასომხეთში გადაჰყავდა და იქ ნახევარ ფასში ჰყიდდნენ... უზარმაზარ თანხებზეა ლაპარაკი...



# რა კავშირია ნატოსა და სალვადორ დალის მისტიურ ნახატს შორის?

ISSN 2233-3983
9 772233 398001

მეჩეთის აშენებამდე იქნებ იმაზეც დავფიქრდეთ, საიდან გაჩნდა აჭარაში იმდენი მუსლიმი, რომ არსებული მეჩეთები არ ჰყოფნით და „გაფართოებას" ითხოვენ?!



redaqtoris gverdi

# `qarTvel xalxs ufleba aqvs icodes...~



ძალიან კარგად მესმის ახალი ხელისუფლების — მართლაც ძნელია საერთაშორისო თანამეგობრობას პირდაპირ უთხრა:

— თქვენგან ნაქები და ხოტბაშესხმული გოგო-ბიჭები, თქვენს მიერ დემოკრატებად და რეფორმატორებად შერაცხულნი, თქვენი მფარველობით და პატრონობით გაზულუქებულ-გათავხედებულნი, დემოკრატები კი არა ჩვეულებრივი კრიმინალები და ბანდიტები არიან, რომლებსაც უამრავი შემზარავი დანაშაული აქვთ ჩადენილიო.

არა მარტო ძნელია ამის თქმა, არამედ სარისკოც არის, მაგრამ ამათთან კოაბიტაცია განა ნაკლებ სარისკო და სახიფათოა?

არ არის გამორიცხული, ამ კრიმინალურ-ფაშისტური რეჟიმის შემოქმედებთან კოაბიტაციობანას თამაში ახალ ხელისუფლებას იმიჯის შელახვად, ნდობის და სიყვარულის დაკარგვად დაუჯდეს.

აი, ეს კი ნამდვილი კატასტროფა იქნება არა მარტო „ქართული ოცნებისთვის“, არამედ მთელი საქართველოსთვის.

**ბიძინა ივანიშვილი ქართველი ხალხის ბოლო იმედია და ამ იმედსაც თუ ჩრდილი მიადგება, ეს ისეთ დეპრესიასა და ნიჰილიზმში ჩააგდებს ქართველ ერს, ამ მდგომარეობიდან გამოსვლა ძალიან გაჭირდება.**

ქართველ ხალხს ჯერ კიდევ აქვს იმის რწმენა, რომ სამართალი იზეიმებს — დამნაშავეები დაისჯებიან, უდანაშაულოდ დასჯილნი გამართლდებიან, შეურაცხყოფილნი, დამცირებულნი და დაჩაგრულნი შელახულ ღირსებას აღიდგენენ.

დღეს ჩვენ მოლოდინის რეჟიმში ვცხოვრობთ, მაგრამ არ შეიძლება ეს მოლოდინი უსასრულოდ გაგრძელდეს: არ შეიძლება სამართლიანობის აღდგენის პროცესმა ტრაგიკომიკური ხასიათი მიიღოს და უმნიშვნელო თანხების სანაცვლოდ მძიმე დანაშაულში ბრალდებულნი გირაოთი თავისუფლდებოდნენ.

**ქართველი ხალხი პურს კი არა სამართალს ითხოვს და ამ მოთხოვნის მიფუჩეჩება დიდი უსამართლობაა.**

დაუსჯელობის სინდრომმა, რომელიც პირველი დღეებიდანვე აჩრდილივით აედევნა დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარ საქართველოს, საძირკველი შეურყია ქართულ სახელმწიფოს, გარყვნა და დააბეჩავა ადამიანები.

**კანონიერი გზით არჩეული ხელისუფლება იარაღით დაამხეს და ვითომც არაფერი! ათასობით ადამიანი მოკლეს, ციხეებში ჩაყარეს, ათიათასები და ასიათასები ქვეყნიდან გააქციეს და ვითომც არაფერი! მოსახლეობა გაალატაკეს, სარჩო-საბადებელი წაართვეს, ანაბრები მოპარეს და ვითომც არაფერი! პარლამენტის კარები წიხლებით შეანგრიეს, ძალაუფლება მიიტაცეს და ვითომც არაფერი! ქვეყნის ტერიტორიის 20% დაკარგეს, ლტოლვილთა ძველ არმიას ახალი არმია დაამატეს, უაზროდ და უმიზნოდ შეაწყლიტეს მტერს ახალგაზრდები და ვითომც არაფერი! ცხრა წელიწადი ქვეყანა საკონცენტრაციო ბანაკად აქციეს და ესეც არაფერი?**



არა მხოლოდ ბოლო ცხრა წელი, არამედ ოცი წელია მიმდინარეობს ქართველთა აშკარა გენოციდის და ქართული სახელმწიფოს მიზანმიმართული ნგრევის ტრაგიკული პროცესი და ამ პროცესის შეჩერება დიდი სიმართლის თქმის გარეშე შეუძლებელია.

**მე პირადად, როგორც ერთ რიგით ქართველს, რატომღაც მგონია, თუ ახალი ხელისუფლება პრინციპულ პოზიციას დაიჭერს, ქართველ ხალხს გვერდით ამოიყენებს და მკაცრ, მაგრამ სამართლიან, დასაბუთებულ პოლიტიკურ და სამართლებრივ შეფასებას მისცემს წინა ხელისუფლების ქმედებებს, საერთაშორისო თანამეგობრობა, უნდა ეს მას თუ არ უნდა, არ შეიძლება სიმართლის მხარეს არ დადგეს.**

ბოლოს და ბოლოს, ქართველი ხალხი სულელი ხომ არ არის, რომ ვერ ხვდებოდეს, როგორ ნაბიჯ-ნაბიჯ, მეთოდურად ანადგურებენ და ავიწროებენ მას, როგორ დევნიან საკუთარი მიწა-წყლიდან, როგორ უნგრევენ სახელმწიფოს.

**ქართველ ხალხს უფლება აქვს იცოდეს, რა ძალები დგანან ამ ოცწლიანი ნგრევის და პარტახის უკან, უფლება აქვს, იცოდეს, ვინ არიან მისი სამშობლოს ნგრევის და განადგურების პროექტის ნამდვილი ავტორები.**

ვფიქრობ, შეცდომას ვუშვებთ, როცა მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობის“ „მოღვაწეობის“ ბოლო ცხრა წელიწადზე ვაკეთებთ აქცენტებს და ამ მონაკვეთს ნგრევის და პარტახის ოცწლიანი პერიოდის კონტექსტში არ განვიხილავთ.

**ჩვენ შეგვაჩვიეს იმ აზრს, რომ საქართველოს უბედურებაში დამნაშავე მხოლოდ ის უვარგისი და გამყიდველი ქართველები არიან, რომლებიც ბოროტად იყენებდნენ ძალაუფლებას საკუთარი ქვეყნის და საკუთარი ხალხის წინააღმდეგ.**

**სამწუხაროდ, ეს მხოლოდ ნახევარი სიმართლეა, ნახევარი სიმართლე კი ტყუილზე უარესია.**

**ვახტანგ ხარჩილავა**

**P.S.** მისტერ ჰოკმარკი, იმ „სახალხო პარტიის“ თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც ყველაზე მრავალრიცხოვნად არის წარმოდგენილი ევროკავშირში, ჩამოვიდა და ცხვირგაკაწრულ ჩიორა თაქთაქიშვილს ესტუმრა თანაგრძნობის გამოსახატავად, ეს იმ დროს, როცა ამ ოცი წლის განმავლობაში, იმავე ევროკავშირიდან, არავის უთქვამს თანაგრძნობის ერთი სიტყვა დაჭრილ-დაჩეხილი საქართველოსთვის, დამცირებული და შეურაცხყოფილი ქართველი ხალხისთვის, ათასობით შვილმოკლული ქართველი დედისთვის, უდანაშაულოდ ციხეებში ჩაყრილი და ნაწამები ადამიანებისთვის.

ჩიორას გაკაწრული ცხვირი და ნასარიძის „სინიაკი“ უფრო შემაშფოთებელია ევროკავშირის წამყვანი პარტიისთვის, აშშ-ს სენატორთა ერთი ჯგუფისთვის და საქართველოს კიდევ სხვა მრავალი „მეგობრისთვის“, ვიდრე მთელი საქართველოს და ქართველი ხალხის ოცწლიანი ტანჯვა-წამება?

**ვ.ხ.**

---

## არასამთავრობო ორგანიზაცია (არარეგისტრირებული კავშირი) „იუსტიციის მუშაკები სამართლიანი საქართველოსთვის“

# განცხადება

იუსტიციის სამინისტრო, პროკურატურა სერიოზულ შეცდომებს უშვებენ, როცა წინასწარ აცხადებენ იმ პირთა ვინაობას, ვინც შეიძლება დაიკითხოს ახლო მომავალში ამა თუ იმ საქმესთან დაკავშირებით.

ამ ფორმით ისინი დემაგოგებს საფუძველს აძლევენ ილაპარაკონ ე.წ. პოლიტიკურ ზეწოლასა და დევნაზე.

ასევე მიგვაჩნია, რომ პროკურატურა არ იყენებს უფლებამოსილებას, როცა რიგ შემთხვევაში არ ასაჩივრებს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში ქვედა რგოლების მიერ მიღებულ უკანონო და დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებებს აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებით.

„იუსტიციის მუშაკები სამართლიანი საქართველოსთვის“ ვაცხადებთ, რომ ოქტომბრის შემდგომმა პერიოდმა, ახალი ხელისუფლების მიერ გამოცხადებულმა სამართლიანობის აღდგენის პოლიტიკამ და სამართალდამცველთათვის, მათ შორის სასამართლოსთვის მიცემულმა თავისუფლებამ, ცხადი გახადა, რომ სასამართლო ჯერ კიდევ აშკარად პოლიტიკურად ანგაჟირებულ და მიკერძოებულ ინსტიტუტად რჩება.

ეს ხელისუფლებას ავალდებულებს, სასწრაფო წესით ჩაატაროს გადაუდებელი სასამართლო რეფორმა.

დღეს არსებულ მოსამართლეთა კორპუსს კი მოვუწოდებთ, გათავისუფლდნენ წინა მმართველობის პერიოდიდან გადმოყოლილი მორჩილების კომპლექსისგან და მათი საქმიანობის ერთადერთ განმსაზღვრელ ნორმად კანონი აქციონ.

მოვუწოდებთ იმ მოსამართლეებსაც, რომლებიც დღემდე ვერ იცილებენ „ჯიბის მოსამართლეთა“ კომპლექსს და ვერ გამოდიან ერთი პოლიტიკური ძალის გავლენისგან — დროებით მაინც გაერიდონ სასამართლო ხელისუფლებაში საქმიანობას და ამით ხელი შეუწყონ ქვეყანაში სამართლიანობის დამკვიდრებას.

---

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# fragmentebi biZina ivaniSvilis gamosvlidan

## პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ყრილობაზე



**მოგესალმებით, მეგობრებო!**
**მივესალმები ყრილობის დელეგატებს,**
**მივესალმები მოწვეულ სტუმრებს,**

...დღეს ჩვენ მოვიწვიეთ „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ პარტიის ყრილობა იმისათვის, რომ კიდევ ერთხელ შევთანხმდეთ ჩვენი პარტიის პოლიტიკური საქმიანობის ძირითად ამოცანებზე და დავადასტუროთ, რომ კოალიციაში შემავალ სხვა პარტიებთან თანამშრომლობით ვაპირებთ ქვეყანაში ნამდვილი, ძლიერი დამოკრატია შევქმნათ და დავუბრუნოთ ადამიანს, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეს თავისუფლება და ღირსება, ალვადგინოთ და დავიცვათ მისი უფლებები, დავამყაროთ ქვეყანაში სამართლიანობა.

...ჩვენ დემოკრატიასა და თავისუფლებაში ცხოვრება უნდა ვისწავლოთ. ჩვენ დიდი ტრადიციების ქვეყანა ვართ, მაგრამ თითქმის არა გვაქვს დემოკრატიაში ცხოვრების გამოცდილება და პოლიტიკური კულტურა. ეს უნდა ვისწავლოთ ყველამ – ხელისუფლებამაც და ხალხმაც. ამ პროცესში შეცდომა ყველამ შეიძლება დაუშვას, მთავარია სწორი დასკვნები გამოვიტანოთ.

...ახლავე უნდა ვისწავლოთ ის, რომ უსამართლობას კანონის ძალით უნდა გავცეთ პასუხი და არა მუშტი-კრივით, რადგან თუ ადამიანებმა გადაწყვიტეს, რომ პირადად უნდა გაუსწორდნენ და ასე აგებინონ პასუხი მოძალადეს, - არაფერი გამოვა, ასე სახელმწიფო არ აშენდება.

ერისა და ქვეყნის კულტურა სწორედ აქ ვლინდება. სწორედ სახელმწიფო და კანონია ის ძალა, რომლის იმედიც უნდა ჰქონდეს კაცს. სახელმწიფომ, კანონმა და სასამართლომ უნდა აღადგინოს სამართლიანობა, თორემ, სხვანაირად, უსამართლობა ახალ უსამართლობას შობს, ძალადობა - ძალადობას, და ქიშპი და ანგარიშსწორება აღარ დამთავრდება, ქვეყანაში განუკითხაობა დაისადგურებს და ფეხზე ვეღარასოდეს წამოდგება.

ჩვენ არ დავუშვებთ რევანშს, მაგრამ გპირდებით, ყველა დამნაშავე აგებს პასუხს კანონის წინაშე!

პირველი ნაბიჯები უკვე გადავდგით სამართლიანობის აღდგენის გზაზე. დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, პარლამენტმა მიიღო ამნისტიის კანონი. ბევრი პატიმარი დაუბრუნდა ოჯახს. გათავისუფლდნენ პოლიტპატიმრებიც, ადამიანები, რომლებიც უბრალოდ ამა თუ იმ პარტიის მხარდაჭერისა თუ განსხვავებული აზრისთვის კრიმინალებად მონათლეს, ადამიანები, რომლებიც უსასტიკეს, შეურცხმყოფელ, არაადამიანურ პირობებში ამყოფეს, იძალადეს მათზე, ჯანმრთელობა შეურყიეს, ცხოვრება დაუნგრიეს.

ახლა პანიკას თესავენ, არიქა, ამნისტიის წყალობით გამოუსწორებელი დამნაშავეები გამოვიდნენ გარეთ და ქვეყანას კრიმინალების თარეში ემუქრებაო. ჩვენი სამართლდამცავი ორგანოები არ დაუშვებენ კრიმინალის გაზრდას და ვინც დააშავებს, ყველა სათანადოდ აგებს პასუხს.

პირობას გაძლევთ, რომ წინ აღვუდგებით ნებისმიერ უკანონობას. ბოლოს და ბოლოს ჩვენს ქვეყანაში კანონის უზენაესობა უნდა დამყარდეს. ყველა ერთი იქნება კანონის წინაშე მიუხედავად ეთნიკური, რელიგიური თუ სექსუალური კუთვნილებისა. პირობას გაძლევთ,

განსხვავებულობის გამო, თავისუფალი აზრისთვის, თავისუფალი სიტყვისთვის აღარავინ დაისჯება.



დემოკრატიულ სახელმწიფოს ვერ ააშენებ, თუ შენი მოსახლეობა დაშინებული და დაჩაგრულია. სახელმწიფოს სჭირდება სამოქალაქო საზოგადოება, მკვეთრად გამოხატული მისწრაფებებითა და ნებით, და რაც მთავარია, თავისუფალი, ღირსეული, დაფასებული და აქტიური ადამიანი - მოქალაქე.

სწორედ ამიტომ, სახელმწიფოს მთავარი საზრუნავი და ღირებულება იქნება ადამიანი და მისი ფუნდამენტური უფლებების დაცვა და განმტკიცება.

...კონსტიტუცია არ შეიძლება იყოს კონკრეტულ კაცსა და კონკრეტულ ვითარებაზე მორგებული. კონსტიტუციაში არ შეიძლება იყოს ისეთი აბსურდული ჩანაწერი, რომელიც, მაგალითად, საფრანგეთის მოქალაქეს აძლევს სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის დაკავების უფლებას, ხოლო თუ იგივე მოქალაქე ამავე დროს საქართველოს მოქალაქეც გახდება, მას უზღუდავს ამ უფლებას, ისევე როგორც პარტიის თავმჯდომარეობის უფლებას.

როგორც უკვე აღვნიშნე, ჩვენი პარტია საპარლამენტო რესპუბლიკის იდეის მომხრეა, თუმცა კოალიციაში არსებობს სხვა მოსაზრებაც, კერძოდ, თავისუფალი დემოკრატები საპრეზიდენტო რესპუბლიკის მოდელს უჭერენ მხარს. აზრთა სხვადასხვაობა სავსებით ნორმალურია და ჩვენ შევთანხმდით, რომ ამ საკითხს კონსენსუსის გზით გადავწყვეტთ და კოალიციის წინასაარჩევნო პროგრამაშიც ზუსტად ასეთი ჩანაწერი გავაკეთეთ. საბოლოოდ, ხალხმა უნდა გადაწყვიტოს და ფართო შეთანხმების საგნად იქცეს კონსტიტუციის ის მოდელი, რომელსაც უახლოესი ათწლეულების განმავლობაში აღარ დასჭირდება გადახედვა.

...კარგად უნდა გავიაზროთ ის, თუ რას ნიშნავს თავისუფლება. თავისუფალი ჰქვია იმას, ვინც თავის გადაწყვეტილებას ემორჩილება; იმას, ვინც არ გაექცევა თავის არჩევანს, ანუ პასუხისმგებლობას იღებს თავის გადაწყვეტილებებზე.

ეს არის ქვეყნის დემოკრატიული მმართველობა, ასეთია ევროპული ქვეყნების ცხოვრების წესი და ჩვენც სწორედ აქეთკენ უნდა მივისწრაფოდეთ.

ჩვენი ქვეყნის სწრაფვა ევროპისკენ არავის კუთვნილება არ არის. გაიხსენეთ ჩვენი ისტორია - საქართველოს საუკუნეების განმავლობაში, ყოველთვის ევროპისკენ ეჭირა თვალი.

ევროპა საქართველოსთვის მხოლოდ პოლიტიკური არჩევანი არ იყო. ამას მოწმობს ჩვენი სარწმუნოება, კულტურა, ქართველი კაცის მსოფლმხედველობა. სულხან-საბას, ილიასა და ვაჟას ქვეყანაში ვერავინ დაიჩემებს, – ვერც ნაციონალური მოძრაობა და ვერც ქართული ოცნება, – რომ ევროპული გეზი მხოლოდ მისი კუთვნილებაა. ტყულია, რომ ევროპული არჩევანი ნაციონალური მოძრაობის კუთვნილებაა, ტყუილია, რომ ვინმე აპირებს ამ გზიდან გადახვევას. ეს არჩევანი ქართველმა ხალხმა დიდი ხანია გააკეთა.

სწორედ ამ ისტორიული მიზნის მისაღწევადაა საჭირო ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანება და ამ გზას ჩვენი ხელისუფლება უპირობოდ ადგას.

ამ გზაზე ყველაზე მეტად ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი ქვეყანა – ამერიკის შეერთებული შტატები გვეხმარება და ამისათვის კიდევ ერთხელ მადლობა მინდა გადავუხადო მათ.

საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანია ურთიერთობა მეზობელ სახელმწიფოებთან, ჩვენი რეგიონის ქვეყნებთან. ამ ორი დღის წინ წარმატებით ჩაიარა თურქეთში ვიზიტმა. ასეთივე წარმატებული იყო სომხეთსა და აზერბაიჯანში ჩვენი ვიზიტები. ურთიერთობის დალაგება დავიწყეთ რუსეთთან ეკონომიკური და კულტურული კავშირების აღდგენის მიმართულებით, პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა, ქართული პროდუქციისთვის იხსნება რუსული ბაზარი, რაც მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი მოსახლეობისთვის.

ჩვენი ქვეყანა უნდა გახდეს შეთანხმების და არა დაპირისპირების ადგილი, საქართველო ბუნებრივად არის დასავლურ და აღმოსავლურ ცივილიზაციათა და კულტურათა თანხმობის ადგილი, და ჩვენ უნდა ვიზრუნოთ, რომ საქართველო პოლიტიკური თანხმობის ადგილიც გახდეს.

...ჩვენ უნდა გავხდეთ დემოკრატიული, სამართლიანი, მშვიდობიანი და ეკონომიკურად მიმზიდველი ქვეყანა. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ ჩვენსკენ მოვატრიალოთ ჩვენი აფხაზი და ოსი ძმები, ომი უკვე გამოვიარეთ და კარგად გვესმის მშვიდობის ფასი. ჩვენ უნდა გამოვნახოთ ერთმანეთის გულებისკენ მიმავალი გზები, ერთმანეთის პატიება უნდა შევძლოთ და ავაშენოთ საერთო სახელმწიფო, რომელიც სამშობლო იქნება ყველასათვის.

აი, ეს გახლავთ ის ძირითადი ღირებულებები და პრინციპები, რომლებსაც ჩვენი პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ ეფუძნება.

ახლა მინდა მოკლედ შევეხო იმას, თუ რა გავაკეთეთ ხელისუფლებაში მოსვლიდან დღემდე და როგორ ვასრულებთ იმას, რასაც დავპირდით ხალხს და რასაც მხარი დაუჭირა ჩვენმა ამომრჩეველმა.

მე დღეს შემიძლია განვაცხადო - მთავრობა თავდაუზოგავად მუშაობს და ამ მუშაობის შედეგებს სულ ცოტა ხანში ყველა იგრძნობთ.

ჩვენ შევამცირეთ ათეულობით მილიონი გაუმართლებელი ხარჯი, აგარაკებსა და ათასგვარ ფუფუნების საგნებში საერთოდ ავკრძალეთ ბიუჯეტის ფულის ხარჯვა.

ვმუშაობთ 24 საათი, მრავალი მიმართულებით – მივხედეთ ჩვენს სოფლებს, დავიწყეთ საგაზაფხულო სამუშაოები, მივხედეთ განათლებას – გავზარდეთ სტუდენტების დაფინანსება, 14 ფაკულტეტი იქნება უფასო, რაც ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფომ დაიწყო ინვესტიციების ჩადება განათლებაში, ვაზღვევთ ყველა მოქალაქეს, გავზარდეთ პენსიები და სოციალური დახმარებები, შემცირდა გადასახადები, დაიწყო ფასების კლება, შევქმენით 3 საინვესტიციო ფონდი, რომელიც ქვეყნის ეკონომიკის ფეხზე დაყენებას მოხმარდება, და მრავალი სხვა, რაზეც აღარ შევაჩერებ თქვენს ყურადღებას.

ქვეყნის ფეხზე დაყენებას სწორი ეკონომიკური პოლიტიკით შევძლებთ. ხელისუფლების წნეხისაგან თავისუფალი ბიზნესი საშუალო კლასის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს და ეს არის ჩვენი მთავარი ამოცანა. ბიზნესთან დამოკიდებულება ყველაზე კარგად წარმოაჩენს ხელისუფლების რეალურ სახეს.

გმადლობთ ყურადღებისთვის.



ეს საზიზღრები და მუტანტები როგორ თამაშობენ გამწარებული მშობლების ნერვებზე.

გირგვლიანების ოჯახი მოკლეს და ახლა რობაქიძეებს ხოცავენ! რა თანხა გადაახდევინეს ბიუჯეტის სასარგებლოდ საპროცესო გარიგებით ამ მკვლელებს 33 ვერცხლი ?!

ჩემი აზრით, მთელი საზოგადოაება უნდა დადგეს ამ ოჯახის გვერდით სხვა გზა არააა, სამართალი არ არსებობს ამ ქვეყანაში?

მეგობრებო, ხომ ხვდებით, რომ ნაცმო ამ ზედმიწევნით გააზრებული პროვიკაციებით ინიციატივას იღებს ხელში, თამაშის წესებს გვახვევს თავს, ისინი გამოდიან ქმედების ინსპირატორად, ჩვენ კი მყისიერად ვრეაგირებთ ამ ქმედებაზე ისე, როგორც მათ ჰქონდათ დაგეგმილი. გაიხსენეთ ''კმარა'', მაშინაც პროვიკაცია მათი ნაცადი ინსტრუმენტი იყო. გახსოვდეთ, რომ კარგად გაწვრთნილ ტოტალიტარულ ბანდასთან გაქვთ საქმე. ძალიან გთხოვთ, შევინარჩუნოთ სიმშვიდე - მხოლოდ ამ სიმშვიდით მოვერევით მათ ხელთ არსებულ ინსტრუმენტებს: საბოტაჟს, პროვოკაციას და ახლა უკვე ეჭვი აღარ მეპარება, რომ დივერსიებსაც.




# xalxis azriT

ბუტას თუ იარაღი ხელში ეჭირა და უმიზნებდა ილლიაში როგორ მოხვდა ნეტა?ეხლა გაახილა თვალი ფირცხალავამ?ამდენი ხანი ჭურში იჯდა?21 წლის შვილი მყავსო და მთელი ღამე არ მიძინიაო, აბა, ერთი ბუტას დედას კითხოს რამდენი ღამე არ უძინია,არაკაცები!

როდემდე, როდემდე უნდა გვაფურთხონ სულში?! ჩვენ მოთმინებას ცდიან თუ ჩვენი უთავმოყვარეობის განსაზღვრა სურთ?!

არაფერი შემთხვევით არ ხდება, ამათ ყველაფერი გააზრებული აქვთ, ყველაფერი გეგმის ნაწილია...ეს ახალი მთავრობა მართლაც დოყლაპიობს....ხალხს სამართალი სწყურია და არა შურისძიება, მაგრამ ესენი ცდილობენ ტემპერატურის აწევას, საგაზაფხულო რევანშისთვის. იმოქმედოს პროკურატურამ და მორჩეს ამ პარდონ-მუსიეთი დაბარებებს!!! გავკარი დასავლეთს რომელიც ჩიორას 8 ში დარტყმულ და მე-6-ე დღეს გატეხილ ცხვირს მოინახულებს და მაგათ საინფორმაციო ველსაც.!!!

იცით არაფერი მნიშვნელობა არა აქვს ამ კადრებს ახლა ყველამ პასუხი აგოს დონაძის ჩათვლით....მისი დედ-მამისთვის ეს ყველაფერი ნათელი იყო.... მაგათ ხალხის გაღიზიანება უნდათ....ყველაზე ძალიან გულს ის მირევს რომ ამას რუსთავი2 გადმოსცემს...

მეტის ღირსები ვართ, ნამეტანი რომ ვდემოკრატიულობდ მაგის ბრალია , დედა რომ მოგ...ნა მაგათვის სხოდუ და ზედ რუსთავი2 დაგვეყოლებინა, გაცილებით მოკლე ენები ექნებოდათ.

ეს საწყალი ბიჭი ჯერ კიდევ სუნთქავს:( ამ არაკაცების შვილები რომ ნახავენ ამ ვიდეოს იამაყონ თავიანთი მკვლელი და არაკაცი მამიკოებით!!! დადგმულია აბა რა არი? ჯერ დაინახეს რომ დაიჭრა და მერე მიზეზი მოიგონეს დაჭრის გვესროდაო და წინააღმდეგობა გაგვიწიაო! თანმივდევრულად გაეხმოვანებინათ მაინც! არაკეცები!

# buta robaqiZis mkvlelobis amsaxveli kadrebi eWvgareSea, rom robaqiZis mkvlelobis Semdeg aris gadaRebuli





ირაკლი ფირცხალავას მიერ „რუსთავი-2“-ში მიტანილი „დოკუმენტური ფილმის“ ნახვის შემდეგ ისმის კითხვა: როდის არის ეს კადრები გადაღებული, სანამ გურამ დონაძე სპექტაკლს დადგამდა თუ მანამდე? აშკარაა, რომ ეს მკვლელობის შემდეგ დადგმული სპექტაკლია, რომელსაც მსახიობებად ქცეული პოლიციელები უნიჭოდ და ყალბად ასრულებენ — კამერის წინ პოზიორობენ, ხაზგასმით მიუთითებენ, სად დევს იარაღი, მეტი დამაჯერებლობისთვის იგინებიან, თუმცა ფილმში კარგად ჩანს, რომ ტრაგედია უკვე მომხდარია.

ამასაც რომ თავი დავანებოთ, თუ მართლაც არსებობდა „რეალური“ კადრები, რას ელოდებოდნენ ცხრა წელი ამ მკვლელობის მასალების ფალსიფიცირებაში ეჭვმიტანილი პირები, მათ ხომ ამდენი წელი საზოგადოება ისედაც სდებდა ბრალს მტკიცებულებების გაყალბებაში? თუ მართლაც ჰქონდათ ამ ახალგაზრდებს იარაღის ამხელა არსენალი, მაშინ რატომღა გახდა საჭირო, ვაკე-საბურთალოს პოლიციის სამმართველოდან იარაღის მოტანა, რასაც ცოცხალი მოწმეც ჰყავს — ამავე სამმართველოს ყოფილი თანამშრომელი სარიშვილი. ამ ადამიანმა გამოძიების დაწყებამდეც განაცხადა ამ ყველაფრის შესახებ. ბუნებრივად ჩნდება ეჭვი, რომ ტელევიზიით გავრცელებული ხსენებული კადრები ეჭვმიტანილთა „გათეთრებას“ ემსახურება.

„ნაციონალები“ გაყალბების, სიცრუის მეთოდებს ვერ ელევიან და, როგორც ჩანს, მანამდე ვერ მოისვენებენ, სანამ აღშფოთებული ქართველი ხალხი ლინჩის წესით არ გაასამართლებს ამდენი უბედურების ჩამდენ ავაზაკთა ხროვას.

# `meramdened unda momklan Cems SvilTan erTad?~



**ია მეტრეველი,** ბუტა რობაქიძის დედა: — „ამდენი წელი ჰქონდათ თურმე ეს კადრები და ახლა გამოაჩინეს. 9 წელი სააკაშვილის პერიოდში სად იყვნენ? როდესაც ბავშვები დაიჭირეს, აიძულებდნენ, რომ ეღიარებინათ თითქოს ერთი იარაღი მაინც ედოთ, 9 თვე ციხეში ჰყავდათ და მერე გამოუშვეს. ბავშვების აღიარება სწორედ იმისთვის სჭირდებოდათ რომ ჩადენილი მკვლელობა გაემართლებინათ. მე არ ვიცი ეს ვინ უნდა დაიჯეროს. ჩემთვის აღმაშფოთებელი ის არის, დამნაშავეები ციხეში რომ იჯდნენ, იმის მაგივრად ისევ ბედავენ ამდენს. დონაძის დროა კიდევ, რომ დონაძე ამდენს ბედავდეს, კიდევ უნდა დამცინოდეს? მერამდენედ უნდა გამომიტანოს განაჩენი? მერამდენედ უნდა მომკლან ჩემ შვილთან ერთად, მაინტერესებს?

...ჩემთვის არავის არაფერი უკითხავს, არც „რუსთავი 2“–ს, რა აზრი მქონდა ამ კადრების გავრცელებაზე. ჟურნალისტისგან გავიგე, რომ ეს კადრები აჩვენეს. „რუსთავი 2“–მა გაავრცელა პირველად სწორედ ის, რომ ბანდიტი იყო ჩემი 19 წლის შვილი. ასევე, „რუსთავი 2“–მა ანახა საზოგადოებას იარაღების ჩადება და პროპაგანდა სწორედ ამ არხმა გადმოსცა, დღესაც ისევ „რუსთავი 2“–ს მიმართა დონაძემ და გაავრცელა მათი მეშვეობით ეს შემზარავი კადრები. ამიტომ, პასუხი უნდა აგოს ყველამ მეორედ ამ საშინელების გაკეთებისთვის, თითქოს ჩვენს ოჯახს არ ეყოფა ის საშინელება, რაც გვიქნეს და კიდევ ამხელა შეურაცხყოფას გვაყენებენ. ეს არის სრული სიცრუე და ჩვენი მოწმე ისაუბრებს ამ კადრებზე და ყველაფერს ნათელს მოჰფენს, რადგან არანაირი იარაღი იქ არ ყოფილა, თავად ჩადეს და მერე გადაიღეს. სწორედ ამის პროპაგანდას ახდენენ ახლა და მერამდენედ მიკლავენ შვილს“.





# saqarTvelos orad gayofis sakiTxi dRis wesrigidan ar moxsnila

## რატომ სურს მიხეილ სააკაშვილს პარლამენტის შენარჩუნება მაინცდამაინც ქუთაისში?

„საერთო გაზეთი“ ადრეც წერდა, რომ პარლამენტის ქუთაისში გადატანის ინიციატივა „ნაციონალებს“, კერძოდ, მათ ბელადს მიხეილ სააკაშვილს, შეიძლება, სულაც არ გასჩენიათ რეგიონის განვითარების კეთილშობილური სურვილით.

არ არის გამორიცხული, ეს იდეა ნაკარნახევი იყოს წარსულის მწარე გაკვეთილის გათვალისწინებით და ძალაუფლების შენარჩუნების ეგოისტური ინტერესებით, ვიდრე ქვეყნის ყველა რეგიონის თანაბარი და ჰარმონიული განვითარების იდეით, როგორც ამას „ნაციონალური მოძრაობა“ აცხადებს.

მოდით, 22 წლით დავიხიოთ უკან და გავიხსენოთ, რა ხდებოდა გასული საუკუნის 90-იან წლებში.

**ყველასთვის კარგად ნაცნობი ძველი ისტორია ათასმეერთედ რომ არ გავიმეოროთ, მოკლედ მოვჭრათ: მაშინ პარლამენტი ანუ იმდროინდელი უზენაესი საბჭო ქუთაისში რომ ყოფილიყო განთავსებული და კონსტიტუციაშიც პარლამენტის ერთადერთ ადგილსამყოფელად ქუთაისი რომ დაეკანონებინათ, არ არის გამორიცხული, ზვიად გამსახურდიას ძალაუფლება შეენარჩუნებინა.**

როგორც ჩანს, ეს დრამატული ამბავი კარგად აქვთ გაანალიზებული სააკაშვილს და მის გუნდს.

ედუარდ შევარდნაძე იგონებს, როგორ გაავლო ელცინმა სქელი წითელი ხაზი რიკოთის უღელტეხილზე და როგორ შესთავაზა: — აღმოსავლეთში იქნებით თქვენ, დასავლეთში — გამსახურდიაო.

შევარდნაძემ მაშინ — დიდი ჰონორარის ფასად ფოთს ადმირალ ბალტინის ფლოტი მოაყენა და ჯარის ნაწილები, რომლებიც გამსახურდიას ემორჩილებოდა, წერტილოვანი საარტილერიო დარტყმებით გაფანტა.

**ელცინის მიერ შემოთავაზებული საქართველოს ორად გაყოფის გეგმა ჩაიშალა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა.**






მიხეილ სააკაშვილმა შესანიშნავად იცის, რომ არსებობს საქართველოს ორად ან რამდენიმე მინიატურულ სახელმწიფოდ დაშლის გეგმა, რომელიც მყისვე ამუშავდება, თუ ამ გეგმის განხორციელებისთვის ხელსაყრელი სიტუაცია შეიქმნება. ასეთი სიტუაცია კი მაშინ იქმნება, როცა ქვეყანაში ორი, რადიკალურად ერთმანეთს დაპირისპირებული ორი ძალა ჩნდება.

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ სააკაშვილს პარლამენტის ქუთაისში გადატანა თავისი პრეზიდენტობის დასაწყისში კი არა, პრეზიდენტობის ვადის მიწურულს „მოაფიქრდა“.

ის კარგად იცოდა რა მოსახლეობის განწყობა მის მიმართ, როგორც ჩანს, არ გამორიცხავდა, რომ შეიძლებოდა 2012 წლის ოქტომბრის არჩევნები წაეგო, რის გამოც მის პოლიტიკურ კარიერას და მის პოლიტიკურ მომავალს შეიძლებოდა დიდი საფრთხე დამუქრებოდა.

**სააკაშვილმა და მისმა გუნდმა, როგორც ჩანს, მოქმედების ორი ვარიანტი შეიმუშავა — ერთი გამარჯვების შემთხვევაში გამოსაყენებლად, მეორე — შესაძლო დამარცხების დროს ასამუშავებლად.**

„ნაცმოძრაობის“ გამარჯვების შემთხვევაში გამოსაყენებელი ვარიანტისთვის მან შეცვალა, გადააკეთგადმოაკეთა კონსტიტუცია და მთელი ძალაუფლება პრემიერ-მინისტრს აჰკიდა, პრემიერ-მინისტრი კი, მოგეხსენებათ, თვითონ უნდა ყოფილიყო.

ამის პარალელურად, როგორც ვთქვით, შემუშავდა მეორე ვარიანტი, რომელიც არჩევნებში დამარცხების და მისი შემდგომი პერიოდისთვის იყო გათვლილი.

პარლამენტის ქუთაისში გადატანა ამ მეორე ვარიანტის მთავარი ღერძი და ხერხემალია.

წარმოვიდგინოთ ასეთი სურათი: რევანშის წყურვილით შეპყრობილი „ნაცმოძრაობა“ დასავლეთ საქართველოში ახერხებს სამოქალაქო დაპირისპირების, გნებავთ, სამოქალაქო დაუმორჩილებლობის ინსპირირებას, თავს უყრის შეიარაღებულ ჯგუფებს, კეტავს რიკოთის უღელტეხილს და ქუთაისში პარლამენტის შენობას იკავებს.

კონსტიტუციის მიხედვით, პარლამენტის ერთადერთი კანონიერი ადგილსამყოფელი მხოლოდ და მხოლოდ ქუთაისია.

ასე რომ, ნებისმიერ სხვა ადგილას, თუნდაც უმრავლესობის მიერ ჩატარებული საპარლამენტო სხდომა არალეგიტიმურად ჩაითვლება.

„ნაციონალური მოძრაობა“ რომ მდგომარეობის დასტაბილიზაციისთვის ამზადებს ნიადაგს, ამაში ეჭვი არავის ეპარება.

ყველაფერი, რასაც „ნაცმოძრაობა“ ქვეყნის შიგნით თუ ქვეყნის გარეთ აკეთებს, სწორედ ამ მიზნისკენ არის მიმართული.

ის ცდილობს, რადაც უნდა დაუჯდეს, საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში „ქართული ოცნება“ და მისი ლიდერი წარმოაჩინოს, როგორც არადემოკრატიული, დიქტატორული ძალა, რომელიც აპირებს შეცვალოს ქვეყნის საგარეო ვექტორები და ევროკავშირის და ნატოს ნაცვლად გეზი რუსეთისკენ აიღოს.

კარგად დაგეგმილი პროვოკაციების და ცილისწამებების დახმარებით „ნაცმოძრაობა“ ისე წარმოადგენს სიტუაციას, თითქოს ახალი ხელისუფლება პოლიტიკური ნიშნით დევნის უდანაშაულო ადამიანებს, თითქოს ქვეყანაში შერჩევითი სამართალი მოქმედებს, თავისუფალ მედიაზე ზეწოლა ხორციელდება, ილახება ადამიანის უფლებები და ა.შ.

სინამდვილის ასე დამახინჯებულად და დეფორმირებულად წარმოჩენა „ნაცმოძრაობას“ იმისთვის სჭირდება, რომ



გაამართლოს ის მკვეთრი, რადიკალურად მწვავე ნაბიჯები, რომლის გადადგმასაც ის მომავალში აპირებს.

ოქტომბრამდე თავის მიტანა, პრეზიდენტის პოსტის ოქტომბრამდე შენარჩუნება პოლიტიკური კარიერის თვალსაზრისით სააკაშვილს არაფერში სჭირდება, ოქტომბერი მას ახალს არაფერს მოუტანს.

**სააკაშვილს ერთადერთი მიზანი აქვს — როგორმე გაწელოს ძალაუფლებაში ყოფნის დრო და ეს დრო სამოქალაქო დაპირისპირების მოსამზადებლად გამოიყენოს.**

**„საერთო გაზეთი“**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# baRaTer arabuli:

# ვანოს „პაგონიანი“ ჟურნალსიტების დახმარებით „ნაციონალები“ სამოქალაქო დაპირისპირების გაღვივებას ცდილობენ

**გვესაუბრება საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, ჟურნალ „ცისკრის“ მთავარი რედაქტორი, პოეტი ბადათერ არაბული:**

— ბოლო პერიოდში საქართველოში საოცრება ხდება — „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ისევ დაიწყო გააქტიურება და დღეს თითქმის ყველა ტელევიზია — „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, „რუსთავი-2“, „მაესტრო“, „კავკასია“ ისე მუშაობს, კაცი იფიქრებს, ხელისუფლებაში კვლავ „ნაციონალები“ არიან და „ქართულ ოცნებას“ თითქოს არც გაუმარჯვია. „ნაციონალები“ ტელევიზიების საშუალებით საკუთარი თავის რეანიმაციას ახდენენ. პრესკონფერენციებით, სატელევიზიო გამოსვლებით შთაბეჭდილება იქმნება, რომ „ნაცები“ არსად წასულან.

**— 8 თებერვალს, საჯარო ბიბლიოთეკასთან განვითარებულ მოვლენებზე რას იტყვით?**

— ეს იყო დადგმული შოუ, სპექტაკლი, რისი დიდოსტატიც „ნაციონალური მოძრაობა“ გახლავთ. მათ იციან, რომ საქართველოში მხარდამჭერები არ ჰყავთ, ეს პროვოკაცია შეგნებულად მოაწყვეს, ამით ნიადაგი შეამზადეს საგარეო პიარისთვის! მათ მშვენივრად იცოდნენ, რომ საჯარო ბიბლიოთეკასთან იმ დღეს უსამართლოდ ციხეში ნაჯდომი და ნაწამები, ცოცხებით გაუპატიურებული ხალხი იმყოფებოდა. ნაცმოძრაობამ სწორად ამ ადამიანებს მოუწყო პროვოკაცია.

**— სცოდავენ თუ არა ამ შემთხვევაში ტელევიზიები, რომლებიც ამ მარაზმს საკმაოდ ინტენსიურად აშუქებენ და თანაც მთავარ ბლოკში.**

— აბსოლუტურად გეთანხმებით, ტელევიზიები ამგვარ კადრებს, სპეკულაციებს არ უნდა აჩვენებდნენ.

**ჟურნალისტები, რომლებიც ასეთ სიუჟეტებზე მუშაობენ, უნდა მიხვდნენ, რომ ეს საქართველოს წინააღმდეგ მიმართული შეთქმულებაა. „ნაციონალები“ ფაშისტური გაერთიანებაა, სატანისტური დაჯგუფებაა, რომელთაც არავითარი სამშობლო, არავითარი ქართული ცნობიერება არ აქვთ, არამედ ერთადერთი ღმერთი — მიხეილ სააკაშვილი ჰყავთ.**

მასმედიას ისევე მოეთხოვება პასუხი, როგორც საქართველოში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს. „ნაციონალური მოძრაობა“ დამნაშავე პარტიაა, რომელმაც 9-წლიანი მმართველობის პერიოდში უამრავი დანაშაული ჩაიდინა — დაჭერები, მკვლელობები, წამება, გაუპატიურება, ტერიტორიების 20 %-ის დაკარგვა და ა.შ. ამ დროს კი ჟურნალისტები აშუქებენ მათ მიერ გამართულ აბსოლუტურად ყველა პრესკონფერენციას, პროვოკაციას. ჟურნალისტებს მინდა მოვუწოდო — ნუ მიიღებთ მონაწილეობას შეთქმულებაში საქართველოს წინააღმდეგ, ეს ღალატის ტოლფასია, ვეცადოთ, დავძლიოთ ყოველი მათი პროვოკაცია, ნუ წარმოვაჩენთ „ნაციონალებს“, როგორც გმირებს, დაჩაგრულებს, ეს ხომ ქვეყნის სირცხვილია. მოსახლეობაზე ამგვარი იდეოლოგიური ზეწოლა, რასაც დღეს ტელევიზიები აკეთებენ, დანაშაულია. ვფიქრობ, „ქართულმა ოცნებამ“ მეტი აქტიურობა და სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს იმ თვალსაზრისით, რომ დაანახოს მოსახლეობას, რამდენად საზიანოა ქვეყნისთვის „ნაციონალების“ ქმედებები. ეს დღეები ვაკვირდები მოვლენებს და ტელევიზიებში „ქართული ოცნების“ ერთი-ორი წევრის გარდა, არავინ მინახავს. თითქმის ყველა არხი მოწოდებული იყო, „ნაციონალური მოძრაობის“ „დაჩაგრული“ სახე ეჩვენებინა.



**— პრობლემაა ისიც, რომ ტელევიზიებში დღის განმავლობაში ერთი და იგივე სახეები: თუთბერიძეები, თავხელიძეები და სხვანი ჩანან.**

— გეთანხმებით, ერთი და იგივე ხალხს, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის“ დაფინანსებული პიროვნებები არიან. მაგალითად, ვინმე მაია ორჯონიკიძე, რომლის გვარი გახლავთ არა ორჯონიკიძე, არამედ ტერ-ოგანოვა. ეს მაია ტერ-ოგანოვა მთელ საქართველოს მოძღვრავს. ასევე ტელევიზიებში დიდად პოპულარულია მიხეილ თავხელიძე, მას უფრო თავთხელიძე შეეფერება, მისი მრწამსისა და აზროვნების გათვალისწინებით ამ კაცის სხვაგვარად მოხსენიება არ შემიძლია. იგივე თუთბერიძე, გაბიანი, რომლებიც ნაციონალური იდეოლოგიის მესიტყვეები და დამცველები არიან, ტელევიზიების წამყვანების გულწრფელად მიკვირს — ნუთუ საქართველოში ამათ გარდა ადამიანები არ მოიძებნა, ვინც შექმნილ ვითარებას მათზე უკეთესად შეაფასებს. მაგრამ ეს ყველაფერი გეგმაზომიერად ხდება. ადამიანები, ვისთვისაც მთავარია ფული, უცხოური გრანტები და არა სამშობლო, ისინი, ფაქტობრივად, საქართველოში უცხო ქვეყნის აგენტები არიან და ქვეყნის სახელის შერყვნას ემსახურებიან.

ყოფილმა პრეზიდენტმა ცოტა ხნის წინ თავისუფალი მედიის განვითარებისათვის 1 მლნ ლარი გამოყო. არ ვიცი, რა მიმართულებით წავიდა ეს თანხა. შესაძლოა, ეს თანხები სწორედ ამ ტელევიზიებში ჟურნალისტებზე გადანაწილდა. სხვაგვარად ვერ წარმომიდგენია, რას ნიშნავს ჟურნალისტების ქმედება, რომლებიც „ნაციონალურ მოძრაობას“ ასეთი დიდი მონდომებით ეფერებიან.

**— როგორ ფიქრობთ, რასთან გვაქვს საქმე, როცა ჟურნალისტი არაფხიზელ მდგომარეობაში ყოფნის გამო პირდაპირი ეთერიდან ერთხელ უკვე გაძევებულ თავხელიძეს მაინც ვერ ელევა და მის „ბრძნულ აზრებს“ ყოველ დღე გვასმენინებს?**

**— ტელევიზიების ნაწილი, რომლებიც ამ პიროვნებებს იწვევენ, როგორც ვთქვი, ეჭვს მიღძრავენ, რომ მოსყიდულები არიან და მათთვის ფული „ნაციონალურ მოძრაობას აქვს გადახდილი.**

წინააღმდეგ შემთხვევაში, სხვა რის გამო შეიძლება მიიწვიო თავხელიძე, როცა მისი ცინიკური დამოკიდებულება ქართველი საზოგადოებისადმი კარგადაა ცნობილი, ამ დროს კი ქვეყნის ღირსეულ მოღვაწეებს, თუნდაც მწერლებს საერთოდ არ იწვევენ. გინახავთ, ბოლო პერიოდში, რომელიმე არხზე ერთი მწერალი მაინც გამოსული?! ეს ბადებს ეჭვს, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ ტელევიზიებისთვის გარკვეული თანხა აქვს გადახდილი და მათგმითითება აქვთ, რომ სწორედ ეს ხალხი მიიწვიონ გადაცემებში.

**— გამოდის, „ნაციონალების“ შეკვეთილ “მუსიკას“ ვუსმენთ?**

— დიახ, ფაქტობრივად, ასეა. „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ და „რუსთავი-2“ კვლავაც აგრძელებს „ნაციონალურ“ პოლიტიკას. ამ ტელევიზიების 80-90 პროცენტი ნაციონალებზე მუშაობს, რაც შემაშფოთებელია. მაგრამ კიდევ უფრო გასაკვირია, როდესაც „მაესტროზე“ ნინო ჟიჟილაშვილის გადაცემა „პოლიტმეტრშიც“ ძალიან ხშირად ვხედავთ თუთბერიძეს, თავხელიძეს და სხვებს. ნინო ჟიჟილაშვილს და სხვებსაც, ვინც ამ პიროვნებების მიწვევას ამჯობინებენ, მინდა ვთხოვო, ის ხალხი მიიწვიონ, ვისაც ჭკუა მოეკითხება. მან უნდა იცოდეს, რომ მაყურებელი ასეთ გადაცემებზე ღიზიანდება და ამით მაყურებელს კარგავს. „მაესტროს“ ბევრი მაყურებელი ჰყავდა, მაგრამ ვიცი, რომ ჟიჟილაშვილის გადაცემას ბოლო დროს აღარ უყურებს. ხალხი ძალიან ღიზიანდება „ნაციონალებისა“ და მათ მიერ დაფინანსებული არასამთავრობოების მიწვევით.

**„ნაციონალების“ დებატებში ჩართვა ხომ საერთოდ, ამაზრზენია. ეს დებატები კი არა, პირდაპირ „ნაციონალების“ პროპაგანდაა და მათი რეანიმაციის, გაცოცხლების მცდელობა.**

ხომ შევთანხმდით, რომ ეს ფაშისტური, მკვლელი რეჟიმი იყო, რატომღა გვასმენინებენ მათ დემაგოგიას, გაუგებარია. მინდა ვუთხრა მათ, როგორც მკვდარი ვერ გაცოცხლდება და საფლავიდან ვერ ადგება, ისე ვერ გამოვა მორგიდან „ნაციონალური მოძრაობა“.

ჟურნალისტებს მინდა მივმართო — დაანებეთ თავი „ნაციონალების“ უკან დევნას. მათი პროპაგანდა, აგიტაცია არც საქართველოს მოსახლეობას და არც თქვენს ტელევიზიებს სასიკეთოს არაფერს მისცემს. ეს, ჩემი აზრით, დანაშაულია, რაშიც წვლილი თითოეულ ჟურნალისტს მიუძღვის, ვინც მათ აგიტაცია-პროპაგანდას ეწევა.

8 თებერვლის მცირე შეხლა-შემოხლაზე კი საზღვარგარეთის პრესა ფეხზე დადგა. უცხოეთში გასული ინფორმაციები საქართველოდანაა მიწოდებული, ტერმინოლოგიაც კი „ნაციონალებისაა“.

იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს „ნაციონალური მოძრაობა“ დაიჩაგრა, გაილახა, ამ დროს კი „ქართული ოცნება“ ხმას არ იღებს. „ქართულმა ოცნებამ“ რეალური სურათის წარმოჩენა უნდა შეძლოს და მოსახლეობას ტყუილისა და მართლის გარჩევაში დაეხმაროს, ამისათვის კი ჯერჯერობით არაფერი კეთდება. ეს დებატები, ალბათ, „ნაციონალებმა“ ჩაიფიქრეს და მიზანსაც მიაღწიეს. ამ კუთხით „ქართული ოცნება“ მოიკოჭლებს. „ნაციონალების“ გასანეიტრალებლად უფრო მეტი მობილიზება, გაერთიანებაა საჭირო. „ნაციონალები“ სექტანტური გაერთიანებაა, ყველა ერთნაირადაა კოდირებული, ერთნაირად საუბრობენ, „ქართულ ოცნებაში“ კი ეს ერთიანობა თითქოს არ შეიმჩნევა, რაც აუცილებელია. ვფიქრობ, პროვოკაციები კიდევ უფრო გახშირდება. „ნაციონალებს“ ჩაფიქრებული აქვთ ეს პროვოკაციები აპრილამდე მიიყვანონ იმიტომ, რომ 6 თვეში პრეზიდენტი უფლებამოსილია, მთავრობა დაითხოვოს და ახალი დანიშნოს. დღეს კონსტიტუციაში ჩასწორებაზე მიდის მუშაობა პრეზიდენტისთვის ძალაუფლების შეზღუდვის თაობაზე, ხედავთ, თუ რა წინააღმდეგობას უწევენ „ნაციონალები“ ამ მუხლის ჩასწორებას. პრეზიდენტის ექსცენტრული, არაპროგნოზირებადი ქცევები მიგვანიშნებს იმაზე, რომ იგი ცდილობს, უცხოეთში შექმნას აზრი, თითქოს ძალადობრივი ხელისუფლება მოვიდა, რომელიც დესტრუქციულად იქცევა, ცვლის პოლიტიკურ ორიენტირს და რუსეთისკენ აპირებს გადახრას და ა.შ. ანუ ქმნიან წინაპირობას იმისათვის, რომ, როცა ამ მთავრობას გადააყენებენ, მათ უცხოეთიდან გამართლება მიეცეთ იმიტომ, რომ საქართველოში მათი მხარდამჭერი კაცი აღარ არსებობს. დღეს „ნაციონალებს“ არეულობა აწყობთ და ამაზე „ქართული ოცნება“ უნდა დაფიქრდეს.




**— თქვენ ახლა ახსენეთ, „ნაციონალებს“ სამოქალაქო დაპირისპირება აწყობთო. 90-იან წლებში სამოქალაქო დაპირისპირებას, საზოგადოების გახლეჩას ტელევიზიებიც ემსახურებოდნენ. რა ხდება ახლა?**

— გეთანხმებით, აბსოლუტურად სწორს ბრძანებთ, მედია ქმნის ამინდს. იგივე 2003 წელს სწორედ „რუსთავი-2“ იყო ის ტელევიზია, რომელმაც ეს ფაშისტური ბანდა მოიყვანა, როგორც რეფორმატორები. ამ ძალამ გადარჩენის ნაცვლად, გაანადგურა ქვეყანა — ათასობით ადამიანი ჩახოცეს ქუჩაში თუ ციხეში, დავკარგეთ ტერიტორიები და ა.შ.

**1990-იან წლებშიც სწორედ იგივე ხდებოდა, სწორედ მოსყიდულმა ჟურნალისტებმა, გაყიდულმა ტელეარხებმა შექმნეს ამინდი, რათა გადატრიალება მომხდარიყო. დღესაც იგივე უნდათ. მერაბიშვილის გამოსვლა სწორედ ამის დამადასტურებელი იყო. მან, ფაქტობრივად, „ნაციონალები“ ჩაუშვა, თუ რას აპირებდნენ, მან შეთქმულების თეორია გაამჟღავნა, 4 წელი ვერ მოვიცდით, ჩავნერგავთ ჩვენს ხალხს, საბოტაჟს მოვაწყობთო. ეს არის პოლიტიკური, ეკონომიკური, იდეოლოგიური საბოტაჟი. მათ უნდათ, სამოქალაქო დაპირისპირების წინაპირობა შექმნან. თუ მიშა მთავრობას გადააყენებს, მაშინ სამოქალაქო დაპირისპირებას წინ არაფერი უდგას,**

ხალხი ამას ვერ აიტანს და საშინელება მოხდება. ხალხი აღარ აპატიებს „ნაციონალებს“ ამას და რაც აფრიკის სახელმწიფოების მეთაურებს უქნეს, იგივე დაემართება „ნაციონალების“ იმ ლიდერებს, რომლებიც დღეს საქართველოში, ფაქტობრივად, სახელმწიფო გადატრიალებას ახორციელებენ. ამ დესტრუქციულ ქმედებას ხალხი „ნაციონალებს“ არ აპატიებს!.. მერაბიშვილმა თქვა, რომ თავისიანებს ჩანერგავს ორგანიზაციებში და შიგნიდან მოაწყობს ძალაუფლების ჩამოშლას. დღეს მართლაც ასეა, ადამიანები, ვინც ხალხს აწამებდა, თითქმის ყველა თავიანთ ძველ თანამდებობებზეა. ეს წინაპირობაა იმისა, რომ „ნაციონალები“ ეცდებიან, შიგნიდან მოახდინონ იმ იდეის განხორციელება, რასაც მერაბიშვილი ამბობდა. ამიტომ საკადრო წმენდა შიგნიდან დროულად უნდა მოხდეს, რომ ქვეყნის მომავალი გადავარჩინოთ!

„ქართული ოცნების“ ყრილობაზე ბიძინა ივანიშვილმაც სწორედ ამაზე გაამახვილა ყურადღება! ხალხი სამართლიანობის აღდგენას ითხოვს!..

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# rogor apirebs saqarTvelo natoSi Sesvlas, roca 2020 wlamde natos gafarToeba ar igegmeba?!



**„საერთო გაზეთის“ სტუმარია დიპლომატი, ყოფილი ელჩი, პარტია „თავისუფალი საქართველოს“ პოლიტსაბჭოს წევრი და საერთაშორისო მდივანი ვასილ ჭიჭინაძე.**

**— ბატონო ვასილ, როგორც ცნობილია, რამდენიმე დღის წინ ევროკავშირის წარმომადგენლებმა მეტად გულახდილად გვაუწყეს, რომ ამ დემოკრატიის ხარისხით ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანებას პერსპექტივა არა აქვს...**

— დღეს ინგლისური თუ იცი და ფრანგული თუ იცი, ე. ი. უკვე ევროპელი ხარ? სასაცილოა ეს ყველაფერი და მეტად პროვინციული ამბიციები. ნუთუ არ შეიძლება ქართველი იყო და ვიღაცის წყალობის მოლოდინით არ ცხოვრობდე? ანდა რას ჰგავს ის, როცა იძახიან, ჩვენ პატარა კი არა, მცირერიცხოვანი ერი ვართ და ამ მცირერიცხოვანმა ერმა მსოფლიოს იმდენი მოღვაწე გაუზარდა, ბარე, დიდ და მდიდარ ქვეყანას რომ შეშურდება და მათი სახელების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს... განსაკუთრებულ უზნეობად და უვიცობად მიმაჩნია ისიც, რომ ამ ერს მუდმივად ტყუილებით კვებავენ და მიშასი არ იყოს: არიქა, ევროპის და „ნატოს“ მატარებელი უკვე ჩამოდგა, არიქა, დროზე შევახტეთ, თორემ მეორედ როდის ჩამოდგება, არავინ იცის, დაგვაგვიანდებას — მუდმივი ძახილი. კაცო, სულ ვიღაცის მატარებლის ჩამოდგომას და მასზე შეხტომას რატომ ლამობ და ცდილობ, სირცხვილი და თავმოყვარეობა არ გაქვს?

**— თანაც ეს მატარებელი ყოველ ჯერზე რელსებიდან გადადის და აქ უბედურების მეტი არაფერი მოაქვს...**

— ქალბატონო ირინა, მაგათი მატარებელი რელსებიდან კი არა, როგორც თამაზ წივწივაძემ თქვა ერთხელ, „დეპოში“ შედის და ამ დეპოს, პოლიტიკის ენაზე ჩიხი ჰქვია, პოლიტიკურ ჩიხში შესვლა და დგომა! ჩვენ, როგორც უნდა ვიფაფხუროთ, არც ევროპაში და არც „ნატოში“ არავინ მიგვიღებს, რადგან მათ თავიანთი პრობლემები აქვთ ყელში ამოსული, როგორ გათავისუფლდნენ ამ პრობლემებისგან იმას ფიქრობენ და ახლა შენ, ტერიტორიებდასაბრუნებელ, მშიერ და ღატაკ ქვეყანას გაგიხსნიან კარებს — მობრძანდი, ბატონოო? მეტიც, ევროპასაც და ამერიკასაც უზარმაზარი ვალები აქვთ, ეკონომიკურმა კრიზისმა მილიონობით ადამიანი უმუშევარი დაუტოვა და შენ სჭირდები ახლა მათ შენი პრობლემებით? ანდა, როცა მთელი ევროპა, ენერგორესურსების მომლოდინე, რუსეთს შესცქერის და ამ დროს შენ ამოუხველი შუაში ეკალივით, შენი დარდი აქვს? უფრო მეტსაც გეტყვით, —

**ხომ ყველამ მოვისმინეთ გერმანიის განცხადება: „2020 წლამდე „ნატოს“ გაფართოება არ იქნებაო“? ახლა რა ვქნათ, „ნატოს“ წევრი ქვეყნის კანცლერის ანგელა მერკელის ნათქვამი ვირწმუნოთ თუ „ნაციონალური მოძრაობისა“, ჩვენ „ნატოში“ მალე შევალთო?**

2020 წლამდე კიდევ 7 წელია და რა ვქნათ, ამ მოლოდინებით, უფრო სწორად, ამ უაზრო მოლოდინებით ვიცხოვროთ? თანაც, 2020-შიც რომ გითხრან — ჯერ ვერ მიგიღებთო, კიდევ 7-8 ანდა 9 წელი უნდა გავიდეს, აზრზე რომ მოვიდეთ, მე, შეიძლება, ძალიან არაპოპულარულ განცხადებას ვაკეთებ ამ წუთში, მაგრამ იგივე „ნატომ“, რეგიონში თავისი წევრი ქვეყანა თურქეთი უკვე დაგვინიშნა მთავარ მოთამაშედ და ირიბად იმასაც მიგანიშნებს: მიდით და თურქებთან ილაპარაკეთო.

**— თქვენი საუბრიდან ისე გამოდის, რომ ერთ ადგილს ვტკეპნით და თურქეთის გარდა სხვა პერსპექტივა არ გაგვაჩნია?**

— არის ასეთი გამოთქმა: „ცუდია ის ჯარისკაცი, რომელიც გენერლობაზე არ ოცნებობსო“ და ამით იმის თქმა მინდა, რომ განა ცუდია, როცა მცირერიცხოვანი ერი ძლიერი მოკავშირის ძებნაში იხარჯება, მაგრამ ამისკენ სწრაფვას მცირეოდენი პრაგმატიზმი ხომ უნდა დაერთოს ზედ? ხვალ და ზეგ,



ჩვენ ხომ არ ვიცით, თვითონ ევროკავშირი, ანდა „ნატო“-ს სამხედრო ბლოკი იარსებებს თუ არა? განა ვერ ვხედავთ, რა ემართება ევროზონის ქვეყნებს საბერძნეთს, ესპანეთს და დანარჩენ ქვეყნებს, რა კრიზისი აქვთ? ვიმეორებ, სწრაფვა დიდი და ძლიერი მოკავშირეებისკენ, რასაკვირველია, ცუდი არ არის, მაგრამ,

**ჩემი ღრმა რწმენით, „ნაციონალური მოძრაობა“ ახალ ხელისუფლებას, კონსტიტუციაში ქვეყნის კურსის შესახებ ჩანაწერით, იცით, საით უბიძგებს — ჩიხისკენ, რადგან, როგორც თვითონ წააგეს საგარეო პოლიტიკაში, იმ მარცხს უკვე ახლა „ოცნებას“ მიაწერენ და მიშა იქნება ბედნიერი. ანუ, უფრო თუ დავკონკრეტდები, რამაც „ნაცებს“ წააგებინა, იმან ხვალ უნდათ მოაგებინოთ. გაიგეთ? ზუსტად იგივე ჩაიდინეს „ნაცებმა“ 8-ში,**

როცა საჯარო ბიბლიოთეკასთან გამიზნული პროვოკაცია მოაწყვეს და საამისოდ პოლიციელების ჩვეული მოქმედების იმედად იყვნენ. იქ პოლიციელებს ერთი კაცი მაინც რომ გაელახათ, დაესისხლიანებინათ და ისე მოქცეულიყვნენ, როგორც „ნაცების“ დროს იქცეოდნენ — სააკაშვილი, უგულავა და დანარჩენები, მაშინვე ატეხდნენ ყვირილს, ხომ ხედავთ, ხალხო, ახალი ხელისუფლება ანუ „ნაცმოძრაობა“ აქეთ დაიწყებდა პროპაგანდას და ურცხვად იმის მტკიცებას, განა ჩვენ ასე ვექცეოდით ხალხსო?

**— მართალი ბრძანდებით, მაგრამ, მოდით, ისევ ევროკავშირის და „ნატოს“ თემას დავუბრუნდეთ და გკითხავთ, ნუთუ ახალი ხელისუფლებაც და ბატონი ივანიშვილი თავად ვერ ხვდებიან, რომ მრავალ ფაქტორთა გათვალისწინებით, ჩვენი ამ ორგანიზაციებში გაწევრიანება უტოპია?**

— სად იყო სააკაშვილი ანდა სხვები, როცა ირაკლი წერეთელი „ნატოს“ გაჰყვიროდა ამ 20-25 წლის წინ? გავიდა 25 წელი და რა, მერე? რაც შეეხება ევროკავშირს, იქაც იგივე მდგომარეობაში ვართ და მეტიც —

**აი, ჩვენი მეზობელი, „ნატოს“ წევრი ქვეყანა, სამხედრო და ეკონომიკური გიგანტი თურქეთი, რამდენი წელია, იხვეწება, ევროკავშირში მიგვიღეთო, მაგრამ არ იღებენ და ჩვენ ასეთი პრობლემებით, ასეთი ეკონომიკით მიგვიღებს ვინმე?**

თავშიც ვთქვი და ვიმეორებ, რომ არ მიგვიღონ, ვუჩივლებთ, სასამართლოებს გავუმართავთ თუ რა? იქნებ გვეფიქრა იმაზე, რომ კონსტიტუციაში ასეთი არასერიოზული ჩანართების გაკეთება აბსოლუტურად მიუღებელია და გვეფიქრა იმაზეც, რომ გლობალური პოლიტიკის პირობებში ძირითადი განმსაზღვრელი არა კონსტიტუციაში ჩაწერილი რომელიმე ერთი ფრაზაა, არამედ არსებული რეალობა და ამ რეალობაში პრაგმატული რეალური ნაბიჯების გადადგმა!

ახლა, ნახეთ, რა მოხდა? ნაცმოძრაობა მიხვდა რა, რომ მსგავსი სისულელეების კონსტირუციაში ჩაწერა აბსურდია, უკან იწვევს კანონპროექტს და უარეს სისულელეზე უბიძგებს „ოცნებას“. კერძოდ, ნაცმოძრაობის წარმომადგენელი გიორგი ბარამიძე აცხადებს, რომ საქართველო მომავალში რომელიმე კავშირში, სადაც კი რუსეთიც იქნება, ვერ უნდა გაწევრიანდეს! ანუ საქართველომ ამ ლოგიკით დღესვე უნდა დატოვოს გაერო, რადგან იქ რუსეთი არათუ არ არის წევრი ქვეყანა, არამედ თავის დროზე ამ ორგანიზაციის შექმნის (გაერო) იდეის ინიციატორია და რუსეთი იმ ხუთ ქვეყანას შორისაა, რასაც გაეროს საბჭო ჰქვია.

რატომ მიწესებ, შე დალოცვილო, წინასწარ რაღაცას და რატომ გინდა, რომ ამ ჩარჩოდან ველარასოდეს დავაღწიო თავი? იქნებ ევროკავშირზე უკეთესი სხვა კავშირები შეიქმნას მომავალში, სადაც რამდენიმე ძლიერი, მდიდარი ქვეყანა გაერთიანდება და ჩემი მდგომარეობიდან გამომდინარე, ახლა იმ კავშირში გაწევრიანება ვუსურვო, კონსტიტუციაში ჩაწერის გამო უარი უნდა ვთქვა და მომავალი უნდა მოვისპო იმიტომ, რომ შენ ვიღაც „ნაცს“ ასე გინდა?

**— ლოგიკურია თქვენი ხედვა...**

— ირინა, თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ მე არაბეთის ქვეყნებში ვმუშაობდი და ასე თუ ისე, კარგად ვიცი იქ შექმნილი არამდგრადი ვითარება. თქვენი აზრით, ნავთობით მდიდარ არაბეთს ამერიკა რატომ არ ანებებს თავს და თავისკენ რატომ ექაჩება?

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ, გარდა ნავთობისა, თავისკენ მიმართოს ის აურაცხელი ფული და ინვესტიცია, რომელიც ამ ქვეყნებში წლების განმავლობაში ასე დაგროვდა! აბა, მითხარით, სააკაშვილის ხელისუფლებამ რამდენი სერიოზული ინვესტიცია განახორციელა არაბული ქვეყნებიდან? არც ერთი, და მინდა, ახალ ხელისუფლებას მოვუწოდო, რომ სწორედ დღეს არის ის დრო, როცა არასტაბილური არაბეთის ქვეყნებიდან შესაძლებელია რამდენიმე დიდი ინვესტიციის განხორციელება და ამ საქმეს, უპირველეს ყოვლისა, ჩვენმა საგარეო საქმეთა სამინისტრომ და ელჩებმა უნდა მიხედონ და არა მათ, ვინც წლობით თითს თითზე არ ადებდა ამ კუთხით.

**— ბატონო ვასილ, როცა ახალი კავშირების შესაძლო შექმნაზე საუბრობდით, ევრაზიის კავშირი რატომ არ ახსენეთ, არაპოპულარული თემაა?**

— ვინ თქვა, რომ არაპოპულარული თემაა? სხვათა შორის, ამ კავშირში, შესაძლოა, ჩინეთი და რამდენიმე ძლიერი სახელმწიფოც გაერთიანდეს და ჩვენ ასე თუ ვეჩქარებით ერთი ადგილი, შესაძლოა, შემდეგ აქეთ გაგვიხდეს სახვეწარი ამ კავშირში შესვლა. თქვენ როგორ ფიქრობთ, რუსეთი თავისი უმდიდრესი რესურსებით, თავისი მძიმე, მსუბუქი თუ კოსმოსური პოტენციალით, თავისი აურაცხელი წიაღისეულით და, გენბაზით, დიპლომატიური რესურსით, გიჟია და საქმე გამოლევია, ამ კავშირს რომ აყალიბებს? ამ კავშირში გაწევრიანება ხომ იმას ნიშნავს, რომ რუსული, ჩინური, ყაზახური და ა.შ. სავაჭრო ბაზარი ყველასი იქნება, ვინც იქ გაწევრიანდება? ამის ღმერთი არ იყოს, განა თვითონ ამერიკა არ გვიკიჟინებს, ჯერ რუსეთთან მოაგვარეთ და დაარეგულირეთ საქმეო? როდემდე უნდა ვიყოთ მუშტების მოღერების და ფუჭი მუქარების რეჟიმში? ან რომ ვიმუქრებით, მაინტერესებს ერთი — ომს მოვუგებთ რუსეთს თუ რა? დიპლომატიის მთავარი არსი რა არის, ჩემო კარგო, იცით? შენი მტერი შენს მოყვარედ უნდა აქციო და ამაშია მთელი დიპლომატიის ხელოვნება და ხიბლი! არსებობს ორი გზა — ერთი, როცა მოლაპარაკებებით უნდა დაარეგულირო ვითარება და მეორე, როცა აგრესიული მეთოდებით უნდა მოაწესრიგო არსებული პრობლემა და მითხარით, ერთი, ჩვენ რომელი გზა გვრჩება რუსეთთან მიმართებაში?

**— ქართველებს მუდამჟამ სხვის მიერ ჩვენი დაპყრობის შიში გვაქვს და დღესაც, როცა დამოუკიდებელი ქვეყანა გვქვია, ზუსტად ეს გვაშინებს თუნდაც რუსეთის, თურქეთის თუ სხვა ქვეყნების მხრიდან.**

**— ჩვენ დამოუკიდებელი სახელმწიფო კი არა, არშემდგარი ქვეყანა ვართ, ჩემო ძვირფასო, და თუ გინდათ სიმართლე, აი, ეს არის.**

ძალიან კი ბაქიბუქობენ ზოგიერთები, მაგრამ ხმამაღლა ვაცხადებ და ვიმეორებ, რომ საქართველო ჯერჯერობით, ამ ეტაპზე არშემდგარი ქვეყანაა და თუ ვცდები, კი, ბატონო, ვიკამათოთ. მე, რასაკვირველია, ჩემს ნათქვამს თავს არავის ვახვევ, მაგრამ პოლიტიკა და ეკონომიკა ერთმანეთზეა მიბმული და, აბა, მითხარით, განა ზუსტად იმ მასშტაბის ეკონომიკა არ გვაქვს, რა მასშტაბებისაც პოლიტიკა? ჩვენ მცირერიცხოვანი ერი ვართ და სასიცოცხლოდ აუცილებელია ერთიც და მეორეც, ზუსტი გათვლებითა და ჩვენს ინტერესებზე მორგებული გვქონდეს. აქედან გამომდინარე კი, ასევე სასიცოცხლოდ აუცილებელია ძლიერი მოკავშირეების ძებნა, რადგან დემოგრაფიულადაც კი კატასტროფულ ვითარებაში ვართ.

**— აბსოლუტურად გეთანხმებით, მაგრამ „ნაციონალური“ ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, ჯერ კიდევ პირველი დამოუკიდებლობის დროს არსებულა კონსტიტუციაში ჩანაწერი, რომ საქართველოს საგარეო კურსი დასავლეთისკენ უნდა იყოს მიმართული და არა ჩრდილოეთისკენ და აღმოსავლეთისკენ.**

— ეგ არის ტყუილი, ტყუილი და კიდევ ერთხელ ტყუილი, რადგან მაშინდელ კონსტიტუციაში კი არა, დამოუკიდებლობის აქტში ასე წერია: „საქართველომ ომიანობის პერიოდში უნდა დაიჭიროს ნეიტრალური პოზიცია“. და იქვე, მომდევნო პუნქტში წერია, რომ: „საქართველოს ყველა მეზობელ ქვეყანასთან უნდა ჰქონდეს კარგი და მეგობრული ურთიერთობა“.ასე რომ, მე ვერ გავიგე, რა ხდება, როცა „ნაცები“ ასე გაწვებიან და „ოცნების“ დიპლომატები, რომლებმაც ამ ჩაწერების შესახებ ჩემზე უკეთ იციან, რატომ არგუმენტირებულად არ პასუხობენ ასეთ ტყუილზე?

მე თავშიც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ: ნაცმოძრაობა „ოცნებას“ იმ გზაზე აბრუნებს, რომელ გზაზეც თითქმის 9 წელი თვითონ ბუქსაობდა და ვერ ამოდიოდა. ამიტომ ბიძინა ივანიშვილმა, რომელიც ჭკვიან კაცად მიმაჩნია, არა მათი კარნახით უნდა იმოქმედოს, არამედ პირიქით და მოახერხოს იმ ჩარჩოდან გასვლა, რომელიც სააკაშვილმა ურაპატრიოტიზმითა და ილუზორული დემოკრატიის ნაზავით გვიბოძა.

**ირინე გოგოსაშვილი**
555 25 43 35

# sanam meCeTis aSenebas daviwyebT, iqneb imazec davfiqrdeT, saidan gaCnda aWaraSi imdeni muslimi, rom arsebuli meCeTebi ar hyofniT da `gafarToebas~ iTxoven?!

მე უკვე დავიღალე იმის წერით, რომ 2003 წლის ნოემბრიდან მოყოლებული, აჭარაში ნელ-ნელა და მიზანმიმართულად თურქული ექსპანსია მიმდინარეობს. ერთ-ერთი პირველი გავყვიროდი, რომ მაღალმთიან აჭარაში ერთიმეორის მიყოლებით შენდებოდა მეჩეთები, ხოლო ადგილობრივი შეჭირვებული მოსახლეობა, სულ მცირედი ანაზღაურების საფასურად, ლამისაა, ემონებოდა თურქეთის რესპუბლიკიდან მოვლენილ სასულიერო პირებს და თითქმის საკუთარ ეზოებს სთავაზობდნენ ახალ-ახალი მეჩეთების ასაგებად.

დიახ, სწორედ მე ავტეხე ყვირილი — მაღალმთიანი აღარიდან მოზარდები მიჰყავთ თურქეთის სასულიერო მედრესეებში და, ქართველებო, დროზე ამოვიღოთ ხმა, თორემ ხვალ უკვე ძალიან გვიანი იქნება-მეთქი!

არც ის დამიმალავს, რომ მუსლიმთა სამმოს თავკაცები მამა-შვილი ვარშალომიძეები არიან და ისიც პირდაპირ ვთქვი, რომ ბათუმში მოღვაწე მუფთი ჯემალ პაქსაძე ზღვარგადასულ აგიტაცია-პროპაგანდას ეწევა, როგორც აჭარაში, ასევე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩასახლებულ აჭარელ ეკომიგრანტებს შორის — ახალი მეჩეთების აშენების კუთხით-მეთქი! სხვათა შორის, მაშინაც მაინტერესებდა და დღესაც ვკითხულობ — 2003 წლიდან მოყოლებული დღემდე, რა ფინანსებით აშენდა ახალი მეჩეთები, მინარეთები და ა.შ. აჭარაში?! რატომ არავინ ინტერესდება, ანდენი თანხები საიდან შემოედინებოდა? ძნელია დაიჯერო, რომ ძვლამდე გამოხრული აჭარის მუსლიმ მოსახლეობას ამდენი შემოწირულობა განეხორციელებინა და სწორედ ამიტომ, დღემდე ვეკითხები მუფთი პაქსაძეს — ვინ აფინანსებდა საქართველოში ამ „საშურ“ საქმეს? ვის ვის და მე კარგად მომეხსენება, აჭარლებს თურქები როგორ „უყვართ“. ისიც კარგად მომეხსენება, რომ „დემოკრატიას“ ამოფარებულმა თურქებმა თუ ქართველმა ვაი-მოხელეებმა რა „მაყუთი“ იშოვეს მღვრიე წყალში. ვიცი ისიც, რომ თურქები ქართველებს ბათუმსა თუ გონიოში ზუსტად ისე ეპყრობიან, როგორც 3 საუკუნის წინ ეპყრობოდნენ და ამას დამიდასტურებს ნებისმიერი აჭარელი, რომელთა თვალწინაც ყოველდღიურად ხდება მსგავსი ამბები.

ვისია დღეს ბათუმის ისტორიული ნაწილი? ვისია და თურქეთიდან ჩამოსახლებული, აწ უკვე საქართველოს მოქალაქე (პასპორტით) თურქების! ვისია სასტუმროები, რომლითაც აგრერიგად იწონებდა თავს „ნაცობა“? ვისია და თურქების! ვისია ფაბრიკები, მინისაწარმოები, ბიზნესი, წვრილი თუ მსხვილი, მაღაზიები, კაფეები და თვით „ბორდელებიც“ კი? ვისია და თურქების! ხოლო ქართველები მათი ქვეშევრდომები, მიმტანები, ლაქიები და ხარჭები არიან. აბა, თურქმა ჩხუბი ატეხოს ქართველთან ბათუმში და თქვენ როგორ ფიქრობთ, ვის დასჯიან? რა თქმა უნდა, ქართველს და ეს ისეთივე სინამდვილეა, როგორიც ის, რომ უკვე ხვალ, იგივე ბათუმში, 3 ხმაში იმღერებენ მოლები ქუთაისის ქუჩიდან, ბენზედან თუ ახალი ბულვარის მიმდებარე ტერიტორიიდან და ამას წინ, ჩვენდა საუბედუროდ, კვლავ ვერავინ აღუდგება! განა სასაცილო და იმავდროულად, სატირალი არ არის ქართველთა აგრერიგად დაბლაგვება-დაჩლუნგება, ძვირფასო მკითხველო? განა სატირალი არ არის, აჭარის დედა-სამძალათ გამუსლიმებულ კუთხეში კვლავ მუსლიმური პროპაგანდა გაძლიერდება და მთიდან თუ ბარიდან „ალაჰ შუქური“ დღეში სამჯერ აღევლინება? ვინ, ვინ მოგცათ თქვენ ამის მანდატი, ამხელა „მისია“, ვინ ოხერმა აგკიდათ ზურგზე და რატომ გინდათ, რომ ამის აღსრულებაშიც ვითარების მთელი სიმძიმე აჭარაში მცხოვრებ გალატაკებულ მუსლიმ ქართველებს აჰკიდოთ ტვირთად? აბა, მითხარით და მაჩვენეთ ის წერილები, რომლის მიხედვითაც აჭარელი მუსლიმები ახალი მეჩეთის აგებას გეხვეწებიან?



რა თქმა უნდა, ჩემო ბატონო, ან ის, რომ აჭარაში ჩამოსული ტურისტებისთვის ახალი სალოცავები უნდა აშენდეს? ანდა რა საჭიროა ორით მეტი, როცა იგივე აჭარაში, გნებავთ, მთაში და გნებავთ, ბარში უკვე აშენდა 200-ზე მეტი მუსლიმური სალოცავი? რა ბედენაა, ვის სახელს დაარქმევენ ახალ მეჩეთს, აზიზიეს თუ ჯემალს? მთავარი ხომ ის იქნება, რომ ამ ჩვენს შობლოსთვის დასაბრუნებლად გატანჯული, მოკლული მემედ აბაშიძის ძეგლი ბათუმში „პადვლის“ ჩასასვლელთან კუთხეში იყოს მიგდებული და მისი მართლაც პატრიოტი შთამომავალი ასლან აბაშიძე კი სამშობლოდან გაძევებული?

რა ხდება ჩვენს თავს და რატომ ვაძლევთ მავანს იმის უფლებას, რომ ძველი იარები ახლით შეგვიცვალოს, ხოლო მომავალში ახალი გაურკვეველი პერსპექტივები გაგვიჩინოს თუნდაც ტერიტორიული თვალსაზრისით?

პირფერობა და ლაქუცი არასოდეს მჩვევია, იციან ეს და რასაც ახლა ვიტყვი, ესეც მხოლოდ სიმართლეა.

ძვირფასო ხელისუფალნო, იქნებ გავარკვიოთ, სტამბულში ვიზიტისას ქართველ მუსლიმთა მიერ შეგროვილი ხელმოწერები ბათუმში ახალი მეჩეთის აგების თხოვნით თან თუ არ გქონდათ წაღებული (ასეთი, ჯერჯერობით, ბუნებაში არ არსებობს) ყოფილ გურჯს რეჯეფ ტაიფ ერდოღანს რის საფუძველზე განუცხადეთ თანხმობა? და ერთიც, თუკი თურქული მხარე ოშკისა და იშხანის რესტავრაციას მართლაც დაიწყებს, რესტავრაციის შემდეგ ამ ქართულ ტაძრებში ქრისტიანული მსახურება განახლდება თუ სამუზეუმო დანიშნულება ექნება მხოლოდ? როგორც ცნობილია, „ნაცების“ ანტიმართლმადიდებლურ აღვირახსნილობას, თუნდაც აზიზიეს მეჩეთის შემთხვევაში, საქართველოს სამოციქულო ეკლესია და მისი მღვდელმთავარი ილია II კატეგორიულად ემიჯნებოდა და იქნებ განგვიმარტოთ, როდესაც ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის პირობას აძლევდით თურქებს — საპატრიარქოდან დასტურის რაიმე დოკუმენტი, ანდა სიტყვიერი ნებართვა გქონდათ? ანდა, როცა გაიძახით: „არსებულ სალოცავში ხალხი აღარ ეტევა, ქუჩაში გარეთ დგანან ათასობით და იქ ლოცულობენო“ (ბათუმში ქუთაისის ქუჩაზე მდებარე მეჩეთს გულისხმობენ). ვინ გითხრათ ეს, რადგან, როგორც უკვე ვთქვი, აჭარა გადაივსო ახალი მეჩეთ-მინარეთებით და ილოცონ, ვინ უშლით ხელს? ძვირფასო ხელისუფალნო, პრობლემა ის კი არ არის (ჩემი ღრმა რწმენით), სად იდგმება ახალი მუსლიმური საკულტო ნაგებობა, არამედ პრობლემა იმაშია, რამ განაპირობა მუსლიმური რელიგიის ესოდენ მომძლავრება გაქრისტიანების გზაზე შემდგარ აჭარაში და თუკი 2003 წლამდე მუსლიმ აჭარელთა პროცენტული მაჩვენებელი 50-55 შორის მერყეობდა, დღეს რატომ აიწია სტატისტიკამ თითქმის 70-75 პროცენტამდე? პრობლემაა აგრეთვე ისიც — რატომ არის წახალისებული და მხარდაჭერილი მუფთი ჯემალ პაქსაძის ნებისმიერი ახირება საქართველოს ხელისუფალთა მიერ და წმიდა ნინოს, ანდრია პირველწოდებულისა თუ მატათას ნაკვალევზე აღმოცენებული ქართული სალოცავების სულიერ მამათა უმცირესი თხოვნაც კი უარყოფილი?! „ახალი მეჩეთის აგების თანხებს ქართული მხარე გადაიხდისო“, — ბრძანა ქალბატონმა ფანჯიკიძემ. კი, მაგრამ, იქნებ ისიც გვითხრათ, ქალბატონო მაია, თუ ამდენი ფული გვაქვს, არ აჯობებდა, ჯერ ბარაკებიდან გამოგვეყვანა მუსლიმი ქართველები, ჯერ მთიან აჭარაში მიგვეხედა დამეწყრილი და გალატაკებული აჭარლებისთვის, ჯერ გაზი, წყალი, გზები და მცირედი სარჩო გაგველო ასეთებისთვის და შემდეგ ამისა გვეკეთებინა ის, რაც მათ ქართველობას თუნდაც სარწმუნოების კუთხით წაადგებოდა? ბოლოს და ბოლოს, იქნებ არც კი დასჭირვებოდათ ზემოთ ჩამოთვლილი სიკეთეები თქვენგან, თუკი მათ ელემენტარულს, მათი ნაჯაფარის გასაღება-გატანაში წაეხმარებოდით?




პროტესტი აზიზიეს მეჩეთის მშენებლობაზე. 4 მარტი, 2012 წ.

რა ველაპარაკო, აბა, ცალტვინა მურმან დუმბაძეს, როცა ურცხვად იმოძღვრება: „მე ბათუმში მეჩეთის აღების წინააღმდეგი არასოდეს ვყოფილვარო“ და იქვე, ასევე ურცხვად გაიძახის, რომ აჭარელი მუსლიმების ქომაგია?! ეეე, მურმან, ალაოდ რომ იყავი, დიდი ხანია, ვიცოდი, მაგრამ თუ ეგრე გაგაქროლებდა დეპუტატის სავარძელი, ამას კი აღარ ველოდი... შე დალოცვილო, მუსლიმთა ქომაგი თუ იყავი, არჩევნებამდე ერთი წლით ადრე რატომ დაიწყე მუსლიმ აჭარელთა სავალალო ყოფაზე ლაპარაკი და აჭარის მაშინდელ მთავრობას შენი ძმის ბიზნესის გამო 8 წელი რატომ ეგებოდი ფიანდაზად?

სხვათა შორის, აჭარლებმა (მუსლიმებმა) დამირეკეს, დუმბაძეს თუ უნდა, საკუთარი სახლის წინ აიშენოს მეჩეთი და ჩვენ ნუ გვახოცავს ხელებსო! — გაიგე? რაც შეეხება 2012 წლის მოწვევის პარლამენტის სხვა დეპუტატებს, ჩემი აჭარელი ძმები და დები, ნათესავები თუ რიგითი ადამიანები ეკითხებიან — კი, მაგრამ ახალმა ხელისუფლებამ ახალი მეჩეთის აგების ვალდებულება რომ აიღო თურქებთან, ჩვენ, აქაურ მოსახლეობას აღარაფერს გვეკითხებიან, გვინდა თუ არა აჭარის დედაქალაქში 3 მეჩეთის არსებობაო?! აჭარის „ეროვნული ფორუმის“ ყოფილი წევრები კი პირადად ისტორიკოს გუბაზ სანიკიძეს მიმართავენ — გამოიყენოს პარლამენტის ტრიბუნა და ყველაფერს თავისი სახელი დაარქვას, თორემ საბოლოოდ დაიჯერებენ იმას, რასაც მასზე ჭორაობენ ხალხში.

საერთოდ, ბათუმში ახალი მეჩეთის აგებასთან დაკავშირებით, „ქართული ოცნების“ ამომრჩევლები ყველა დეპუტატისგან ითხოვენ განმარტებას, აინტერესებთ მათი პოზიცია, სამომავლო ხედვა თუნდაც ამ რაოდენობის თურქთა (24 ათასი) ჩამოსახლების კუთხით და იმ უთანასწორობაზეც სურთ განმარტებები, რაც ბიზნესის წამოწყებას თუ გაფართოებას ეხება, რადგან, როგორც მარწმუნებენ, ქართველებს ამის გასაქანს არავინ მისცემს!

ძვირფასო მკითხველო, ალბათ, დამეთანხმებით, რომ სწორედ საქართველოს პარლამენტში, სწორედ ამგვარი კანონების თუ ინიციატივების განხილვა უნდა მიმდინარეობდეს და არა პრეზერვატივების გამოყენების თუ მსგავსი სისულელეებისა.

თავშიც მოგახსენეთ, და ახლაც ვამბობ: თუკი ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გრიგოლ ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი და უამრავი დიდი ქართველი აჭარის სამშობლოსთვის დაბრუნებაზე დღენიადაგ ფიქრობენ, თურქულ ექსპანსიას ეწინააღმდეგებოდნენ და ამისთვის თავს არ ზოგავდნენ — თქვენ ვინ მოგცათ უფლება, მინისტრებო და დეპუტატებო, დღეს ეს მონაპოვარი ახალ-ახალი მეჩეთების აგებით დააკნინოთ? რაო, იქნებ მათზე დიდი ქართველები და სახელმწიფო მოღვაწეები ბრძანდებით? დღეს თურქეთში ჩაის პლანტაციებსა თუ მანდარინის ბაღებში ათასობით აჭარელი მუსლიმი მონასავით თავჩაღუნული ემსახურება თანამედროვე აღა-თურქებს მცირედი გასამრჯელოს ფასად და იქნებ ახალი მეჩეთის აგების ნაცვლად მათ კეთილდღეობაზე და სამსახურებზეც გეფიქრათ?

თუკი თბილისში რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის მუზეუმი გვაქვს, რატომ იქნებოდა უხერხული, ბათუმში თურქთა ოკუპაციის მუზეუმიც გაგეხსნათ, „ძვირფასო ნაცებო“?

**ირინე გოგოლაშვილი**
555 25 43 35

# nacionalebi biZina ivaniSvilis likvidacias gegmaven?!



**გვესაუბრება სახალხო არტისტი ლელიკო ჯაფარიძე**

**— ბატონო ლელიკო, ძალიან შეშფოთებული შემეხმიანეთ, რა ხდება, რა ახალი ამბავი უნდა ამცნოთ „საერთო გაზეთის“ მკითხველებს?**

— ჩემო ირანდა, მინდა ერთი საგანგაშო ფაქტის შესახებ გიამბო. ახლახან მესტუმრა ერთი ძველი ნაცნობი, რომელმაც არჩევნების შემდეგ დატოვა ნაციონალური პარტია. იგი პოლიტიკაში არ ერევა, ამიტომ ისევ ენდობიან ნაციონალები და თავიანთ შეკრებაზე დაპატიჟეს თურმე, სადაც ღია მოლაპარაკებას შეესწრო და რაც მოისმინა, ძალიან შეშფოთებულმა მომიყვა. წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნებს უთქვამთ: სიტუაცია ჩვენს სასარგებლოდ აღარ

## amaTTan mosalaparakeblad ki ara, mosaSardad ar gaval mindorSi



ვითარდება, ჩვენ წავაგეთ, მაგრამ, სანამ საბოლოოდ გავუნადგურებივართ, იქნებ ისე მოვიქცეთ, როგორც 2003 წელს „ვარდების რევოლუციის“ დროს და შევეცადოთ ბიძინა ივანიშვილის ლიკვიდაციასო. ამაზე მიდის მუშაობაო.

**— ვინ არის ამ იდეის ინიციატორიო, ხომ არ უთქვამს იმ თქვენს მეგობარს?**

— ასეთი აზრები მოსდით, პირველ რიგში, **გიგა ბოკერიას, გიგი თევზაძეს** და **ლევან რამიშვილსო**. ესენი არიან ამ იდეის ინიციატორებიო. შემსრულებლებად კი მოიაზრებიან **ვანო მერაბიშვილი, ახალაიას** ზონდერები, რომლებიც დღესაც შეიარაღებული არიან და იარაღი კონსპირაციულად არის შენახულიო. დაგეგმილი აქვთ რეგიონებში ხალხის აბუნტება, პატარ-პატარა ფეთქებადი კერების შექმნაო. ფიქრობენ, დასავლეთი და ამერიკა მხარს დაგვიჭერსო. აქ უნდა მოხდეს ქვეყანაში ისეთი არეულობა, რომ საზღვარგარეთ სააკაშვილმა თავი გაიმართლოს — ხომ ხედავთ, რა დღეში ჩააგდეს დემოკრატიის მონაპოვარიო.

აშშ-ს უნდა სალაპარაკო ჰქონდეს, რადგან ბიძინა ივანიშვილს რუსეთის კაცად მიიჩნევენ.

უცხოეთი რომ სააკაშვილისკენ — საქართველოს დამაქცევარისკენ იხრება, კიდევ ერთხელ დამტკიცდა, ტახტზე უშნოდ წამოგორებულ ჩიორას რომ ეწვია უცხოელი სტუმარი. ვინ არის ასეთი ეს ჩიორაა თუ ვიღაცა, საინფორმაციო საშუალებები რომ აჩვენებდნენ ყოველ წუთს? 7 ნოემბერს, 26 მაისს, ანდა ციხეებში უამრავი ადამიანი დაინვალიდდა და იმათ რატომ არავინ ნახულობს?!!

ახლა მინდა ვკითხო ჟურნალისტებს: არ მოგბეზრდათ ამდენი „აღშფოთებული ხალხის“ გამოყვანა ტელევიზიით და პრესით? საერთოდაც, მაწუხებს ზოგიერთი თქვენი კოლეგის არაპროფესიული დამოკიდებულება მოსაუბრისადმი. კითხვებს აშკარად მოუმზადებლად სვამენ. ასეთი ჟურნალისტების ეკრანზე გამოჩენა, მგონი, სპეციალურად უნდა იყოს მოწყობილი, საზოგადოება რომ დააბნიონ და მაქსიმალურად მიჩქმალონ სიმართლე და საღი აზრი.

ხალხმა პირველ ოქტომბერს ნაციონალების მოშორებას მოაწერა ხელი და თქვენ, ჟურნალისტები, რატომ გვჩრით მათ თვალში, რატომ წერთ მათ ინტერვიუებს და რატომ აჩვენებთ ტელევიზიით?

**— ეს „ბრალდება“ მე არ მეხება. ბატონო ლელიკო, იცით, რა მაინტერესებს? პირველად ჩვენს გაზეთთან საუბრისას გამოამჟღავნეთ თქვენი პატივისცემა და გულითადი მილოცვა კულტურის ახალი მინისტრისადმი და სთხოვდით მას, დაერეკა და თქვენი მოსაზრებები მოესმინა. შეხვდით მინისტრს? შეგეხმიანათ თუ არა?**

—კი, მივულოცე და ვიფიქრე, გვერდით დავუდგები, მივეხმარები, უფრო იოლი რომ იყოს მისთვის უძველესი ქართული კულტურის მინისტრობა-მეთქი. თანამდებობა და პატივი მე არ მომითხოვია, არაფერს ვითხოვდი და არც ახლა ვითხოვ, გამოცდილება მაქვს და მინდოდა გამეზიარებინა.

ის, რაც დავწერეთ „საერთო გაზეთში„ დაახლოებით ერთი თვის წინ, ვფიქრობ, ბატონ გურამ ოდიშარიას წაკითხული ექნება და რაკი არ შემეხმიანა, ეს კულტურის მინისტრის უკულტურობაზე მეტყველებს. დავუშვათ, არ წაუკითხავს, ესეც სამწუხაროდ მიმაჩნია, რადგან მინისტრი ქართულ პრესას უნდა კითხულობდეს!..

**— ბატონო ლელიკო, კოაბიტაციის პროცესი როგორ მოგწონთ?**

— სააკაშვილმა თქვა: ის, რაც ხდებოდა 9 წლის განმავლობაში — ომი, მკვლელობები, ხალხის შეურაცხყოფა, შიმშილი, დამცირება, წამება დავიწყებას უნდა მიეცეს და ახალი ცხოვრება დავიწყოთო. ახალ ცხოვრებას დავიწყებთ, მაგრამ იმ 9 წლის დავიწყება წარმოუდგენელია. 9 წელიწადი გამწარებული ხალხი, ომის დროს შვილმკვდარი დედები, უამრავი უბედურება და სიდუხჭირე, — ქართველი ხალხი ამას არავის აპატიებს. ეს არ მოხდება.

ამათთან კოჰაბიტაცია არ იქნება. მოსალაპარაკებლად კი არა, ნაციონალებთან მოსაშარდავადაც არ გავალ მინდორში.

**— თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს, რომ ერთხელ და საბოლოოდ დამთავრდეს ნაციონალების პარპაში საქართველოში?**

— პირველ რიგში, ის, რომ არ უნდა მივაქციოთ ყურადღება მათ გამოსვლებს, პრესკონფერენციებს და შეკრებებს. შეიკრიბონ, რამდენიც უნდათ, მოსწყინდებათ და გაჩერდებიან არავინ რომ ყურადღებას არ მიაქცევს. ჟურნალისტებო, შეეშვით ნაციონალებს, თუ მოსყიდულები ხართ ვინმესგან, დაგვანებეთ თავი...

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

---

ჩიორა შენ ხარ ის უნამუსო პროვოკატორი ფეხბურთელი ძალით პენალს რომ ითხოვ სიმულიანტობისთვის და ჭკვიანი მსაჯი კი წითელი ბარათით რომ გაგდებს სტადიონიდან

კატასტროფული სიჩქარით მივექანებით დიდი სამოქალაქო დაპირისპირებისაკენ.სააკაშვილის ყოველი გამოსვლა,ნაციონალების ყოველი შეხვედრა მხარდამჭერებთან-ეს არის საზოგადოებაში მათ მიმართ 9 წლის განმავლობაში დაგროვილი ზიზღის მოქმედებაში მოყვანის დიდი სტიმული.

ჰა, როგორ ხართ გუშინდელი ცემა-ტყეპის მერე? არ გამიკვირდება დღეს კობა და სერგო კობა-სერგობიტაციის რეჟიმში გვიჩვენონ, როგორ კონსტრუქციულად ჟღურტულებენ ერთად....

ძალიან ცუდი სუნი ტრიალებს კონფლიქტის ესკალაცია ბოლოს ფიზიკურ დატაკებამდე მიდის და ამის ნიშნები უკვე არის რა კატა უნდა გამოთხარონ ვერ ვიგებ .... სამოქალაქო დაპირისპირება უნდათ?

ეშმაკთან კოჰაბიტაციის გზა მხოლოდ ჯოჯოხეთში მიდის!




## xalxisazriT

ქუჩა ნაციონალების მოედანია და ნუ იქაჩებით ამ მოედანზე. იქ ბრძოლის წესები არ არსებობენ და მსაჯები კი ძალიან მიკერძოებულები არიან.

კობა დავითაშვილი პროკურატურაში დაუბარებიათ ჩხუბის ამბავზე, და თურმე ასე ამბობს, პროკურატურაში პრინციპულად არ მივალ, რამე თუ უნდათ სახინკლეში მოვიდნენ დასაკითხათო:))

ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვს, მიშას რეჟიმის დროს დასცინებდნენ ნაციონალები და ეშტონ-პრეშტონები ხალხს, თუ ახალი ხელისუფლების დროს? ჯერ-ჯერობით ისევ ნაციონალების ჟრიამულს, მუქარას, ქილიკს და სარკაზმს ვხედავ... ნამდვილად არ ვარ ბრმა. შეღავათი ნამდვილად ვიგრძენი, როდესაც საგრძნობლად შემცირებული შუქის გადასახადი მომივიდა, რისთვისაც გმადლობთ, ბატონებო!!! მაგრამ კაპიკის ფასი ექნება ყოველ თქვენს ასეთ სასიკეთო საქმეს, თუ მთავარს, სამართლის აღდგენას არ მიხედავთ... ყველაფერი გასაგებია, სასამართლო მიშასია... თქვენ თუ დაიჭერთ, ის გამოუშვებს... მესმის ბატონო, მაგრამ ეს მე მესმის... სოფლებსა და რეგიონებში კი მხოლოდ რუსთავი2-ის და საზოგადოებრივი მაუწყებლის ესმით.... ესმით მიშას დაპირებები მეორედ მოსვლაზე... ნაცბანდა ყოველ დღე მასტერკლასს გიტარებთ პიარტექნოლოგიებში. რით ვერ ისწავლეთ, თქვე დალოცვილებო? ასეთი რა დატვირთულები ხართ?! გამოდით, ყოველ დღე გამოდით და აუხსენით და გააგებინეთ ხალხს, რა ხდება... ისეთ უსუსურობას ვგრძნობ, რომ კვლავ “მშრალი ბურთები” მახრჩობს... რაღაცა ქენით!!!

შეიძლება ბევრს ქონდეს პრეტენზიები ახალ ხელისუფლებასთან, არ მოსწონდეს ბევრი რამ, არ მოსწონდეს რომ ჯერ ისევ უმუშევარია, მაშინ როცა ნაცი ჯალათების ნაწილი არათუ დაუსჯელია, არამედ სამსახურსაც ინარჩუნებს, არც ის, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესი ეწირება “კოჰაბიტაციას”, არც ის რომ 3 თვეში ტარიფები ვერ განახევრდა, არც ბიძინას ანეკდოტები, არც კოალიციის რომელიმე წევრი.... მაგრამ! გარდა პრივილეგიადაკარგული ჯალათების და მათი გამპრავებლისა, არავის არ სურს “ნაციონალური მოძრაობის” დაბრუნება ხელისუფლებაში!




**პაატა ცნობილაძე:** ფართომასშტაბიანი ცვლილებებია საჭირო კონსტიტუციაში. ხელისუფლების დანაწილების პრინციპი უნდა განხორციელდეს, როგორც ვერტიკალზე, ისე ჰორიზონტალურად. ხელისუფლების დანაწილება არ ხდება მხოლოდ ცენტრალურ ორგანოებს შორის. ამერიკაში სახელმწიფო მმართველობა იწყე-



ბა ქვემოდან, სწორედ ამიტომ არის, რომ ვიდრე თვითმმართველობის სისტემა არ ჩამოყალიბდება საქართველოში, ვიდრე ეს ისტიტუტი არ გაჯერდება იმ ელემენტებით, რაც საჭიროა სახელმწიფოს სუნთქვისათვის, მანამდე ანარანაირი აზრი არ ექნება მხოლოდ ცენტრალურ დონეზე ფუნქციების განაწილებას.

ჩვენ შევქმენით ძალიან მახინჯი სისტემა, რომლის შედეგადაც მივიღეთ დისფუნქციური პარლამენტი, აღვირახსნილი პრეზიდენტი და ლაგამამოდებული მთავრობა. აქ პიროვნულ ასპექტებს კი არ ვუსვამ ხაზს, უფლებრივ მდგომარეობზე ვლაპარაკობ. პრეზდენტი ჩვენ გვყავდა აღვირახსნილი, ყველა გზა მიდიოდა პრეზიდენტისკენ. არანაირი მექანიზმი პრეზიდენტის გადაწყვეტილების გაპროტესტებისა არ არსებობდა. თუ ჩვენ მივდივართ პარლამენტარიზმის გაძლიერებისააკენ, თუ ჩვენ გვინდა, რომ მართლა შეიქმნას ასეთი სისტემა საქართველოში, ამ შემთხვევაშიც კი, 2013 წლიდან ჩვენ ვღებულობთ ძალიან სუსტ პარლამენტს. ჩვენ გვეყოლება ძლიერი პრემიერ-მინისტრი, გვეყოლება სუსტი პრეზიდენტი, გვეყოლება სუსტი მთავრობა და გვეყოლება კიდევ უფრო სუსტი პარლამენტი. ამიტომ აუცილებელია კონსტიტუციის კიდევ ახალი რედაქცია და მასზე მუშაობა. მინდა ხაზი გავუსვა, რომ დღეისათვის ცნობილი ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ეს ცვლილებები კარგია, არამედ იმითაა მნიშვნელოვანი, რომ ამ წუთას განიმუხტოს კრიზისის გაღრმავების შესაძლებლობა.

**ბიძინა გიორგობიანი:** ბოლო შეხვედრა ზურა ჟვანიასთან იანვრის შუა რიცხვებში მქონდა. როცა მე უკვე ძალიან მძიმე ურთიერთობა მქონდა შსს-ს, კონკრეტულად კი კუდის წარმომადგენლებთან. მე და ზურა ვსაუბრობდით ჩემს მიერ მომზადებულ სატყეო რეფორმის პაკეტზე, რომელიც მთავრობის სხდომაზე კახა ბენდუქიძის ინიციატივით ჩავარდა. ზურას ვუთხარი, რომ ძალიან დაძაბული ურთიერთობა მაქვს კუდთან- მეთქი, რაზეც მან აღნიშნა: არც მე მაქვს საამური ურთიერთობა ზოგიერთ ჩემს ყოფილ პარტნიორთანო. ეს იყო და ეს!

ახალაია, მერაბიშვილი, მესხელი, გივი თარგამაძე მათი რამდენიმე ქვეშევდომი - ეს ხალხი მოქმედებდა ჩემს წინაღმდეგ სააკაშვილის ხელდასმით. სააკაშვილი, ამ შემთხვევაში, მხოლოდ ვარაუდის, ვერსიის დონეზეა, დანარჩენზე კონკრეტულად შემიძლია ვილაპარაკო, შემიძლია დავამტკიცო, როგორ გააყალბეს მათ ეს საქმე, როგორ აიძულებდნენ იუსტიციის სამინისტროს საექსპერტო ბიუროს ექსპერტს ხათუნა ტყეშელაშვილს და კონტროლის პალატის დეპარტამენტის წარმომადგენელს - ნუგზარ ნაჭყებიას. ეს ხალხი მზადაა სასამართლოზე მისცენ ჩვენება, თუ როგორი ზეწოლის, ტერორის ქვეშ ჰყავდათ, მათ პირდაპირ სთხოვდნენ, დაეწერათ ისეთი დასკვნა, რომლის საფუძველზეც მე დამიჭერდნენ.

ამ ადამიანებმა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი და ძვირფასი დრო დამაკარგინეს რვა წელი, ახლა კიდევ დავიწყო წლობით მათ წინააღმდეგ სასამართლოებში სიარული და დრო დავკარგო? მათ ჩემს წინააღმდეგ უამრავი ცრუ მოწმე გამოიყენეს, ზოგი ნებით და ზოგი ზეწოლის შედეგად. ამიტომ ჯერ ეს საქმე უნდა შევისწავლო მთლიანად და ამის შემდეგ გადავწყვიტო, მიღირს კი მათზე



დროის დაკარგვა. მე ხომ ამ დროში შემიძლია უამრავი ჩემთვის საინტერესო და საჭირო საქმე გავაკეთო.

რაც შეეხება პოლიტდევნილებს, ეს არის პოსტსაბჭოთა სივრცეში აღმოცენებულ სახელმწიფოებს შორის პირველი შემთხვევა, როცა პოლიტიკური დევნილებისა და პოლიტპატიმრების აღიარება მოხდა სახელმწიფოს მხრიდან და ეს არის ძალიან დიდი სტიმული საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლის, გააქტიურების, ახალი პოლიტიკური ძალისთვის მაგალითის მიცემის და ახალგაზრდა პოლიტიკოსებისებისათვის, რომლებიც მომავალში გამოვლენ პოლიტიკურ ავანსცენაზე, ეს მათთვის იქნება შესანიშნავი საყრდენი ნიადაგი. და თუ დღევანდელი უმცირესობა პოლიტიკურ დევნილებზე ქილიკობს, დამერწმუნეთ, სწორედ მაგიტომ არიან უმცირესობაში.

ჩემის აზრით, გასული ცხრა წლის განმავლობაში იკვეთება კოლექტიური, პარტიული დანაშაული და არ არის გამორიცხული, რომ ახალი თაობის პოლიტიკოსებმა ან პოლიტიკურმა ჯგუფებმა ეს ყველაფერი სამართლებრივ ჩარჩოში მოაქციონ და დაიწყოს პროცესი ნაციონალური მოძრაობის, როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის დანაშაულობების გამოსაკვლევად, ვინაიდან 2011 წლის მაისის თვეში გირგვლიანის საქმეზე სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსი იძლევა ამის საფუძველს, სადაც მოხსენიებულნი არიან საქართველოს უმაღლესი სახელისუფლებო პირები. ეს იყო მთელი სისტემა, აწყობილი სახლემწიფო აპარატი, რომელიც მოქმედებდა ადამიანების წიანააღმდეგ და იყო სიცოცხლისთვის საშიში.

**არმაზ ახვლედიანი:** გასარკვევია, რა ისეთი კავშირი აქვს სახალხო პარტიას ნაცმოაძრაობასთან, რომ დღემდე შავზე თეთრს გვეუბნებიან და თეთრზე — შავს, რამე საშუალოსაც კი არ არჩევს. შეხვედრისას ვკითხე მათ ამის შესახებ, საოცრება ისაა, რომ როდესაც იქ ერთი ერთზე საუბრობ, მათ სულ სხვა ტონალობა აქვთ, მაგრამ, როცა საქართველოში ჩამოდის სახალხო პარტიის ლიდერი, მოგეჩვენება, რომ ეს არის ნაციონალური მოძრაობის დაქირავებული ლობისტი. ეს საგანგაშო ამბავია. და როცა ვამბობთ, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ 9 წლის განმავლო-



ბაში კარგად იმუშავაო, მე ამას კარგ მუშაობას ვერ დავარქმევ, ეს არის ანომალია. მართალია, გამოიყენეს ტექნოლოგიები, მაგრამ შენ შეიძლება მეცნიერება გამოიყენო კეთილი მიზნებისათვის, და შეიძლება ბოროტებისთვის გამოიყენო.

ვერ ვხედავ აუცილებლობას, კონსტიტუციაში ჩაიწეროს საგარეო კურსის შესახებ. ყველას გვინდა ტემპერატურამ რომ დაიწიოს ქვეყანაში, მაგრამ როცა ტემპერატურა აიწევს, ექიმი ავადმყოფს მაინც ხომ ეუბნება დიაგნოზს, არა?! დიაგნოზი ხომ უნდა დავსვათ?! შეუძლებელია ჩვენ სერიოზულად განვიხილოთ ამ ტიპის ცვლილება კონსტიტუციაში, რაც მე პირადად ბავშვურ ახირებად მეჩვენება, რომ ნამდვილად ევროპისკენ მივდივართ, ნამდვილად ხუთოსნები ვიქნებით და ა.შ. ვნებათღელვა ამით არ მოიხსნება. ყოველ კვირაში, სამწუხაროდ, რაღაც ისეთი ახალი მოხდება, რომ ჟურნალისტებს თემები არ გამოელევათ, რადგან ეს არის მცდელობა, რომ ასეთ შემოთავაზებებში ავყვეთ ნაცმოძრაობას და ვერ მოხერხდეს მთავარ საკითხებზე ყურადღების მიქცევა. და ეს არის ძალიან სახიფათო, რადგან თემების კარნახში ნაცმოძრაობას ტაქტიკური გამოცდილება აქვს, ამასობაში კი საზოგადოება არ მივიყვანოთ მორიგ გაურკვევლობამდე.

**ვახტანგ მაისაია:** რაც შეეხება კოჰაბიტაციის პროცესს, საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი ქეყნის იმიჯისათვის თანამშრომლობის ელემენტი აუცილებელია, ეს საქართველოს პრესტიჟს წარმოადგენს. საქართველოს ინტერესებისათვის მზად ვარ, გარჯვეული ნაბიჯები გადავდგა და მტერთანაც კი ვითანამშრომლო, რათა



ქვეყანა გადავარჩინოთ, რადგან ვიცი, რომ მეორე მხარესაც ქართველები არიან და ამის შეგნება ეყოფათ. თუკი პროცესების განვითარებას განვიხილავთ ეროვნულ დონეზე, აშკარაა, რომ მეორე მხარეს კოჰაბიტაციის სურვილი არ გააჩნია, ჩნდება ორხელისუფლებიანობა. პრეზიდენტი პირდაპირ ამბობს, რომ ის ოპოზიციაშია. მის დაქვემდებარებაშია სასამართლო სისტემა, უშიშროების საბჭო, ცდილობს ისინი გამოიყენოს დესტრუქციული ქმედებისათვის. აქ უკვე გასარკვევია, რამდენად მოახერხებენ მხარეები კონსესუსის მიღწევას. რადგან ერთ მხარეს დგას ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება, რომელმაც წერტილი დაუსვა წინა ტირანულ ხელსუფლებას.

პირადად ჩემთვის კოჰაბიტაციის პრინციპი გაუგებარია, რადგან მე გამოვიარე ის ჯოჯოხეთი, ისე როგორც, ჩემმა მეგობრებმა და თანამბრძოლებმა, რომელთაც თავი ცოცხლად დააღწიეს საპტუსაღოებს და ბევრიც დაიღუპა. ჩემთვის პიროვნულად კოჰაბიტაცია მიუღებელია, თუმცა, როგორც მკვლევარს, კარგად მესმის ხელისუფლებისა, რადგან მას მეტი პასუხისმგებლობა აკისრია და ეს ნაბიჯები უნდა გადადგას.

**კახა კუკავა:** ჩვენ არაფერს ვითხოვთ ისეთს, რაზეც თავად „ქართულ ოცნებას" არ აქვს ხელი მოწერილი, ოღონდ, ვიდრე ხელისუფლებაში მოვიდოდა. ჩვენ ხელოვნურად ვართ ჩამოშორებული საკონსტიტუ-



ციო ცვლილებების პროცესებს. უვე ორი შესწორება არის ინიცირებული და არც ერთში არ იყო შეყვანილი არასაპარლამენტო ოპოზიციის კომისიის წევრები. ამ ოცი წლის მანძილზე ვერ ნახავთ ფაქტს, როცა საარჩევნო ცვლილება განხორციელდა მხოლოდ პარლამენტს შიგნით. ჯერ ხდებოდა ინტერპარტიულ ფორმატში განხილვა და მათ შორის, ძირითდად, არასაპარლამენტო პარტიებთან ერთად და შემდგომ შედიოდა პარლამენტში. სამწუხაროდ, საქართველოში ვერასოდეს დაემთხვა ქავეყანაში არსებული პოლიტიკური მრავალფეროვნება პარლამენტში წარმოდგენილ სპექტრს. და ეს პარლამეტი ყველაზე ნაკლებად ასახავს სპექტრს, რადგან სულ ორი სუბიექტი არის შესული. ამ ორი სუბიექტიდანაც ერთ-ერთი სუბიექტია თუ ბანდა, კიდევ საკითხავია. რეალურად ვხედავთ, რომ გადაწყვეტილებები მიიღება არა დისკუსიისა და კომპრომისის შედეგად, არამედ ხან ერთპარტიულ, ხან ერთპიროვნულ რეჟიმში, რადგან ობიექტურად შეუძლებელია სხვა რეჟიმში გადაწყვეტილების მიღება. და თუკი ხელისუფლება მართლა ევროპული დემოკრატიის გზით მიდის და სნგ-ში არ აპირებს შესვლას, არის რიგი საკითხები, ორგანული კანონები, რომელიც აუცილებლად უნდა იქნას მიღებული ფართო პოლიტიკური კომპრომისის გზით.

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მედიაში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით „საერთო გაზეთის" ჟურნალისტი და ახლა უკვე „ქართული ოცნების" ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატი **ელისო ჩაფიძე** ესაუბრა.

**— ქალბატონო ელისო, რამდენიმე დღის წინ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" ყრილობა ჩატარდა და დელეგატებმა პოლიტსაბჭო აირჩიეს, რომელმაც პარტია უნდა მართოს. პოლიტსაბჭოს წევრად თქვენც აგირჩიეს. კონკრეტულად რა გეგმა აქვს პოლიტსაბჭოს „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" გაძლიერებისა და განვითარებისთვის?**



ამოქმედების თაობაზე, მომზადებული გვაქვს ცვლილება „საზოგადოებრივ მაუწყებელთან" დაკავშირებით. მიმაჩნია, რაც უფრო მეტი დრო გავა კოალიციის ხელისუფლებში ყოფნის საქართველოს მოსახლეობა მედიის თავისუფლების ხარისხის გაზრდას უფრო მეტად იგრძნობს.

**— მედიას თანაბარი კონკურენტული გარემო სჭირდება. როგორ ფიქრობთ, მას შემდეგ რაც ხელისუფლებაში ბიძინა ივანიშვილის გუნდი მოვიდა, შეგიძლიათ თქმა, რომ მედიაში კონკურენტული გარემოა?**

— სამწუხაროდ, კონკურენტულ მედიაგარემოს შექმნაზე საუბარი ნაადრევია. პრეზიდენტმა ვითომ მედიის განვითარების მიზნით არაადეკვატური გადაწყვეტილება მიიღო და სარეზერვო ფონდიდან მილიონი ლარი გამოყო. სინამდვილეში კი მის მიმართ ლოიალურად განწყობილ ჟურნალისტებს ფული გამოუყო, ნაცვლად იმისა, რომ ამ ფულით გაჭირვებულ ადამიანებს დახმარებოდა. ჩვენ დაგვჭირდება გარკვეული დრო, რათა მედიის თავისუფლების მაქსიმალურ ხარისხს მივაღწიოთ.

**— ცოტა ხნის წინ მოძრაობა „სიცოცხლისათვის" თავმჯდომარემ გიორგი ყორღანაშვილმა მიმართვა გაავრცელა და ჟურნალისტებს მოუწოდა უარი თქვან „ნაციონალური მოძრაობის" წევრების გადაცემაში მოწვევაზე, რადგან ამით ქართული მედია ერთგვარად დამნაშავე სააკაშვილის გუნდის რეინკარნაციას ახდენს. თქვენ იზიარებთ ამ პოზიციას?**

— ჟურნალისტებს რჩევის სახით მინდა ვუთხრა, რომ უმჯობესია „ნაციონალებს" უფრო კვალიფიციური შეკითხვები დაუსვან და საზოგადოებას მიაწოდონ ინფორმაცია სააკაშვილის გუნდის მიერ აღებული პრემიებისა და ხელფასების შესახებ. ბატონ გიორგის, როგორც საზოგადოების წარმომადგენელს, თავისი პოზიცია აქვს და მე, როგორც დეპუტატი, ჩემს თავს უფლებას ვერ მივცემ არც მას და არც ჟურნალისტებს ჭკუა ვასწავლო. უბრალოდ, მე, პირადად, ვგრძნობ საზოგადოებაში ინფორმაციის ნაკლებობას. ხალხი ქუჩაში მაჩერებს და უამრავ შეკითხვას მისვამს, რაც სასიამოვნოა, მაგრამ მედიამ თავისი როლი უნდა შეასრულოს და საზოგადოებას მიაწოდოს ინოფრმაცია, მაგალითად, როდის ამოქმედება ჯანდაცვის ახალი პროგრამა, სახელმწიფოს მხრიდან რა სახის დაავადების მკურნალობა დაფინანსდება, როდის დაიწყება, რეგრესის პენსიის გაცემა, რას ნიშნავს საკონტრაქტო სამსახურზე გადასვლას, როდის ამოქმედდება წელიწადნახევრიანი საყოველთაო გაწვევა, ვის შეეხება ის და ა.შ. ადამიანებს სულ არ აინტერესებთ, რას ფიქრობენ ერთმანეთზე კობა დავითაშვილი და სერგო რატიანი, მათ აინტერესებთ თავიანთი ყოველდღიური ცხოვრება და ის, თუ როგორ გადაჭრის სახელმწიფო მათ ყოფით პრობლემებს, რაზეც ინფორმაცია არ აქვთ. ხალხის რეაქციიდან გამომდინარე, შთაბეჭდილება მრჩება, რომ მედიაში არ მიმდინარეობს დისკუსია ამ მიმართულებით.

# eliso CafiZe: samwuxarod, konkurentuli mediagaremos Seqmnaze saubari naadrevia

— პარტიის გაძლიერება, პირველ რიგში, მოტივირებული ადამიანების შემოკრებით უნდა მოხდეს. ესენი, ძირითადად, ის ადამიანები არიან, ვინც ჩვენთან ერთად წინასაარჩევნო „ბრძოლაში" მონაწილეობდნენ. მნიშვნელოვანია, რომ პარტიის საპატიო თავმჯდომარე ბატონი ბიძინა ივანიშვილი იქნება, რაც იმას ნიშნავს, რომ პარტია სერიოზულად აპირებს მუშაობას და ეს იქნება ძალიან საინტერესო პროცესი.

**— საზოგადოების ნაწილი მედიაში საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დადებით ტენდენციებს ხედავს, ნაწილი — არა. თქვენ, როგორც ყოფილი ჟურნალისტი, როგორ შეაფასებთ, პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ქართულ მედიასივრცეში შექმნილ მდგომარეობას?**



— „ქართული ოცნება" საპარლამენტო და აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზე ყველაფერს გააკეთებს, რომ უზრუნველყოს მედიის თავისუფლება. ერთია, მედიას გამოხატვის თავისუფლების მაღალი შესაძლებლობები შეექმნა, მაგრამ ქართული მედია ფეხზე მხოლოდ მაშინ დადგება, როცა ქვეყნის ეკონომიკა აღორძინდება, საშუალო კლასი გაჩნდება, რომელიც მედიის მომხმარებელი იქნება. ბატონი ბიძინა და მისი გუნდი შექმნის სწორედ მმართველობის ისეთ მოდელს, რომელიც უზრუნველყოფს დამოუკიდებელი, თავისუფალი მედიის არსებობას. ის, რომ ქართულ მედიაში დადებითი ტენდენციები შეინიშნება, საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნებშიც აღნიშნა, სადაც ოთხპუნქტიანი მაჩვენებლით მოიმატა მედიის დამოუკიდებლობის ხარისხმა. რამდენიმე დღის წინ ვენაში ვიყავი, სადაც შევხვდი ეუთოში მედიის თავისუფლების საკითხებში წარმომადგენელს დუნია მიატოვიჩს, რომელსაც მივაწოდე ინფორმაცია საქართველოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. უკვე პირველი მარტიდან ამოქმედდება მთავრობის მიერ ინიცირებული ცვლილებები სასამართლოებში ვიდეო, აუდიო გადაღებების

**მირანდა ნაბახტეველი**
598 19 39 14

# nu gavanadgurebT sportul bazebs

დავიწყოთ იმით, რომ სპორტში, როგორც ნებისმიერ დარგში, მთავარი ადგილი მწვრთნელს, აღმზრდელს უკავია. თანამედროვე სპორტში, რომელიც არნახულად განვითარდა, მრავალმხრივ განვითარებული, განათლებული მწვრთნელებია საჭირო. საქართველოს სპორტის აკადემია რომ უფუნქციოდ დაგვრჩა წინა ხელისუფლების წყალობით, ეს ერთი უბედურებაა, მაგრამ სად უნდა იმოღვაწოს სპორტის მუშაკმა? ერთი შეხედვით გულუბრყვილოდ მოგვეჩვენება ეს შეკითხვა.

ქეთევან წამებულის გამზირზე, ქალაქის ცენტრში, კარგად გვახსოვს სტადიონი, რომელსაც გვერდით ჰქონდა ხელოვნურსაფარიანი მოედანი, იგი გვიანობამდე ხალხით იყო სავსე.

ფეხბურთის მოყვარულებს ისიც კარგად ემახსოვრებათ, რომ ჯერ კიდევ 2004 წელს ყველას აოცებდა მინდვრის საფარის მაღალი ხარისხი. ერთ-ერთმა გულშემატკივარმა ისიც კი ინატრა: ნეტავ ტრიბუნებიც მიაშენონ, კიდევ ერთი დიდებული სტადიონი შეემატება ჩვენს ქალაქსო. ტრიბუნების მიშენებას ვინ ჩივის, დღეს მხოლოდ მწვანე მინდორია დარჩენილი. „ხომ დარჩა მწვანე მინდორი, თუ ვინმეს უნდა, მივიდეს და ითამაშოსო", — ამბობდნენ ქალაქის ხელმძღვანელები. სწორედ მათ შევახსენებ, რომ იქ აშენებული სახლების ალყაში საბავშვო ბაღის ბავშვებსაც კი გაუჭირდებათ ბურთის გაგორება.

რომელმაც მხოლოდ გამაჯანსაღებელი დაწესებულების ფუნქცია დაიტოვა, სპორტსმენებისთვის კი დახურულია. ვაკეში, ეკლესიასთან იყო ხელოვნურსაფარიანი მინიფეხბურთის მოედანი, სადაც, ძირითადად, ბავშვები ეუფლებოდნენ სპორტის ამ პოპულარულ სახეობას. ახლა კი იქ გახურებული ბინათმშენებლობაა.

კიდევ ბევრი სპორტული შენობა-ნაგებობის ჩამოთვლა შეგვიძლია, მაგრამ იმის წარმოსადგენად, თუ როგორ ეპყრობოდა წინა ხელისუფლება სპორტს, — საკმარისია. „დინამოს" ჩოგბურთის კორტების განადგურება ბევრი თბილისელის გულისტკივილს იწვევს, თუნდაც მათ სპორტთან შეხება არ ჰქონდეთ. ჩოგბურთის კორტები მხოლოდ სპორტული არენა როდი იყო, მას ერთგვარი ფილტრის ფუნქცია ეკავა თავისი დიდებული გამწვანებით. ყოფილმა ხელისუფლებამ არაფრად ჩააგდო ხალხის პროტესტი და კორტების ადგილზე იუსტიციის სახლია წამოჭიმული.

როგორც უკვე ვთქვით, სიის გაგრძელება კიდევ შეიძლება. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ბევრი სპორტული ბაზა განადგურდა, ბევრიც სავალალო მდგომარეობაშია. „სამაგიეროდ, ხომ შენდებოდა სპორტული მოედნებიო", — შემოგვედავება მავანი. დიახ, აშენდა „ოლიმპის" სპორტული კომპლექსი, გარემონტდა რამდენიმე დარბაზი, მაგრამ რაც განადგურდა, იმასთან შედარებით



ზღვაში წვეთად ჩანს გაკეთებული.

თბილისის მერიის მფლობელობაში იყო ყოფილი 35-ე საფეხბურთო სკოლის ბაზა (ნინოშვილისა და კონსტიტუციის ქუჩებს შორის), თავისი სტადიონით, დარბაზით. მოკლედ რომ გითხრათ, იქ სპორტის მრავალ სახეობაში იყო შესაძლებელი ვარჯიში. ახლა ბაზის ტერიტორიაზე ბაზარია გაშენებული, დარბაზში კი ხორცი და ყველი იყიდება. ვერაფერს იტყვის ადამიანი, საკმაოდ ორიგინალურია სპორტული ბაზის ნაცვლად ბაზრის გახსნა. იქვე, ბაზრის მოპირდაპირედ, ნინოშვილის ქუჩაზე მარტივი ტიპის მოედანი გააშენეს, დიდი ზარზეიმით გახსნეს, ნახეთ, ხალხზე როგორ ვზრუნავთო. მართალია, ჩვენ პროკურორ-მოსამართლეები არ ვართ, მაგრამ ყოველგვარი შელამაზების გარეშე პირდაპირ ვიტყვით — აღნიშნული სპორტული ბაზის გასხვისება და განადგურება დანაშაულია ხალხის, სპორტის წინაშე. დიახ, დანაშაული! განა არ შეიძლებოდა სპორტული ნაგებობის გარემონტება, რისი სურვილიც ჰქონდათ ვეტერან სპორტსმენებს, მაგრამ ახლოსაც არ გააკარეს. ტერიტორია ვახტანგ რჩეულიშვილმა შეიძინა, როგორც ამბობენ, მას ცოლის და რუსუდან კერვალიშვილი დაეხმარა. არც გაუჭირდებოდა პარლამენტის ყოფილ დეპუტატს, რომელიც იმჟამინდელი მმართველი პარტიის აქტიური სახე გახლდათ.

ვაკის დახურული სპორტული აუზი კახა ბენდუქიძის ოჯახის საკუთრებაა,

რაც ჩამოვთვალეთ, თბილისის მჭიდროდ დასახლებული უბნებია. ზოგიერთ ოჯახს სპორტული მოედანი კი არა, ეზოებიც არ გააჩნია. ან რატომ უნდა იარონ ისნის რაიონიდან ბავშვებმა ქალაქის სხვა რაიონში, როდესაც მათ საკუთარი მოედანი ჰქონდათ. უცხო ქვეყნიდან არ მოვსულვარ და კარგადაც მესმის, რომ, როდესაც ქვეყანაში სიდუხჭირე გვქონდა, ვიღაცას შეიძლება სასაცილოდ მოეჩვენოს სპორტულ ბაზებზე საუბარი. ჩვენ ისიც კარგად გვესმის, რომ უამრავ უსახლკაროს დაბინავება სჭირდება, ბინათმშენებლობა აუცილებელია ნებისმიერ ქვეყანაში, მაგრამ არა სპორტის ხარჯზე. ამასთან, ჩვენ ვსაუბრობთ არა ახალი ბაზების, არამედ არსებულის შენარჩუნებაზე.

ყოფილმა ხელისუფლებამ თავის გაუაზრებელი, დანაშაულებრივი ქმედებით უამრავი პრობლემა დაგვიტოვა მემკვიდრეობად, მათ შორის, სპორტში. დანგრეულს და განადგურებულს აღარაფერი ეშველება. სპორტული ნაგებობების და თვით სპორტით ბევრმა ყოფილმა ჩინოვნიკმა მოითბო ხელი. რაც გადარჩა, ახლა იმის შენარჩუნებაზე უნდა იზრუნოს ხელისუფლებამ. სპორტი ფაქიზი დარგია, დანგრევა ადვილია, მაგრამ ძველი დიდების და შედეგების აღდგენა ძნელია...

**გია ბურდული**
551 71 27 07

# ქრიმინალი მცხეთურად

gagrZeleba. dasawyisi ix. `saerTo gazeTi~ #02

ცეზარ ჩოჩელის განცხადებამ ყველა ხელისუფლება, მათ შორის „ვარდოსნები“ იმიტომ მებრძოდა და დაჭერას მიპირებდა, რომ ნიჭიერი ბიზნესმენი ვარ და ჩემი ბიზნესის გამო მეშტერებიანო, ძალზე გააღიზიანა მცხეთის რაიონის მოსახლეობა. ჩოჩელს ის არ უთქვამს, რეალურად რის გამოც ემტერებოდა თუნდაც შევარდნაძის ხელისუფლებაო. „საერთო გაზეთი“ უკვე წერდა, რომ ჩოჩელი მართლაც ჰყავდა დაკავებული მცხეთა-მთიანეთის სამხარეო პოლიციას ფალსიფიცირებული არყის წარმოების გამო და საწყობებიც დაულუქეს. როგორც შევიტყვეთ, მას სხვა „ცოდვის“ გამოც ჰქონია პრობლემა ხსენებულ პოლიციასთან, ნარკობიზნესშიც ყოფილა ეჭვმიტანილი. მას ლუდის წარმოებისთვის მასალები ვლადიკავკაზიდან შემოჰქონდა და ავ ენებს თუ დავუჯერებთ, პარალელურად ე.წ. შავი ოპიუმის „იმპორტსა“ და რეალიზაციასაც ეწეოდა. ამ „ბიზნესს“ უშუალოდ ჩოჩელის მეუღლე უწევდა ლობირებას, რის შესახებაც მთელი ქსნის ხეობა ლაპარაკობდა. არსებობდნენ ახალგორელი მოწმეები, რომლებიც მათგან პირადად იღებდნენ ამ ნარკოტიკსო.

რაც შეეხება ნაცხელისუფლების ჩოჩელთან დაპირისპირებას, გავრცელებული ინფორმაციით, 2003 წლის საარჩევნო კამპანიისას, ჩოჩელის მამა და მათი ახლობლები ახალგორში ჩასულ სააკაშვილსა და მის მომხრეებს ქვებითა და ჯოხებით გამოენთნენ. ასე რომ, ამ დაპირისპირებაში ჩოჩელის ბიზნესი არაფერ შუაშია. შემდეგ ჩოჩელმა მერაბიშვილის ცოლთან გამოძებნა ნათესაური კავშირები, მერაბიშვილს დაუახლოვდა და „ჩერეზ“ ვანო, სააკაშვილზე გავიდა. შემდგომში უკვე ნაციონალების ყულაბა იყო, თორემ სააკაშვილს დღემდე დიდად არ ეპიტნავებოდა ჩოჩელიო. ახლა თურმე ბიძინა ივანიშვილი დაპირისპირებია ამ „ნიჭიერ“ და „უმწიკვლო“ ბიზნესმენს მისი ბიზნესსაქმიანობის გამო. ჩვენს რესპოდენტებს აინტერესებთ, რატომ არაფერს ამბობს ჩოჩელი „ქართუ ბანკიდან“ გამოტანილ უზარმაზარ კრედიტებზე, რის სანაცვლოდაც თავისი ქონება ჰქონდა დააიპოთეკებული. ისაც გაიხსენოს, როგორ შეასრულა სააკაშვილის დავალება, ამ ბანკისთვის ვალი რომ არ გადაეხადაო.

ხსენებულ კრედიტთან დაკავშირებით „საერთო გაზეთმა“ საინტერესო ინფორმაციები მოიპოვა. 2007 წლის მარტში, ჩოჩელის კუთვნილ შპს „ინტერპლასტსა“ და „ქართუ ბანკს“ შორის გაფორმდა გენერალური ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც 22 საკრედიტო ხელშეკრულება გაფორმდა ჯამში 17.888.225 ლარზე და 11.443.351 აშშ დოლარზე. მიღებული სესხის დაბრუნების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა „ინტერპლასტის“ კუთვნილი უძრავი ქონება 55.800 კვ.მეტრი მიწის ნაკვეთი (მდებარე თბილისი, სოფ. დიდი ლილო) მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით და დაგირავდა ამ საწარმოს კუთვნილი მოძრავი ქონება. ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლის შესახებ ხმამაღალი განცხადება რომ გააკეთა, მოკლე ხანში, ანუ 2011 წლის მიწურულს საქართველოს კანონში „სააღსრულებო წარმოების შესახებ“ შევიდა მთელი რიგი ცვლილებები (არავის ეპარება ეჭვი, რომ ეს ცვლილებები ბიძინა ივანიშვილის დასასჯელად მიიღო ნაცხელისუფლებამ). შპს „ინტერპლასტის“ მესვეურებმა ისარგებლეს ამ „ნოვაციით“, რომ მიეთვისებინათ „ქართუ ბანკის“ მიერ მათთვის გამოყოფილი კრედიტი, რომლის საფუძველზე წარმოშობილი საკრედიტო დავალიანება 2012 წლის იანვრის ბოლოსთვის (ამ დროს უნდა ჩატარებულიყო აუქციონი) 5.709.664,24 დოლარს და 7.740.449,54 ლარს შეადგენდა. ასე რომ, ჩოჩელმა კარგად შეასრულა სააკაშვილის „დავალება“ და მისი კუთვნილი შპს-ს მეშვეობით „ქართუ ბანკს“ დიდი ოდენობით ზიანი მიაყენა. ცეზარ ჩოჩელის მამა დევს) 40 ჰა მიწის შესყიდვა უნდოდა. მან შესაბამის სამსახურში განაცხადი შეიტანა და ბაჟიც გადაიხადა. აუქციონის დაწყებიდან 10 წუთში მცხეთის იმ უბანში, სადაც ეს სამსახურია განთავსებული, მოულოდნელად დენი გაითიშა. ამ სამსახურს „დვიჟოკი“ აქვს, მაგრამ ვითომ ვერ ჩართეს, ასე რომ, მიდელაშვილმა აუქციონში მონაწილეობის მიღება ვერ შეძლო, რადგან დროში ისე იყო შეზღუდული თბილისში ჩასვლასაც ვერ ასწრებდა, რომ იქ მაინც ესარგებლა კომპიუტერით (აუქციონი ინტერნეტით იმართება). ამ მეწარმეს თურმე მანამდე აფრთხილებდნენ ადგილობრივი ნაციონალები, ეს მიწები ჩოჩელს უნდა და ტყუილად წვალობო, მაგრამ არ დაიჯერა. ეს ერთი ფაქტი გითხარით და სხვა ფართობებთან დაკავშირებითაც იგივე სიტუაცია იქნებოდაო. წყაროს თქმით, მათ



ახლა რომ ყვირის, სააკაშვილმა და მერაბიშვილმა დამიღუპეს შვილიო, მაგისი შვილი სარგებელს რომ არ ელოდეს, საკუთარ ძმას არ დაუდგება გვერდითო.

„საერთო გაზეთი“ იმასაც წერდა, როგორ წაართვეს ცეზარ ჩოჩელის გუბერნატორობისას ქსოვრისელებს 150 ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა, რომლის ოფიციალური მფლობელებიც ახალგორელი ინგა ხუციშვილი და თეიმურაზ ბაზუაშვილი არიან, სინამდვილეში კი თავად ჩოჩელის საკუთრებააო. როგორც შევიტყვეთ ინგა ხუციშვილი ექსგუბერნატორის ძმის, იაგო ჩოჩელის მეუღლე გახლავთ, ხოლო ბაზუაშვილი ჩოჩელის ბიძაა. ხუციშვილისა და ბაზუაშვილის გარდა ქსოვრისის მიწების (42 ჰა) მფლობელი რომელიღაც შპს-ა (ხელმძღვანელი ქარელის რაიონის სოფელ ბრეთში მცხოვრები კობა გოგიჩაშვილი), რომელიც „დიდი“ ბიზნესმენისა და ეკონომისტის, კახა ბენდუქიძის კუთვნილება ყოფილა. ჩვენი წყარო იმ სქემის შესახებაც მოგვიყვა, რომლის მეშვეობითაც „გაიმარჯვა“ ჩოჩელის კაცმა ამ მიწებთან დაკავშირებით, მცხეთაში გამართულ აუქციონზე. ერთ-ერთ ქსოვრისელ მეწარმეს თემურ მიდელაშვილს (ის მეფუტკრეობას მის- არ იციან ქსოვრისის, ქანდის და წეროვანის აუქციონის მეშვეობით „ნაყიდ“ მიწებში, საერთოდ თუ აქვთ გადახდილი ჩოჩელსა და სხვა მისნაირ „მყიდველებს“ ფული. გამოძიება უკვე დაინტერესდა ამ მიწების თემით და ალბათ ყველაფერი გაირკვევაო.

წყაროს ცნობით, მცხეთის რაიონის საუკეთესო მიწები ჩოჩელის, ადეიშვილის, მერაბიშვილის და ბოკერიას მფლობელობაშია. ეტყობა, მათ ამ „საფრთხის შემცველი“ ქონების თავიდან მოცილება გადაწყვიტეს. საკუთარი თვალით ვნახეთ როგორ უღებდა ფოტოებს ვიღაც ჩალმიანი, თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი კაცი წეროვანისა და ქანდის მიწებსო. ამ მიწებზე გასულ წლებში ზაფხულში არაერთხელ უნახავთ ადგილობრივებს ადეიშვილი და მერაბიშვილი, ხანდახან სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრი ბაკურ კვეზერელიც „გვსტუმრობდაო“.

„საერთო გაზეთი“ ქანდის მოსახლეობასაც გაესაუბრა. მათგან შევიტყვეთ როგორ გაანადგურეს ჩოჩელმა და მისმა დამქაშებმა ერთ დროს უძლიერესი ქანდის სანერგე მეურნეობა, ამ ზონაში არსებული სარწყავი სისტემა და როგორ ჩაიგდეს ხელში მათი კუთვნილი მიწები. ამ მეურნეობაში დღესაც არის შემორჩენილი ის დანადგარები, სადაც გამოყავდათ ვაზის და ხეხილის ახალი ჯიშები. აქ გამოყვანილი ნერგები, მარტო საქართველოში კი არა რესპუბლიკის გარეთაც იყიდებოდა, დაღესტანში ჰექტრობით ვენახები და ხეხილის ბაღები ყოფილა გაშენებული. ეს მეურნეობა თურმე საქართველოს ათეულ მილიონობით მოგებას აძლევდა. 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, როცა ნაციონალებმა პოზიციები გაიმყარეს, დაიწყო ხალხის ტერორი და სახელმწიფო ქონების პრიხვატიზაცია. მინდვრებში სარწყავი მილები არ დაუტოვებიათ, ამოყარეს და ჯართში ჩააბარეს. მათ ხელს არც ის 2-კილომეტრიანი მიწისზედა სარწყავი სისტემა გადაურჩა (მსხვილი რკინის მილები), რომლითაც ქანდის მოსახლეობის კუთვნილი მიწები ირწყვებოდა. 2009 წელს მთლიანად ასჭრეს ეს მილები, ერთ-ერთი ბენზინგასამართი სადგურის ტერიტორიაზე დაასაწყობეს, მერე კი ჯართის მიმღები პუნქტის გზას გაუყენესო. ფულის შოვნის გარდა, ამას სხვა მიზეზიც ჰქონდა, მორწყვის გარეშე, აქ მოსავალი არ მოდის, ამიტომ მოსახლეობა იძულებული იყო ეს მიწები კაპიკებში გაეყიდა, რომელსაც ჩოჩელი და ნაცელიტა თვითონ ყიდულობდნენ მიზერულ ფასად. შემდგომში ამ მიწებს უცხოელებზე და „შინაურ“ ხალხზე ასხვისებდნენ, რა თქმა უნდა გაცილებით ძვირადო. მცხეთის რაიონში ყველა ის მიწებიც, რომელიც ირწყვება, ჩოჩელისა და ნაცელიტის ხელშია, გატელევიზორებული წვეთოვანი სარწყავი სისტემით (ხელოვნური დაწვიმება) მხოლოდ ისინი სარგებლონენ.

ქანდის ხსენებული სანერგე მეურნეობა მწვანე საფარის მწარმოებელ ფირმად გადაუკეთებიათ. ბალახს თესავენ, მერე ბელტებად ჭრიან და გააქვთ, შუშის პოლიციის და ბობოლა ნაციონალების (მათ შორის ცეზარ ჩოჩელის) სახლებისა და აგარაკების ეზოები აქ „წარმოებული“ ბალახის საფარით არის მოგებულიო. ვის ეკუთვნის ხსენებული ფირმა მცხეთელებმა არ იციან, თუმცა ის იციან, რომ ამ ფირმის მფლობელები დიდ ფულს შოულობენ. ქანდის მეურნეობის დირექტორად ვიღაცა ახალგაზრდა ბიჭი დანიშნეს, რომელმაც ერთი ტრაქტორი არ შეარჩინა სოფელს, არადა 15-20 ტრაქტორი მაინც იყო. ამ ახალგამომცხვარმა დირექტორმა თურმე ერთ დღეს გამოუცხადა ქანდელებს, შემოიყვანეთ მთელი ტექნიკა გარაჟშიო, შემოაყვანინა, მერე კი სატვირთო ავტომანქანებზე დატვირთეს და ჯართში ჩააბარესო.

ჩოჩელი ნიჭიერ ბიზნესმენობაზე რომ დებს თავს, ერთი თქვას, თავისით რა მოიფიქრა, მას მარტო სხვების აწყობილი ბიზნესის წართმევა ეხერხება. შინაურებთან არაერთხელ აქვს ნათქვამი, გოგი თოფაძეს ლუდის ბიზნესი უნდა დავაწეროო, თუმცა ბოლომდე მაინც ვერ მოახერხა თოფაძის ჩაძირვა. ახლა თავს რომ იმართლებს, რეგიონში თუ რაიმე უკანონობა ხდებოდა არ ვიცოდიო, აშკარად ცრუობს. ეგ ის კაცია, რომელმაც ფულისა და პირადი ანგარიშსწორების გამო საკუთარი მეჯვარე, ახალგორის გამგებელი ნუგზარ თინიკაშვილი სამართალდამცევებს აბსურდული ბრალდებით დააჭერინა. თინიკაშვილს იმიტომ დაუპირისპირდა, ჩემ ძმას (იაგო ჩოჩელს) ახალგორის მაჟორიტარი დეპუტატობა რომ უნდოდა, ხელი მაგან შეუშალაო, არადა ის არაფერ შუაში იყო. თინიკაშვილს ორი წელი ციხე ახეხინეს, მერე ვითომ ცეზარ ჩოჩელი დაეხმარა მას ციხიდან გათავისუფლებაში და ეს გულუბრყვილო კაციც მისი მადლობელიაო.

რა „წვლილი“ მიუძღვის ჩოჩელს 2008-2012 წლის საპარლამენტო არჩევნების გაყალბებაში, მცხეთელებს ესეც კარგად მოეხსენებათ. 2008 წლის არჩევნების დროს მან 400 სპეცრაზმელი ჩამოიყვანა მცხეთის რაიონში, რომლებმაც მუხრანში ხალხს ხელები დაამტვრიეს, ხოლო მისაქციელსა და მცხეთაში ოპოზიციის წარმომადგენელ დამკვირვებელ ქალბატონებს გაუპატიურებით ემუქრებოდნენ. არჩევნების შემდეგაც კაი ხანს გრძელდებოდა ხალხის დევნარეპრესიები. რაც შეეხება ოქტომბრის არჩევნებს, ნაციონალები იმედი ჰქონდათ რომ ხმების 70%-ს აიღებდნენ, ჩვენც არ ვუქარწყლებდით ამ იმედს, სიფხიზლე რომ მოედუნებინათ. მოგვიანებით შევიტყვეთ, რომ ჩოჩელი და მისი გუნდი „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატ დიმიტრი ხუნდაძეს ნარკოტიკის ჩადებას უპირებდნენ, ექიმია, ამგვარ წამლებთან შეხება აქვს, დავაბრალოთ, რომ თვითონაც მოიხმარს, ჩავუდოთ 1-2 ამპულა და დავიჭიროთო. საარჩევნოდ, თურმე მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ჩოჩელსა და მის „რაზმს“ ამჯერად 7.000 სპეცრაზმელი ჰყოლიათ შემოყვანილი და აქაც იგივეს აპირებდნენ, რაც ხაშურში მოხდა. გუბერნატორის მოადგილე კობა ამირხანაშვილსა და მცხეთის გამგებელ თემურ აბაშიძეს, მეტსახელად „სკატინას“, იმ „არასაიმედო“ საჯარო მოხელეების სიები ჰქონიათ შედგენილი, რომლებსაც არჩევნების მოგების შემთხვევაში, მეორე დღესვე გაყრიდნენ სამსახურებიდან. ეს უკვე ბოლო წვეთი იყო და ნაციონალებმა მიიღეს ის, რასაც იმსახურებდნენო.

ჩოჩელს მისი ვლადიკავკაზელი პარტნიორი ხადარცევი თავის ერთ საგაზეთო ინტერვიუში კეთილშობილ დონ კიხოტად მიიჩნევს, ნატახტარის მიგდებულ, ტრიალ მინდვრებში ლუდის ქარხნის აშენება მხოლოდ ფანტაზიორ ადამიანს თუ მოუვიდოდა აზრად, ცეზარმა კი ამ „უტოპიურ“ მოსაზრებას ხორცი შეასხაო. კარგად ინფორმირებული წყაროს თქმით, არავითარი მიტოვებული და ხრიოკი მინდვრები იქ არ ყოფილა, ეს იყო ნატახტარის მეურნეობის საუკეთესო ფართობები, რომელიც ჩოჩელმა თითქმის მუქთად ჩაიგდო ხელში. ამ ლუდის ქარხნის მშენებლობაზე „ჩალიჩი“ პარლამენტარობის დროს დაუწყია. პრესაში გაჟღერდა ამ ქარხნიდან გაშვებული, გაუწმენდავი წყლით როგორ ბინძურდებოდა მდინარე ნარეკვავი, ჩოჩელის ქარხანამ მდინარე მთლიანად მოსპოო. რესპოდენტებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ ახლაც იგივე სიტუაციაა. მერე ვითომ თურქებზე გაყიდა ჩოჩელმა ეს ქარხანა, მაგრამ დანამდვილებით ვიცით, რომ იქ 10%-ს ისევ ფლობსო. იქვეა „ბარამბოს“ ქარხანა და ნატახტარის ყბადაღებული სასაკლაოც, რომლებიც ასევე სასოფლო სამეურნეო სავარგულებზეა გაშენებული. არადა მცხეთის რაიონში უამრავია ისეთი მიწის ფართობი, რომელიც სახნავ-სათესად არ გამოდგება და შეეძლო იქ აეშენებინა, მაგრამ ჩოჩელმა სპეციალურად მოუსპო ნატახტრელებს სოფლის მეურნეობის აღორძინების შანსიო.

ჩოჩელის კუთვნილი „ზედაზენის“ ქარხანაც წართმეულ მიწაზე ყოფილა აშენებული. საგურამოში კომუნისტების დროს აშენებული უნიკალური სათბურები იყო, რომ-

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ლის კარკასიც დურალუმინისგან იყო დამზადებული. ამ სათბურების დირექტორს რაღაც წილი ჰქონია ნაყიდი, მაგრამ ნაციონალებმა დაიჭირეს და ჩოჩელ-მერაბიშვილის ტანდემმა ყველაფერი წაართვა. ეს ძვირადღირებული ლითონიც სადღაც გააქრეს. ძველი მფლობელები ჩივიან და გამოძიება იმედია, მტყუან-მართალს გაარკვევს. ეს ქარხანაც



ისე აბინძურებს მდინარე არაგვს, რომ ხალხი საბანაოდ და სათევზაოდ ვეღარ დადის. ჩოჩელი თავს რომ იწონებს, ქარხნები ავაშენე და ხალხი დავასაქმეო, ვის მიწაზე ააშენა ამ უწიგნურმა, ფულის გულისთვის ყველაფერს რომ იკადრებს. მან გაანადგურა და მიწის პირიდან აღგავა ქანდის სანერგე და წეროვანის ექსპერიმენტალური მეურნეობები, სადაც ხორბლის უნიკალური ჯიშები გამოჰყავდათ. ან ის „ბერტა" სადაც ააშენა, იქ მანქანა-ტრაქტორთა საგამომცდელო სადგური იყო, რესპუბლიკური მნიშვნელობის ინსტიტუტი, სადაც მექანიზატორთა გადამზადებაც ხდებოდა. ეს ინსტიტუტი მთელ საქართველოს ემსახურებოდა, 400-500 კაცი იყო დასაქმებული. აქაც უამრავი დაზგა-დანადგარი იყო, რომელიც უკვალოდაა გამქრალი. ჩოჩელს თურმე საპნისა და სარეცხის ფხვნილის ქარხანა გაუხსნია და ხალხი დაუსაქმებია, რა ქარხანა ეგ არის, მანდ მზა პროდუქცია შემოდის და მხოლოდ მისი დაფასოება ხდება, ასი კაცი არც იქნება დასაქმებული. ჩოჩელს ახლა გამოყავს ეს ვითომ დასაქმებულები, რომლებსაც 100-ლარიან ხელფასს უხდიდა და აყვირებს ცეზარ ჩოჩელი კარგი კაციაო.

ჩოჩელის „ზეობისას" მცხეთის რაიონის ყველა კვების ობიექტს აიძულებდნენ, რომ მხოლოდ „ზედაზენის" პროდუქცია შეეტანათ. ადგილობრივები საერთოდ აღარ ვსვამთ „ზედაზენის" ლუდს, რადგან რეცეპტი დარღვეულია, დასპირტულ ლუდს უშვებენო. ისე ჩოჩელი გუბერნატორის პოსტი მხოლოდ თავისი ბიზნესის „დასაკრიშად" რომ სჭირდებოდა, ამის შესახებ „საერთო გაზეთი" ადრეც წერდა. მცხეთელებმა მაშინ გვითხრეს, სამსახურში საერთოდ არ დადის, მხოლოდ ხელფასს იღებს, 24 საათი „ზედაზენის" ქარხანაში ზისო.

რა დღეში ჩააგდეს მრავალსაუკუნოვანი ბებრის ციხე ჩოჩელმა და მისმა ხელისბიჭებმა, პრესაში ადრეც დაიწერა. ნაციონალებს აქ პატრიოტთა ბანაკი ჰქონდათ მოწყობილი (მცხეთელების თქმით ბორდელი) წყალიც აიყვანეს და საშხაპეებიც გამართეს, მაგრამ კანალიზაციის მოწყობაზე თავი არ გაუცხელებიათ და ეს ბინძური წყალი ციხის საძირკველში ჩადიოდა. მანდ ისედაც მეწყერული ზონაა, რასაც ეს წყალიც დაემატა და მთელი კედელი ჩამოიშალა. გუბერნატორი და მისი ამფსონები ამის შემდეგღა დაფაცურდნენ, მისასვლელები გადაკეტეს და ერთ ღამეში გააქრეს წყლის მილები და შლანგები, მაგრამ კვალი ბოლომდე მაინც ვერ წაშალეს. ციხის აღდგენა არ მომხდარა, რადგან ამ სამუშაოებში სპეციალისტებს დიდი თანხა მოუთხოვიათ. სამუშაოების ჩატარება ჩოჩელის გუბერნატორობის დროს ვეღარ ესწრებოდა, თორემ ნაცები ამასაც სათავისოდ გააპიარებდნენო. დღესდღეობით დაკეტილია ბებრის ციხე და დამთვალიერებლებს ახლოს არ უშვებენ, რადგან ჩამონგრევის საფრთხე არსებობს. წყარომ ერთი კურიოზული ფაქტიც მოგვიყვა, ამ ციხის ტერიტორიაზე პროჟექტორი იყო დამონტაჟებული, რომელიც საუკუნოვან ძეგლს ანათებდა. როგორც კი ჩოჩელი გუბერნატორის პოსტიდან მოაძვრეს, ის პროჟექტორიც მოხსნა და წაიღო. მერე გავიგეთ, წეროვანის გეტოში ეკლესია აუშენებია და იქ დაამონტაჟებინა ეს პროჟექტორი, საკუთარი ფულით, 50-ლარიანი პროჟექტორის ყიდვაც კი დაენანაო.

**მანანა სუხიშვილი**
**599 51 28 24**

# batono biZina, aRadgineT samarTali!

მეტად ამაზრზენი იყო სანახავად ევროპარლამენტარის სტუმრობა ქ-ნ ჩიორასთან. ჩიტ-ჩიორას ოდნავ მოხვდა ცხვირში თავისი შხამიანი გამონათქვამების გამო. მან ბიბლიოთეკასთან შეკრებილ ხალხს და ყოფილ პოლიტპატიმრებს „ბრბო" და „მოღალატეები" უწოდა – შემდეგ კი ქ-ნ ჩიორას უკვირს, რომ ეს „ბრბო" „მოღალატეები" მას სამაგიეროს უხდიან.

თქვენ ქ-ნებო: ჩიორავ და ირმავ, ამ მოღალატეებისა" და „ბრბოს" ფულით დაბრძანდებით ევროპაში და შეურაცხყოფას აყენებთ ჩვენს ქვეყანას და ხალხის მიერ არჩეულ მთავრობას. ვინა ხართ თქვენ, რომ ხალხს ეძახით ბრბოს? რომელი ევროპელი პარლამენტარი ჩამოდის აქ და ლანძღავს თავისი ქვეყნის მთავრობას? ქალბატონებო, ხომ არ გგონიათ, რომ იმ დეპუტატის სკამზე მუდამ იჯდებით? ჩამოდით მანქანიდან – გაიარეთ რუსთაველზე, პლეხანოვზე, ნახავთ, რასაც მიიღებთ ხალხისგან.

ქ-ნო ჩიორა, მაკიაჟმიღებული, ძალიან სექსუალურად იყავით ლოგინში გაშოტილი და ცდილობდით ევროპარლამენტარის გულის აჩუყებას, თუმცა გული ვერ აუჩუყეთ ცივ ევროპელს. პირველ ოქტომბერს საქართველოს მოსახლეობამ, მიუხედავად ზეწოლისა, გამოგიტანათ განაჩენი. თქვენი ბელადი პოლიტიკური გვამია – იგი ჩვენი ისტორიის სამარცხვინო წარსულია, ნუ ჩაყვებით მას პოლიტიკურ სამარეში. სააკაშვილი შოუების კარგი რეჟისორია – თუმც 8 თებერვალს მისი შოუ არ შედგა, იგი ელოდა მეტ ნაცემ-დასისხლიანებულსა და დაჭრილს – რომ შემდეგ მაგრად ეყვირა საერთაშორისო არენაზე – არიქა, გვიშველეთო!..

გამკვირვებია ევროპარლამენტარებისა! რატომ 7 ნოემბრისა და 26 მაისის აქციის დარბევამ არ გაგაკვირვათ, რატომ არ მივიდნენ დარბევის დროს დასახიჩრებულთა და მოკლულების ოჯახებში, თქვენც ქ-ნო დეპუტატებო? თქვენ ხომ დედები ხართ, მეუღლეები – რატომ არ შეგეცოდათ მიტინგზე მოკლულები – რატომ არ დარეკეთ მაშინ ზარები?

ბარამიძევ, გაბაშვილო, ბოკერიავ, რურუავ, თქვენ ის ბატონები არა ხართ, რომლებიც ხელში ავტომატებით ებრძოდით ეროვნულ ხელისუფლებას და მის მხარდამჭერებს.?!

მიშა და სხვები ხშირად ახსნებთ „მხედრიონსა" და მის ლიდერს. თუ ასეთი ცუდი იყო ჯაბა, რატომ დაასაფლავეთ დიდუბის პანთეონში? „მხედრიონის" აქტიური წევრები არ იყვნენ ძმები რურუები? რატომ იყო, რომ თქვენი ტელევიზიების ეკრანიდან არ ჩამოდიოდა ჯაბას მარჯვენა ხელი, მისი ვიცე-პოლკოვნიკი ქ-ნი დოდო გუგეშაშვილი?

„ნაციონალებო", რატომ არ მიეცით პოლიტიკური შეფასება 1991-92 წლის ხელისუფლების შეიარაღებულ გადატრიალებას? რატომ არ დასაჯეთ მისი მოთავეები თენგიზ სიგუა და თენგიზ კიტოვანი?

თქვენი გამზრდელი მამა-მარჩენალი, რომელზედაც მზე ამოგდიოდათ და რომელმაც თქვენ მოგიყვანათ პოლიტიკაში – დღესაც ზის კრწანისში და იქიდან გვმოძღვრავს – თითქოს ავად არ იყოს „ვარდების რევოლუციის" შემქმნელი – თქვენ ის ხალხი ხართ, ვისაც შეუძლია თავის გამზრდელს ესროლოს, მაგრამ ბ-ნ შევარდნაძეს თუ „გამზრდელი" აქვს წაკითხული, მან ამ პოემის ფინალიც უნდა იცოდეს.

ქ-ნი თუთბერიძე დღეს ძალიან აქტიურობს. ძალიან ეწყინა ბაჩოს დაპატიმრება – ისქ ათევდა და ათენებდა თურმე. მისი გამოჩენა ეკრანზე მაყურებელში იწვევს სიძულვილს, რასაც მაყურებელი თავისი მესიჯებით აღნიშნავს კიდეც. ქ-ნო თეა, შეწუხდით, არა, ბაჩოს დაკავებით, რატომ მაშინ არ შეწუხდით 26 მაისს და 7 ნოემბერს ხალხი რომ დაასახიჩრეს და დახოცეს, რატომ არ მიხვედით მათ ოჯახებში და სამძიმარი არ უთხარით? შენ გულიც ისეთივე ცუდი გაქვს, როგორიც ხმა. იფიქრე იმაზე, რომ შენი ასეთი უსამართლო ზიზღი განსხვავებულად მოაზროვნეების გამო შენს შვილს არ დაუბრუნდეს ცოდვად. იფიქრე ამაზე... კივილის გარდა, ფიქრიც ისწავლე, თეა!



ბ-ნო ბარამიძევ! თქვენ იყავით თავდაცვის მინისტრი, როცა „აჭარის განთავისუფლების" შემდეგ თქვენი ბელადის ბრძანებით შეგრიალდით ცხინვალში და იქ რუსებს ჩაახოცინეთ 19 კომანდოელი, მათ შორის იყო ჩემი თანაკლასელის შვილი გიორგი ლომაძე. იგი 2004 წლის 18 აგვისტოს იქნა მოკლული სნაიპერის ტყვიით. მის დასაფლავებაზე ლანჩხუთის რ-ნ სოფელ ლესაში 24 აგვისტოს არ მოსულა არც ერთი მაღალი სამხედრო ჩინოსანი. იმ დღეს მთავრობას გასვლითი სხდომა ჰქონდა ბათუმში – თქვენც იქ ბრძანდებოდით. გასვენებაზე წაიკითხეს ქ-ნ ნინო ბურჯანაძის სამგლოვიარო დეპეშა. ვინ იცის, სად და როგორ ერთობოდით იმ დღეს? მისმა მშობლებმა თქვენ მოგანდვეს თავიანთი შვილის სიცოცხლე – თქვენ კი სამძიმარიც არ უთხარით გამწარებულ მშობლებს.



მოგმართავთ თქვენ, ბატონო ბიძინა!

მიეცით პოლიტიკური შეფასება 1991-92 წლის ხელისუფლების სამხედრო გადატრიალებას, დასაჯეთ მისი მოთავეები. მიეცით პოლიტიკური შეფასება 9-წლიან დანაშაულებრივ რეჟიმს – თქვენ ამის ბერკეტები გაქვთ. აღადგინეთ სამართლიანობა. ხალხი ღელავს, ნერვიულობს... 9 წლის განმავლობაში ვინც ქვეყანა დააქცია და გაანადგურა, გაასხვისა ქართული მიწები, ვინც ომი წააგო, ვინც შელახა ჩვენი ღირსება, ისინი ეკრანიდან კვლავ ურცხვად ლაპარაკობენ, იგესლებიან... დასაჯეთ დამნაშავენი, ვინც 9 წელი გვაწამა, დაგვხოცა – ვინც გვეძახდა „მოღალატეებს", "ჩარეცხილებს", "მუმიებს" და „ბრბოს". იმ ხელისუფლების მიერ დახოცილთა სულები: ბუტასი, გურამ შარაძის, სანდროსი, ვაზაგაშვილის და სხვების და სხვების. მათი სული ცაში ღმერთს შეჰღაღადებს და სამართალს ითხოვს. აღასრულეთ სამართალი, ბატონო ბიძინა! ამას გთხოვს ხალხი! ნუ დატოვებთ ხალხის ხმას „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა".

**რუსუდან პატარაია**
**კიბერნეტიკის ინსტიტუტის ყოფილი მეცნიერ-თანამშრომელი**




ყველა საუბრობს კოჰაბიტაციაზე მერბიშვილის გარდა.... ა კაცი მეთქი, თუნდაც ჩემთვის მიუღებელ , მაგრამ პრინციპებს არ ღალატობს მეთქი.......მაგის ლოგოპედმა შემომჩივლა ეხლა ერთი თვეა ვავარჯიშებ, კოჰაბიტაციაზე არაფერი გამოგვდისო)))

დასაბალანსებლად აუცილებელია ეთერში ყოველ დღე მინიმუმ თითო გაიძვერა გამოიყვანო და კიდევ ერთხელ მოაყოლო....

**26 მაისის ღამეს სახემწიფოებრიობას ვიცავდით, 7 ნოემბერს, ავ სულებს ვდევნიდით, ციხეებში მოწამოებრივ ცხოვრებას ვაჩვევდით ურწმუნოებსო..... აი 8 თებერვალს კი დემოკრატიის სიმბოლური ნისკარტის ხელყოფა მოხდა, რაზეც ნატოსთან მისაერთებელი მავთულები გადიოდაო....... რა ადვილია, არა სხვის მაგივრად პატიება?! მთავარია მომგებიან პოზაში ხარ!**

ნიანგის ცრემლები გამიგია .....მარა კალმახელიძეს ცრემლი ნამეტანია უკვე......არ ვიცოდი რა ხდებოდაო, რაზე იჯექი ამისთანაზე, რომ ამდენი წელი ვერ გაიგე რა ხდებოდა შე ძუკნა ჰა?

თბილისელი კაცია გიგი წერეთელი....განათლებული კაცია, კარგი ოჯახიდანაა...... მაინც რა ნესტიანი განდონია!!)))

# gia eqvTimiSvi l i: პატიმრებისთვის ჩამორთმეული მანქანები კოდუას ხალხს სასომხეთში გადაჰყავდა და იქ ნახევარ ფასში ჰყიდდნენ... უზარმაზარ თანხებზეა ლაპარაკი...



**გვესაუბრება პოლიტპატიმარი**
**გია ექვთიმიშვილი:**

– 1991-დან 2000 წლამდე შსს-ს ოპერატიულ სამსახურში ვმუშაობდი. 2000-დან 2011 წლის 16 თებერვლამდე, სანამ დამაკავებდნენ, მოქმედი ადვოკატი ვიყავი. 16 თებერვალს დღისით, მზისით ჩემს შვილთან და მის მეგობრებთან ერთად გადასასვლელ ხიდთან – დადიანის ქუჩაზე მანქანებით გზა გადაგვიკეტეს, გადმოგვყარეს და ქალაქის სამმართველოში წაგვიყვანეს. 4 საათი მხოლოდ იმას ვარკვევდი, თუ რას მერჩოდნენ. მოიყვანეს ჩემი მეუღლე, შვილი, მათ ემუქრებოდნენ. სრულიად უკანონოდ დამაკავეს, ღამის პირველ საათზე ჩემი ცოლ-შვილი გაუშვეს და ღამის 4 საათზე წინასწარი დაკავების საკანში ჩამიყვანეს, კაპეზეში. ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილით წამიყენეს – განსაკუთრებულად დიდი ოდენობით ქურდობა. 9 თვე მიმდინარეობდა გამოძიება, 33 პროცესი ჩატარდა, ამ ხნის მანძილზე ჩემი უდანაშაულობის დამამტკიცებელი არაერთი ფაქტი, მოწმეები მომყავდა, მაგრამ შედეგი ნული.

**– როგორ ფიქრობთ, რა იყო თქვენი დაკავების რეალური მოტივი?**

– მოგახსენებთ. მიზეზი ის იყო, რომ მას შემდეგ, რაც 2003 წელს, „ნაციონალური მოძრაობა" ქვეყნის სათავეში მოვიდა, ჩემი ოჯახი ოპოზიციურად იყო განწყობილი. მეუღლე მთაწმინდა-კრწანისის რაიონში გამომძიებლად მუშაობდა, რომელიც 2006 წელს გაათავისუფლეს. „ნაციონალურმა მოძრაობამ" თავისი მოწინააღმდეგეები ჩამოიშორა და მთლიანად საკუთარი ბანდა შექმნა. 2006 წელს დააკავეს უფროსი ვაჟი, როგორც ადვოკატის შვილი, ტაქსის მძღოლთან ყაჩაღობის ბრალდებით. 2011 წელს ჩემი დაკავების მერე, უმცროსი ვაჟიც დააკავეს ვითომ იარაღის უკანონო ტარებისთვის. ჩემს გასანადგურებლად ყველაფერი გააკეთეს. ვეტყვით, საიდან იღებს სათავეს ეს ყველაფერი – პიროვნებასთან, ვინც მე დამაკავა დაპირისპირება მქონდა. ეს გახლავთ ქალაქ თბილისის მკვლელობის განყოფილების ყოფილი უფროსი გრიგოლ კვინიკაძე, რომელიც ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმის უშუალოდ იძიებდა. უშუალოდ მან ჩაულაგა ვაზაგაშვილს ტყვიები, იარაღები. ეს ყველაფერი ჩემთვის ცნობილი თავად მისგან გახდა. იგი ამაყობდა, რომ მაგარი გამომძიებელი იყო და ვანო მერაბიშვილის ყველა დაკვეთას ასრულებდა. ვაზაგაშვილის საქმის შემდეგ, გრიგოლ კვინიკაძე დააწინაურეს და მცხეთაში საგამოძიებოს უფროსის მოადგილედ გადაიყვანეს. 2008 წლის 5 დეკემბერს მისი მეგობარი, კრიმინალური პოლიციის უფროსი ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს, მეორე დღეს ომიც დაიწყო და გამოუშვეს, კვინიკაძესაც თავი დაანებეს. მერე გამოაგდეს სამსახურიდან, ბოლოს მცხეთის ავტოინსპექციაში მუშაობდა, ისევ ვანოს მიადგა და ვაზაგაშვილის გარდა, სხვა უამრავი გაფუჭებული საქმე შეახსენა. ამიტომ მკვლელობის განყოფილების უფროსად დანიშნეს. სწორედ მან და ქალაქის სამმართველოს უფროსმა გიორგი ხიზანიშვილმა დამინგრიეს ცხოვრება. იმიტომ, რომ 2006 წელს მათ ჰქონდათ ავტომანქანების გამტაცებლების ჯგუფის საქმე. ბრალდებულს მე ვიცავდი. აღნიშნულ საქმეზე ოპერაცია, მერაბიშვილის უშუალო ხელმძღვანელობით ჩატარდა. ვიცი, ვანო როგორ სცემდა, ტანჯავდა მათ, ძირს დაყრილ ბიჭებს ფეხებს ურტყამდა.

**– მერაბიშვილი სცემდა თვითონ ამ ბიჭებს?**

– დიახ, მერაბიშვილი. ეს ორთაჭალაში ხდებოდა ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე. სასამართლო პროცესებზე ამ ფაქტებზე ვსაუბრობდი. აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე მოსამართლე ეკატერინე გაბრიჩიძემ განიხილა. სწორედ მისი მეუღლე გახლდათ ჩემი პროკურორი ბაჩიაშვილი, რომელიც პირდაპირ მემუქრებოდა, რომ მე და ჩემს ოჯახს გაანადგურებდა. ჩემს შვილს გაუპატიურებით ემუქრებოდა, ბავშმა ისიც არ იცოდა, რომ იგი პროკურორი იყო, პოლიციელი ეგონა. პროცესზე აღმკვეთი ღონისძიების დროს დაინახა და გადაირია. სასამართლოზე ერთი ამბავი ატყდა, ბავშვი ყვიროდა – ეს კაცი მემუქრებოდა გაუპატიურებითო, იგი მეძებს სარიტუალოდან გადახტომას აპირებდა. ეს ნაძირალა ბაჩიაშვილი დღემდე მუშაობს.

ორი წელია, ჩემი ნივთები ვერ დავიბრუნე – პირადობის მოწმობა, მანტო, დოკუმენტების ნაწილი. საქმეები წაიღეს, რომელთაც მინდობილობის ვადები გაუვიდა და ერთი წლის შემდეგ ვადაგასული დამიბრუნეს. 4 დღის წინ ნივთების დაბრუნებაზე განცხადება დამაწერინეს, ადრე ასე არ ხდებოდა. რატომ უნდა დავდიოდე ზამთარში ტყავის კურტკით, როცა მანტო მაქვს და იქ ტყუილად უდევთ. ჩემი მეუღლის შრომის წიგნაკიც მათ აქვთ. როცა დამაკავეს, ეს შრომის წიგნაკი ვანოს აჩვენეს – აი, ეს ის გამომძიებელია, ჩვენ რომ გვებრძოდაო... ავტომანქანა სააღსრულებლოს გადასცეს იმიტომ, რომ სასამართლომ 3 ათასი ლარი ჯარიმა დამაკისრა. მანქანა გაყიდეს და სააღსრულებლოდან წერილი მივიღე – 3 ათასი ლარი ჯარიმა, რომელიც სასამართლომ დაგაკისრათ, ვერ ავითვისეთ, ისევ ვალად დაგრჩათ და რადგან ბანკში სესხი გქონდათ, იმ მანქანის ფული ბანკში შევიტანეთო. ამათ ვინ ეკითხებოდათ ჩემი ფულის შეტანას? ბანკმა იცოდა, რომ პატიმარი ვიყავი და ელოდებოდა როდის დაბრუნებდა სასამართლო მანქანას, რათა შემდეგ ჩემი ოჯახის წევრებს გაეგრძელებინათ თანხის გადახდა, რომელიც ბანკიდან სესხის სახით მქონდა აღებული. მანქანაში 6500 დოლარი გადავიხადე, მხოლოდ ერთი თვე ვიარე, ამათ 6200 ლარად თავის თანამშრომელს აჩუქეს.

**– რას ემსახურებოდა ეს ყოველივე, რაში აწყობდა, რომ პატიმრებს არ ესეირნათ?**

– სასეირნოდ რაც უფრო ნაკლები ადამიანი გადის, დროც ნაკლები იხარჯება. თუ ბევრი პატიმარი გადის, დროც მეტი იხარჯება. თუ არავინ გავიდოდა, მთლად უკეთესი იყო, სმენას გადააბარებდა და ადრე გაიქცეოდა კასპში. ერთხელ ვუთხარი – ნუ გვიკეთებ ასეთ რაღაცას-მეთქი და ერთი ამბავი ატეხა, ოფიცერიც კი ამოიყვანა. ამის მერე ერთი ღერი ასანთი ვთხოვე და მთელმა ადმინისტრაციამ გაიგო, დამსაჯეს. წარმოიდგინეთ, ბაჩო ახალაიამ რომ მოითხოვოს ასანთი და არ მისცენ, თაქთაქიშვილი, ალბათ, ტელეგრანიდან გადმოხტება. მე-9 დაწესებულებაში „კრიტის" შენობაში კედლები დანესტიანებული და გაუბედურებულია, ამის შეკეთებას არავინ ცდილობს, მაგრამ ბაჩო ახალაიას იატაკიც შეუცვალეს, საწოლებიც შეუღებეს, ურიტაზები შეუცვალეს და ყველანაირი კომფორტი აქვს, ევროერემონტშია. ამასწინათ, სანამ გამოვიდოდი, ვნახე, მისთვის მაღლარა და კვერცხი როგორ შეჰქონდათ. ციხიდან გამოსვლის მერე რომ მივედი, გამომძიებელი იგივე დამხვდა, პროკურორიც, მაშინ რა შეიცვალა, მხოლოდ ბაჩო ახალაიას გარემონტებული საკანი?! კიდევ ერთი რამ მინდა გითხრათ, რაზეც ასევე არავინ საუბრობს, ალბათ, არ იციან და იმიტომ – ინგარში გარდაბანში ყაჩაღობა მოხდა, აზერბაიჯანელის ოჯახი დააყაჩაღეს. ჩასული იყო პრეზიდენტი თავის რწმუნებულთან კორკოტაძესთან ერთად და ბჭობდნენ იმაზე, თუ როგორ დაბრუნდნენ ისევ 90-იან წლებში. კორკოტაძეც თავს უქნევდა. ვინ არის კორკოტაძე? – 1994 წელს ვარკეთილის პოლიციაში ვმუშაობდი და სწორედ მაშინ კორკოტაძემ, მისმა ძმამ და მეგობარმა ვარკეთილი 3-ის, I მ/რ-ნის მე-15 კორპუსის ტერიტორიაზე 17 წლის ბიჭი სანკოვეი სხვადასხვა დანით მიყენებული 33 ჭრილობით მოკლეს. და ასეთი ადამიანი იძახის, რომ 94 წელში ყაჩაღობა, უბედურება იყო და ვაიმე, ისევ იქ ვბრუნდებითო. ამაზე არავინ ლაპარაკობს. სხვათა შორის, როგორც კი კორკოტაძე ხელისუფლებაში მოვიდა, პირველ რიგში, ის პროკურორი დაიჭირა, რომელსაც მისი საქმე ჰქონდა. ეს მაშინ ჩემი ტერიტორია იყო და ორივე ძმა მე დავაკავე და მოვეხსენებათ, შედეგად რაც მივიღე – 13 იანვარს გამივედი საპყრობილიდან. როგორც ყოფილ პოლიტპატიმარს, მინდა, რომ ციხიდან ყველა გამოვიდეს, მაგრამ გაგიგიათ სადმე, პრეზიდენტს ერთ კვირაში სამჯერ გაეკეთებინოს შეწყალება – ორშაბათს, ოთხშაბათს და კვირას. ღამის 9 საათზე უშვებდა ხალხს. იმ ხალხს იწყალებდა, რომელზეც ვანო მიუთითებდა. ვანო იყო საქმის კურსში, ვის ჰქონდა ბევრი ინფორმაცია ყოფილი ხელისუფლების მერ ჩადენილ დანაშაულობებზე. ასეთი ხალხი საიკაშველმა შეიწყალა და ისინი საზღვარგარეთ არიან, რათა ახალ ხელისუფლებას მათი დაბარების და დაკითხვის საშუალება არ მისცემოდათ. მან გამოუშვა მმიმე, ასევე განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულში ბრალდებული პირები.

**– თქვენ წელან ახსენეთ, რომ ყიწწვისის, 26 მაისის პატიმრებთან ერთად იჯექით ციხეში, თუ ხორციელდებოდა მათზე მუქარები?**

– ჩემთან, საკანში ყიწწვისის საქმესთან დაკავშირებით კახაბერ თოდაძე შემოიყვანეს. კაცი ისე იყო ნაცემი, რომ ხელები და ფეხები მთლიანად გაშავებული ჰქონდა. როცა სიშავე სილურჯეში გადავიდა, ფეხის თითები იმხელა გაუხდა, მეგონა, გაუსკდებოდა, კვნესოდა ისეთი ნაცემი იყო. თვენახევრის შემდეგ თავი გადავარსეთ, დუბინკით ისეთი ნაცემი იყო, რომ თავი შიგნიდან სტკიოდა, თითის დადებაზე ტკივილისგან ყვიროდა. ასევე, ჩემთან ერთად კამერაში იჯდა 26 მაისის საქმეზე დაპატიმრებული სანდრო ბერაძე. ისეთ რაღაცებს გვიყვებოდა, თუ როგორ აწამეს, სისხლის გუბეებში აბანავეს ხალხი, ამის მოსმენა საშინელება იყო. ამის შემდეგ კაობიტაციაზე როგორ უნდა ვილაპარაკოთ. კი, ადამიანები შეიძლება ერთმანეთს ეკამათონ და მერე შეურიგდნენ. მაგრამ ოჯახების გამანადგურებლებს, ვინც ხალხს ფიზიკური, სულიერი ტკივილი მიაყენა, კოჰაბიტაციაზე როგორ უნდა ესაუბრო?! როგორ შეიძლება დღეს ქეთინო ჯაჭვაძე ისევ მოსამართლე იყოს. მან იცოდა, რომ უკანონო განაჩენს გამოჰქონდა. ჩემთან კიდევ იჯდა კოჭლიას საქმესთან დაკავშირებით დათო კპკუტია, რომელიც საუბრის დასაწყისშიც გახსენე. იგი პოლიციის თანამშრომელი იყო, მშრომელი ადამიანია, დაკოჟრილი ხელები ჰქონდა. ზუგდიდში დააკავეს, აქ რომ ჩამოიყვანეს ფორმა ეცვა. მერე ეს ფორმა გახადეს და ძველი, გადაყრილი სპორტულები ჩაიცვეს, მაიკა ტრუსიკით ჰქონდა, ამხელა კაცს ჭიაში უჩანდა. 10 დღე კარანტინში ერთად ვიყავით. ყოველ მეორე დღეს გაჰყავდათ და სცემდნენ, ხან ტუჩი ჰქონდა გახეთქილი, ხან თვალი დალურჯებული. ისე ურტყეს თირკმლებში, რომ კაცი საპირფარეშოში მისაშარდად რომ გადიოდა, მთელი საკანი ყვიროდა, თირკმელები ჩაუზრეს, გაუუბედურეს და ამის მერე დღეს უნდათ, რომ კოაბიტაცია მოხდეს, ვილაცამ ვილაცას აპატიოს. ეს როგორ უნდა ეპატიოს? – ამდენი წა-



იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

მება, შეურაცხყოფა. ის, რაც ციხის კადრებში აჩვენეს – კარანტინის დაშლა, სხვა ზონაში გადაყვანა, ცემა-ტყეპა ყოველდღიური მოვლენა იყო. გარდა ამისა, სასამართლოში წაყვანის დროს უდიდეს ფსიქოლოგიურ ზეწოლას გადის პატიმარი. კამერაში ჩასმამდე დილით ერთხელ ჩხრეკენ, მერე მიჰყავთ ტრანსპორტით, მანამდე აშიშვლებენ, ეუბნებიან, შარვალი ჩაიხადე, საცვალი ჩაიხადე, ჩაჯექი, ადექი, პირი გააღე, ენა აწიე, გადაწიე, ხელმეორედ ჩაჯექი, წეღან კარგად არ იყავი ჩამჯდარიო და ა.შ. ასე მიდიხარ სასამართლო პროცესზე, ნერვებდაწყვეტილი და იქ ჩვენება უნდა მისცე. მოსამართლე ჯაჭვაძე ორშაბათს, სამშაბათს და პარასკევს ნიშნავდა პროცესებს. მყავდა ადვოკატი, რომელთანაც პროცესის გავლის შემდეგ კონსულტაცია უნდა გამევლო, რასაც ვერ ვახერხებდი. ერთი შუამდგომლობა დავაყენე და პროცესი 81 დღით გადადეს. ვითხოვდი ექსპერტიზის ჩატარებას, რათა დადგენილიყო, ნამდვილად მოხდა თუ არა ქურდობა. სად გინახავთ ასეთი ქურდი – უჯრა გააღოს, 18 ათასი აიღოს და 97 ათასი დატოვოს? 82-ე დღეს შუამდგომლობაზე უარი მეთქვა და იქით დამდეს ბრალი – პროცესის გაჭიანურება გინდოდაო.

**– რას ემსახურებოდა პატიმრების ამდენი ცემა-ტყეპა?**

– უდანაშაულოდ დაკავებული იძახდა, რომ ბრალი არ მიუძღვის, ამიტომ უდანაშაულობის დასამტკიცებლად ბოლომდე ვიბრძოლებო. მაგრამ ციხეში, კარანტინში ამდენი შეურაცხყოფის შემდეგ, პატიმარი ადვოკატთან ამოდის და ეუბნება: – ჩემმა ოჯახმა ყველაფერი გაყიდოს და აქედან გამიყვანონსო. აი, რას ემსახურებოდა ეს წამება, ცემა-ტყეპა. როცა ადეიშვილი ვალდებულებას იღებდა, რომ იმ წელს ბიუჯეტში 1-2 მლრდ ლარს შეიტანდა, საიდან უნდა შეეტანა ეს თანხა? – რა თქმა უნდა, პატიმრები უნდა ეწამებინა, არაადამიანურ პირობებში ჰყოლოდა, რათა ოჯახის წევრებს ყველაფერი გაეყიდათ და პატიმარი ამ ჯოჯოხეთიდან დაეხსნათ. აი, რით ივსებოდა ბიუჯეტი. მინდა კიდევ ერთ საკითხზე გავამახვილო თქვენი ყურადღება. კერძოდ, პატიმრებისთვის ჩამორთმეულ მანქანებზე. სად არის ამდენი ჩამორთმეული მანქანა? – ყოველ მეხუთე პატიმარს ჩამორთმეული აქვს საკმაოდ ძვირადღირებული ავტომანქანები. არავინ კითხულობს ამ მანქანების ბედ-იღბალს, მაგრამ მე ვფლობ უტყუარ ინფორმაციას – ეს ჩამორთმეული მანქანები კოდუას ხალხს სასომხეთში ჰყავს გადაყვანილი და იქ ნახევარ ფასშია გაყიდული. ეს ფული კი, რა თქმა უნდა, ამათ ჯიბეებშია ჩალექილი. იმ ადამიანებიდან ორ-სამ კაცს, ვისაც ეს ავტომანქანები გადაჰყავდა, პირადად ვიცნობ, დღეს ციხეში სხედან – ერთი ნარკოტიკების რეალიზაციისთვის, ერთი თაღლითობისთვის. ადრე, კარატეს ფედერაციის პრეზიდენტს კახა ბასილიას საკმაოდ ძვირადღირებული ავტომანქანა წაართვეს, მაშინ მისი ადვოკატი ვიყავი. 120 ათასი ღირდა ეს მანქანა. მასაც კოდუამ წაართვა მანქანა. ვირბინეთ აქეთ-იქით, მაგრამ არაფერი გამოვიდა. მანქანა იმ მოტივით წაართვეს, ვითომ კახა ბასილიას ის მოპარული ჰქონდა. შემთხვევით, ციხეში ჩემთან ერთად აღმოჩნდა გამომძიებელი ბექა გულედანი და მისგან გავიგე, რომ იმ მანქანით კოდუას დაცვის უფროსი დადიოდა, მერე დაუმტვრევიათ. რაც არ დაუმტვრევიათ, ნაწილებად გაყიდეს. კანონიერ ქურდს



ლოტკინზე, თბილისის ზღვაზე სახლი წაართვეს და დღეს იქ კოდუა ცხოვრობს. ჩამორთმეულ მანქანებზე არავინ საუბრობს. ეს უზარმაზარი თანხებია. დღეს შსსმ 50 მანქანა გამოიტანა, რომელიც 3 მილიონადაა შეფასებული. ამაზე ბევრად უკეთესი მანქანებია ჩამორთმეული და სომხეთში გაყიდული. ამბობენ, რომ სასომხეთის პარლამენტი და მთავრობა ნახევარ და მეოთხედ ფასში ნაყიდი საქართველოდან ჩაყვანილი მანქანებით დადის. ეს უნდა გაყიდულიყო აუქციონით. რატომ ეწყობოდა აუქციონები მხოლოდ მათთვის და 6 ათას დოლარიან მანქანებს 6 ათას ლარად რატომ ჰყიდდნენ? – ამაზე პასუხი არავის გაუცია.

სანამ ერთი ადამიანიც კი, ვინც უშუალოდ მონაწილეობდა ჩემი და ჩემი ოჯახის დისკრედიტაციაში, წამებაში, ტანჯვაში, დღეს სახელმწიფო მოხელე იქნება, მე არ გავჩერდები. პროკურორი ბაჩიაშვილი, ჩხეიძე, გრიშა კვინიკაძე, თამარ ზედგენიძე სისხლის სამართლის პასუხისგებაში უნდა მიეცნენ. 13 წელი მომისაჯეს უდანაშაულო ადამიანს და რომ არა „ქართული ოცნების“ გამარჯვება, ალბათ, ციხიდან ცოცხალს საერთოდ არ გამომიშვებდნენ.

**თამარ შველიძე**
**555 23 28 24**

# ra undoda saakaSvils narazenSi? kaxa lomaias gardacvlili mamis sanaxavad Camovida?

*გვესაუბრება „დაიცავი საქართველოს“ წარმომადგენელი **კახა მიქაია**.*

**– ბატონო კახა, ზუგდიდში, სოფელ ნარაზენში მიხეილ სააკაშვილის სტუმრობას დიდი ამბავი მოჰყვა. გზა, სადაც სააკაშვილს უნდა გამოევლო, თქვენ და თქვენმა თანამოაზრეებმა გადაკეთეთ, ასფალტზე დაწექით, მერე ესკორტს კვერცხიც დაუშინეთ. რატომ ჩამოვიდა სამეგრელოში?**

– სააკაშვილს ეგონა, კვლავ ისე ლაღად იგრძნობდა აქ თავს, როგორც ადრე, მაგრამ საკადრისი პასუხი მიიღო.



ეს იყო მის მიერ დაგეგმილი მორიგი პიარ-კამპანია, თითქოს მას შეხვედრა სურდა მოსახლეობასთან, რათა დაგვეწყო ახალი ხელისუფლების ძაგება. დაენახებინა მთელი საქართველოსთვის, თითქოს სამეგრელოს მოსახლეობა მას უჭერს მხარს, მაგრამ ეს გეგმა ჩაეშალა.

მართალია, არჩევნები, ფაქტობრივად, მოიგო სამეგრელოში, მაგრამ ეს არ მომხდარა ხალხის ნებით. მინდა იცოდეს ყველამ: სამეგრელოს მოსახლეობა არნახული ტერორის მსხვერპლი იყო წლების განმავლობაში და განსაკუთრებით ეს იგრძნობოდა არჩევნების წინა პერიოდში. ხალხს ეშინოდა, არ დაეჭირათ და ზუგდიდის ციხეში არ გამოეკეტათ. ერთი მეგრელი ქალბატონი დღესაც ყელგამოწვდილი მეხვეწება, არ გავთქვა მისი სახელი და გვარი: ნაციონალები მემუქრებოდნენ – ერთი შვილი ხომ პატიმარი გყავს, მეორესაც მივუსვამთ გვერდითო. შეიძლება ვინმემ არ იცის, გლდანის საპყრობილეში რა საშინელებებიც ხდებოდა, მონაგონია ზუგდიდის ციხის კოშმარებთან. წარმოუდგენლად აუტანელი პირობები იყო ზუგდიდის ციხეში.

გუნავა და ნაციონალების დამქაშები შეიარაღებული დარბოდნენ სამეგრელო-ზემო სვანეთში და ოცნების დეპუტატობის კანდიდატებს კანდიდატურის მოხსნას აიძულებდნენ. მხოლოდ ერთმა ქალბატონმა ნელი ნავერიანმა გაბედა წინააღმდეგობის გაწევა და იგიც მალევე გაუყენეს საპატიმროს გზას. ციხეში გამოკეტეს შეკოწიწებული ბრალდებით.

**ახალაიები, კოდუები, გოროზიები, ლომაიები მიხეილ სააკაშვილის** ხელისუფლების ზონდერები, ვინც ასოცირდებოდა არჩევნების გაყალბებასთან, უკანონო დაპატიმრებებთან, საიდუმლო მკვლელობებთან, პირდაპირ ვაცხადებ, კონცენტრირებული იყვნენ სამეგრელოში წლების განმავლობაში. ამიტომ რეჟიმი ყველაზე ძლიერი სამეგრელოში იყო.

**– მაინც და მაინც ნარაზენი რატომ ამოირჩია სტუმრობისთვის, ხომ არ იცით?**

– ამ სოფელში ხშირად სტუმრობდა ის **კახა ლომაიას** მამას.

**– ახლაც მასთან მიდიოდა?**

– ლომაიას მამა გარდაიცვალა, გენაცვალე და, აწი, რაღას მიაკითხავდა სახლში, სასაფლაოზე თუ მიდიოდა, არ ვიცი.

საერთოდ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, შეხვედრა კრივის კლუბში იყო დაგეგმილი. ვერ შეკრიბა, როგორც ეტყობა, ხალხის სათანადო რაოდენობა, ამიტომ ხეცერის მეურნეობიდან აიყვანა 12 დევნილი, საგანგებოდ შეცვალეს შეხვედრის გრაფიკი და საკრებულოს ერთ-ერთი წევრის ოჯახში გაიმართა ეს შეხვედრა. 12 კაცს შეხვდა. ეს ხალხთან შეხვედრაა თუ იატაკქვეშა მოლაპარაკება, თვითონ განსაჯეთ.

სააკაშვილი რომ მშიშარაა, ეს ფაქტია. ამიტომ შეეშინდა იმ პროტესტის, რაც არის სამეგრელოში ზოგადად და ისიც გაიგო, რომ ჩვენ, არასამთავრობო ორგანიზაცია, ვაპირებდით მისთვის რამდენიმე კითხვა დაგვესვა. მან და გუნავამ გადაწყვიტეს, შეხვედრა ერთ-ერთ ოჯახში გაემართათ.

სააკაშვილი მიჩვეულია დაგეგმილ შეხვედრებს. ამიტომ განიზრახა, მთელი საქართველოსთვის დაენახებინა, თითქოს სამეგრელო მას უჭერს მხარს, აქ ყველა მისი მომხრეა და სოფელში მართავს შეხვედრას.

**– თენგო გუნავა მუშაობს, არა? იგი ბოლომდე მიშას ერთგული რჩება.**

– გუნავა მუშაობს, მაგრამ, ვაი, იმისთანა მუშაობას. იგი დანიშნა სააკაშვილმა იმ იმედით, რომ მობილიზაციას გაუკეთებდა ნაციონალებს, გაუმაგრებდა ზურგს იმ ზონდერებს, რომლებიც ჯერ კიდევ ბოგინობენ სამეგრელოში და საბოტაჟს მოუწყობდა ახალ ხელისუფლებას. არ გამოუვიდათ ჩანაფიქრი. თენგიზ გუნავას არავითარი პერსპექტივა არ აქვს სამეგრელოში. იგი არავის არაფერში სჭირდება, არაფერს წყვეტს აქ და არაფერი არ არის მისი თანამდებობა.

**– ადრე თქვენ საუბრობდით შეიარაღებულ ჯგუფებზე, რომლებიც სამეგრელოს ტერიტორიაზე იყო დაბანაკებული ნაცმოძრაობის მფარველობით. აღარ არსებობს ეს დაჯგუფებები?**

– ისეთი რაოდენობით აღარ არიან, როგორც ადრე, თუმცა აქაიქ არის ასეთი ჯგუფები შემორჩენილი.

**– რაც საზოგადოებამ კახა მიქაიას სახელი და გვარი გაიგო, მას შემდეგ თქვენი ვინაობა სააკაშვილის რეჟიმთან ბრძოლასთან ასოცირდება, მოკლედ, ბრძოლას არ წყვეტთ.**

– იცის ქართულმა საზოგადოებამ, 20 წელიწადია, ვებრძვი ჩვენი ქვეყნის მტრებს და არ ვაპირებ გაჩერებას. თუ შეჩვევა შეიძლება, ბრძოლას შეჩვეული ვარ და მადლობა ღმერთს, თანამოაზრეები არ მაკლია.

ნარაზენში 100 ადამიანი ვიყავით შეკრებილი, მეტი ხალხის შეკრება ამ ეტაპზე არ ჩავთვალეთ საჭიროდ. ვადაგასული პრეზიდენტის ესკორტს ნარაზენში გავლისას, მოგეხსენებათ, კვერცხი დაუშინეს ჩვენი აქციის მონაწილეებმა. უკან გამოვლა ველარ გაბედა და სპეციალური ვერტმფრენით „გადააბრძანეს“ თბილისში. სანამდე უნდა ემალოს ხალხს?

ქვეყანა სრულიად არ არის გაწმენდილი ნაციონალებისგან, თუმცა ხალხმა მაინც სძლია შიშს. პირველი ოქტომბრის შემდეგ წელში გატყდა მიშას მთავრობა. მაგრამ პირველი ოქტომბრის შემდეგ მომენტალურად არ დამთავრებულა ყველაფერი. მეხუთე თვე დაიწყო არჩევნების შემდეგ და სამეგრელოში ხალხი ახლა გრძნობს მარწუხების მოშვებას. ნელ-ნელა უბრუნდება ხალხს მხნეობა და ძალა და სამეგრელო აღარ მოითმენს, აწი, ამათ სასაცილო ფაფხურს და საზიზღარ ბოგინს.

**ირანდა კალანდაძე**
**593 56 11 18**

# ra kavSiria natosa da salvador dalis mistiur naxats Soris?

ბრიუსელში, ნატოს შტაბ-ბინაში გამოფენილია სალვადორ დალის სურათი სახელწოდებით „ახალი ადამიანის დაბადების შემყურე გეოპოლიტიკური შვილი“. ეს არის სიმბოლური სურათი, რომელიც, როგორც ჩანს, მნიშვნელოვანია ნატოს ხელმძღვანელობისთვის (და არა მხოლოდ), წინააღმდეგ შემთხვევაში, ხსენებული სურათი იქ არ იქნებოდა გამოფენილი.

სურათზე გამოსახულია კვერცხი, რომელიც წარმოადგენს დედამიწის რელიეფს და მისგან იჩეკება „ახალი ადამიანი“. სურათზე ჩანს, რომ იბადება ახალი ადამიანი და ქვეყანა, რომლიდანაც ის იჩეკება არის ჩრდ. ამერიკა, ანუ ე.წ ახალი სამყარო, ახალი საზოგადოება, იგივე დასავლური სამყარო. გამოჩეკის პროცესში მყოფი ახალი ადამიანის გამოყოფილი ხელი დადებულია დიდ ბრიტანეთზე, ხოლო ფეხი მიბჯენილი აქვს ინდოეთზე.



გეოპოლიტიკური ხედვიდან გამომდინარე, ეს არის ძირითადი საყრდენი წერტილი — გამოსახულია ოკეანიის სიმძლავრე, რომელიც სათავეს იღებს დიდი ბრიტანეთის იმპერიიდან და წარმოადგენს მის უშუალო მემკვიდრეს.

სურათზე გამოსახულია ჰერმაფროდიტი, რომლის მუშტად შეკრული ხელიდან საჩვენებელი თითი მიმართულია კავკასიისკენ, კონკრეტულად საქართველოსკენ.

საქართველოზე მინიშნების გამო ითქვა, რომ აშშ-ში ცხოვრების დროს (1940-1948წწ) სალვადორ დალი მეგობრობდა არჩილ გურიელთან და შექმნილიც აქვს მისი პორტრეტი ჩაქურაში და მისი მეუღლისა (ჰელენა რუბინშტეინი) კავკასიონზე მიჯაჭვულის სახით. თვლიან, რომ ვინაიდან ახლო ურთიერთობა ჰქონდა დალის გურიელთან, ლოგიკურია, დავუშვათ, რომ ქართული ეთნიკური და ქართულ-ბერძნული მითების შესახებ ცნობები და „ქართულის სიდიადის“ შესახებ (იოანე ზოსიმეს წინასწარმეტყველება) მისგან ჰქონდა და ამიტომაც აისახა საქართველო ხსენებულ ტილოზე.

დალის ხსენებული ტილოს მკვლევართა აზრით: „ახალი მსოფლიო წესრიგის, „ახალი ადამიანის შექმნას“ წინ უდგას კავკასია, იქ ჩადებული მისტიკური სიბრძნე, მორალი და ა.შ ის, რასაც თავის დროზე ეძებდნენ არგონავტები საქართველოში (ივერიაში). აქვე, უპრიანია გავიხსენოთ იოანე ზოსიმეს „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“, მისი წინასწარმეტყველება მეორედ მოსვლის შესახებ უძველეს იბერიულ ენაზე და კაცობრიობის საშინელი სამსჯავროს აღსრულებაზე.

იესოს პირველი დაბადება მოხდა იქ, სადაც კაცობრიობას უჭირდა და იყო ყველა სხვა დანარჩენზე მძიმე მდგომარეობაში. იესო ქრისტე მეორედ ველარ დაიბადება, ის მოვა (მეორედ მოსვლა). ამდენად, ის, ვინც იბადება, როგორც სურათზეა გამოსახული, წარმოადგენს ანტიქრისტეს, ვინაიდან, იესო ქრისტე 2-ჯერ ვერ დაიბადება.

„ახალი ადამიანის“ დაბადება ხდება აშშ-ში, სადაც ადამიანებს არ აქვთ ნაციონალობა. ამ კუთხით კავკასია, კერძოდ, საქართველო, ერთის მხრივ, თეთრი რასის სამშობლოა, რომლის კანონიერი მემკვიდრე ქართველი ერია, მეორეს მხრივ კი წარმოადგენს აფრო-ევრაზიის სენტას.“

სალვადორ დალიმ II მსოფლიო ომის დაწყებისთანავე აშშ-ს მიაშურა და 1948 წლის ბოლომდე იქ ცხოვრობდა, ანუ „ახალი ადამიანის დაბადება“ აშშ-შია შექმნილი.

„ჰერმაფროდიტის მუშტადშეკრული ხელის მტევნიდან, საიდანაც საჩვენებელი თითი საქართველოზე მიანიშნებს, დარჩენილი მუშტი გამოიყურება როგორც გალიმებული სატანის სახე. მარცხენა ხელზე დიდი, თვლიანი ბეჭედი („პერსტენი“ - რუს.) უკეთია, რაც ნიშანია კურთხევისა. ჰერმაფროდიტი წითურთმიანია. მისი გაშვერილი ხელის ჩრდილი არ ჩანს (ე.წ „უხილავი ხელი“), მაგრამ ჩანს ტანის ჩრდილი (გენიოს მხატვარს ხელის ჩრდილის მიხატვა დაავიწყდა?) მას ფეხებთან უზის ყრმა, რომელიც აღნაგობით ზრდასრული ფორმების მქონე სემიტ მამაკაცს მოგვაგონებს და მისი ჩრდილი არ შეესაბამება მისი სხეულის ფორმებს. მარჯვენა ფეხის უკანა მხარეს ჩახატულია წვერებიანი სახე, რომელიც იესო ქრისტეს გვაგონებს...

წინა პლანზე, სადაც იმყოფებიან ჰერმაფროდიტი და ზრდასრული ფორმების მქონე ყრმა, წარმოდგენილია აღმოსავლეთი, საწინააღმდეგო მხარეს, ცხადია, დასავლეთი, სადაც ორი სუბიექტიდან ერთს, ვარსკვლავთმრიცხველის ქუდი ახურავს. ის წარმოადგენს ახალი ეპოქის ტექნოკრატიისა და ფინანსების წინაშე მუხლმოდრეკის, თაყვანისცემის სიმბოლოს. აღმოსავლეთ მხარეს კარგად ჩანს მანათობელი ბორცვი, რომელიც მზეს აღნიშნავს.

ტილოს ქოლგა, რომლის ქვეშაც ხდება „ახალი ადამიანის დაბადება“ 13-ნაჭრიანია (რომელიც ნემსის წვერებით ბოლოვდება) და ქმნის მაცხოვრისა და მისი 12 მოციქულის პაროდიას. თავდაპირველად, ნატო-ში 12 სახელმწიფო გაერთიანდა და ნატო-ს შეიარაღებული ძალებია, რომელიც (ყველანაირი მნიშვნელობით) ასე თავგამოდებით იცავს „ახალი ადამიანის დაბადებას“...

სიმბოლოების გაშიფვრის კუთხით, შეიძლება ისიც ითქვა, რომ „ახალი ადამიანის“ დაბადების პროცესს, რომელიც გაურკვეველია, დასრულდება თუ არა „წარმატებით“, თან ახლავს სამყაროს ორად გაყოფა (იდეურად გაყოფა მისი დაბადების მოწინააღმდეგეებისა და მომხრეების სახით), აფრიკის კონტინენტის ცრემლი და სისხლი. (თუ იმასაც გავითვალისწინებთ, ნატო-ს ეგიდით წარმოებულ „მსოფლიო წესრიგის დაცვას“ რამდენი სისხლი და ცრემლი სდევს, სურათს, გნებავთ, სიურრეალისტური უწოდეთ, გნებავთ, რეალისტური). უცნაურია, მაგრამ სურათის მარჯვენა ნაწილზე, გარდა კავკასიაზე მინიშნებისა, გარკვევით ჩანს ერთადერთი ნაგებობა და ისიც სვანური კოშკია. ასეა თუ ისე, „ახალი ადამიანის დაბადება“ (აზრობრივადაც და ტილოც) ნატოშია და მისი მოწადინებისა და მფარველობის ქვეშ...

დღევანდელობაში იმ ფონზე, როდესაც არაერთ ქვეყანაში ციფრი 13 „თარსად“ არის მიჩნეული, რიცხვ 13-თან დაკავშირებით რაც უსიამოვნო ფაქტად დევს, მოკლედ რომ გავიხსენოთ, ისაა, რასაც ჯონ ტოდი, (ოდესღაც „13-თა საბჭოს“ წევრი) განმარტავს პირამიდის ცამეტ საფეხურზე და ე.წ „ბეჭედზე“: — „ბეჭედი ლონდონში დამზადდა როტშილდების ოჯახის წევრების მითითებით. (ესაა იუდეველთა კასტა გადაკეთებული გვარით ბაუერიდან როტშილდზე, რაც ნიშნავს „წითელ ფარს,“ გამარჯვების სიმბოლოს აღმოსავლეთ ევროპაში მცხოვრებ რევოლუციურად განწყობილ ებრაელთათვის). ეს დემონური ორგანიზაციაა, რომლის სათავეშიც დგას როტშილდი. ორგანიზაცია ფართოდაა განტოტვილი.

მსოფლიო მასონობის თანამედროვე მდგომარეობა ხასიათდება იმით, რომ იგი იჭრება პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში, ეკონომიკასა და კულტურაში.

დასავლეთის ქვეყნების ყველა პოლიტიკურ პარტიას დირიჟორობს „თავისუფალი კალატოზები,“ რომელიც ერთ-ერთი უძველესია. მათ მიერ არის დაწერილი აშშ-ის კონსტიტუცია. აშშ-ის პრეზიდენტების მესამედი ამ ორგანიზაციის წარმომადგენლები იყვნენ. ისინი ფართოდ იყვნენ წარმოდგენილნი სენატსა და კონგრესშიც.



აშშ-ის ბეჭედი, სახელმწიფო გერბია — ფენიქსი, რომელიც განასახიერებს იუდეველთათვის ბედნიერების რიცხვ 13-ის ტრანსფორმაციას. მის ყოველ ფრთაში 13 ბუმბულია. მარჯვენაში 13 ისარი აქვს, მარცხენაში — ტოტი 13 ფოთლით. თავზე აწერია „**Epeurilus Unum**“ (ბევრიდან — ერთიანი), რომელიც 13 ასოსგან შედგება. ამას ემატება 13 ვარსკვლავი და მკერდზე ფარი 13 ზოლით, რომელიც 13 შტატ-დამფუძნებელს განასახიერებს და თავდაპირველი დროშა 13 ზოლით და 13 ვარსკვლავით — ყოველივე ეს წარმოადგენდა „თავისუფალი კალატოზების“ ძველ და მნიშვნელოვან სიმბოლიკას. (ასევე, გაეროს გლობუსზე აღნიშნული 33 მინდორი და 33 ქვა პირამიდაზე, რაც წარმოადგენს „თავისუფალ კალატოზთა“ შოტლანდიური წრის 33 საფეხურს.) ეს არის საიდუმლო ინტერნაციონალური მსოფლიო ორგანიზაცია, რომელიც ებრძვის ღმერთს, ქრისტიანობას, ეკლესიას, ნაციონალურ სახელმწიფოებრიობას, მონარქიას და განსაკუთრებით მართლმადიდებლურ სახელმწიფოებს.“

მაინც რისი თქმა უნდოდა სალვადორ დალის ამ დაშიფრული მინიშნებებით? და კიდევ, რატომ დატოვა აშშ (სადაც იდეალურად გრძნობდა თავს) შორსმჭვრეტელმა დალიმ სწორედ ნატო-ს შექმნის (1949 წ) წინ?

**მაია ჭელიძე**
593 32 49 71

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ყველაფერ სიკეთესთან ერთად, ცხენის ხორცს გვათოხლებდით ახვრისშვილო ნაცებო? ე, იმიტომაც დადგა მთელი დუნია ფეხზე და ტლინკები მოგაყოლათ გასიებულ კურტუმში...პ.შ. ახლა რატომ გიკვირთ ხალხი ქუჩაში რომ დაჭიხვინობს?

აი უმრავლესობას ხო აქვს მექანიზმი, თუნდაც ასეთი - დატოვონ პარლამენტი და ვადამდელი არჩევნების იძულება შექმნან. ხო იძახიან ნაცები, რომ 40% აქვთ და ახლა კიდევ ერთი მაგდენი იმედგაცრუებული მათ მხარეს გადავიდა. აი ეგ რო ჰქნას უმრავლესობამ, ნაცების ფრაქცია მუხლზე დაჩოქილი დაუკოცნის ტრაკებს - ეგ არა ჰქნათო.




ნაც მოძრაობის დღევანდელი იმიჯმეიკერი აშკარად ვერ ერკვევა საქართველოს დღევანდელ სიტუაციაში და ზოგადად აპრობირებული მეთოდებით ცდილობს სამუშაოს შესრულებას...... ვანო მერაბიშვილს და გიგი უგულავას არ უნდა დაავალო ბევრი ანეგნოტები მოყევითო.... ჯერ ერთი იმიტომ, რომ მათი სახეები სისხლთან, მკვლელობასთან, სიდუხჭირესთან და აღვირახსნილ ანგარებასთანაა ასოცირებული, მეორე.... მათ იუმორს აშკარად სპილომ დააბიჯა ფეხი და არაა მათი სტილი იოხუნჯონ........კარგი ამ ორ შუტს თავი დავანებოთ, ჩიორას ტახტრევანზე წამოგორება არ მითხრას ეხლა ვინმემ მომგებიანი პოზა იყოო, ერთად ერთი რაც წარმატებულად გამოდის საქართველოს ბიუჯეტის მწოველ უცხოელ ლობისტებს ბევრი ვნება მიაყენებინონ, საქართველოსთვის......ნაცმაცუნები, რომ ხელისუფლებაში მომბრუნებლები აღარ არიან ინდივიდუალურად თვითეულმაც კარგად იცის.... აი მავნებლობაში კი იცოცხლე, გასაფუჭებელი კიდევ ბევრი აქვთ(

# საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ ბიძინა ივანიშვილს

**ბატონო ბიძინა,**

ამ რთულ პერიოდში მინდა მოგმართოთ თქვენ ინჟინრული წინადადებით, რომელიც იყო დამუშავებული საინიციატივო ჯგუფის მიერ გასული საუკუნის 90-იან წლებში. საქმე ეხება ღრმაწყლიანი პორტის მშენებლობას ანაკლიაში.

თავისი მონაცემებით, ეს პორტი იქნება ყველაზე პერსპექტიული და საუკეთესო შავ ზღვაზე, ვინაიდან მდ. ენგურსა და ზღვის შესართავთან არსებული კანიონის სიღრმე აღემატება 800 მეტრს.

ამიერკავკასიაზე გამავალი ევრაზიის საგზაო-სატრანსპორტო სისტემის ფორმირება-განვითარება ბევრადაა დამოკიდებული შავი ზღვის აღმოსავლეთ, ე.ი. საქართველოს სანაპიროზე არსებული თუ მომავალში ასაშენებელი ნავსადგურების მაქსიმალურად დასაშვებ ტვირთგამტარიანობისა ტექნიკური ექსპლუატაციის ეკონომიკურ-ეკოლოგიურ მაჩვენებელზე. დღეისათვის ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ჩამორჩება შავი ზღვის დასავლეთ და ჩრდილოეთ სანაპიროებზე მოქმედი ნავსადგურების, აგრეთვე შავი ზღვის და კასპიის ზღვების დამაკავშირებელი სარკინიგზო მაგისტრალის პოტენციურ შესაძლებლობებს. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია სანაოსნო საშუალებათა გაბარიტების განუხრელი ზრდის ფონზე ბათუმისა და ფოთის ნავსადგურების ექსტენსიური გაფართოება-განვითარების თუ ახალი, თანამედროვე მოთხოვნილებების საპორტო-სატრანსპორტო კომპლექსების მშენებლობის შემზღუდველი ქვეყნის ზღვისპირეთის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები.

ჯერ კიდევ 1985-1986 წლებში საქართველოს მინისტრთა საბჭოს მშენებლობის განყოფილების და სსგ „საქნაპირდაცვის" (ა. კიკნაძე, ჯ. მხეიძე) მიერ ერთობლივად დამუშავდა და მთავრობის მიერ (21.11.1986წ. 6714) დამტკიცდა მდინარე ენგურის გაუწყლიანებული 62 კილომეტრიანი კალაპოტის ათვისების გენერალური სქემა, მაგრამ უსახსრობის გამო პორტის მშენებლობის დაწყება მოხსნილი იქნა დღის წესრიგიდან. მიუხედავად ამისა, შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი, რომელიც აქტიურად შეუდგა ანაკლიასთან ღრმაწყლიანი პორტის ასაშენებლად სათანადო სამუშაოებს და ინვესტორის ძებნას, დამუშავდა კონცეფცია „საქართველოს შავიზღვისპირეთის საპორტო პოტენციალის გამოვლენა და მისი განვითარება ღრმაწყლიანი პორტით ანაკლიაში". ერთდროულად ინსტიტუტი „თბილქალაქპროექტი" შეუდგა ქ. ანაკლიის დაპროექტებას 10 000 მცხოვრებზე, რომლებიც იმუშავებდნენ აშენებულ პორტში. დამუშავდა ქალაქის ძირითადი პარამეტრები, რომელსაც ხელმძღვანელობდა საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი გ. მეტრეველი. ზუგდიდში შედგა პრეზენტაცია გუბერნატორთან, რომელსაც ესწრებოდა სახელმწიფო მდივანი ვაჟა ლორთქიფანიძე, მოსახლეობა, დამპროექტებლები და ინტელიგენცია.

პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა სამეგრელოში დღის წესრიგში აყენებს აუცილებლობას დავუბრუნდეთ ღრმაწყლიანი საზღვაო პორტის მშენებლობის საკითხს ანაკლიაში მდინარე ენგურის და შავი ზღვის შესართავის ზონაში, სადაც არსებობს კანიონი.

პორტის მშენებლობა შეცვლის რეგიონის ინფრასტრუქტურას, შექმნის წინაპირობას რეგიონის და ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობისათვის, ასევე დასაქმდება ათასობით ადამიანი, რაც მოგვცემს საშუალებას აღვადგინოთ 1200 ჰექტარი მაღალნაყოფიერი მიწები, ადრე ზღვით გადარეცხილი და იმავდროულად აღნიშნული კომპლექსი შეასრულებს ნაპირდამცავი ნაგებობების როლს, ეს დასტურდება XX საერთაშორისო კონფერენციის „კაცობრიობა და ოკეანის სანაპირო ზონა 21-ე საუკუნეში" გადაწყვეტილებით, ამ საპროექტო წინადადებამ გაიარა სახელმწიფო ექსპერტიზა, მოწონება დაიმსახურა საქართველოს ტრანსპორტისა და მშენებლობის სამინისტროების სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოების მხრიდან. გამოყოფილი იქნა ტერიტორიები პორტის I რიგის მშენებლობისათვის ტვირთბრუნვით 5-7-მლნ. ტონა. დარეზერვებული იქნა ტერიტორიები II-ე რიგის მშენებლობისათვის პორტის ტვირთბრუნვის გაზრდის მიზნით 80-100მლნ. ტონამდე წელიწადში. მომავალში ანაკლიის ღრმაწყლიანი პორტი გახდება ყველაზე პერსპექტიული შავი ზღვის სანაპიროზე. ქვეყნის ხელისუფლების მხრიდან სათანადო თანადგომისა და ხელშეწყობის შემთხვევაში, ჩვენს ხელთ არსებული კონტაქტები შესაბამის წამყვან საპროექტო ინსტიტუტთან, სადაც ჩვენ თავის დროზე მივავლინეთ ჩვენი სპეციალისტები, საშუალებას მოგვცემს ერთი წლის შემდეგ შევუდგეთ მშენებლობას, ხოლო სამი წლის შემდეგ დავიწყოთ საზღვაო პორტის ექსპლუატაცია. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებები ფინანსდებოდა ჩვენი ინვესტორის ამერიკა-ისრაელის ერთობლივი კომპანიის „ნოვომენეჯმენტ ჯორჯიას" მიერ, აღნიშნული მიღებული და დაკანონებული იყო საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 17 იანვრის 628 განკარგულებით „საქართველოს სანავსადგურო პოტენციალის განვითარების" შესახებ.

ამასთან ერთად აუცილებელია აღინიშნოს, რომ დასამუშავებლად შემოთავაზებული ღრმაწყლიანი საზღვაო პორტისათვის მდ. ენგურის კალაპოტი მიმდებარე ეკვატორიით მდიდარია დიდი რაოდენობის ტორფის საბადოებით, ასევე ინერტული მასალების დიდი მარაგით 100მლნ.კბმ, რომელიც გამოყენებული იქნება პორტის მშენებლობაზე. ინერტიული მასალების დეფიციტს განიცდის თურქეთი და რუსეთი, რომლებიც თანახმანი არიან ბარჟებით გაიტანონ აღნიშნული ინერტული მასალები. პრეზიდენტის მიერ გამოცემული განკარგულების შესაბამისად შექმნილი იყო სამთავრობო კომისია სახელმწიფო მინისტრის ხელმძღვანელობით, რომელმაც მოასწრო ორი სხდომის ჩატარება, რომლებზეც გადაწყვეტილი იყო პორტის მშენებლობის მნიშვნელოვანი საკითხები.

სწორედ იმ პერიოდში, სრულიად მოულოდნელად პრესაში ჩნდება განცხადება ანაკლიის საზღვაო პორტის მშენებლობაზე საერთაშორისო ტენდერის ჩატარების თაობაზე შესაბამისი პირობებით. მხოლოდ ათი დღის შემდეგ ქვეყნის პრეზიდენტი აღნიშნულ საკითხებზე გადმოსცემს განკარგულებას 6260 დათარიღებულს 2000 წლის 27 მარტით, ამ ცნობამ გააოგნა ზემოთხსენებული ინვესტორი, რომელმაც მთავრობის სახელზე გაგზავნილ წერილში (6392/15 2000 წლის 25 მაისი) გააპროტესტა პრესაში გამოცხადებული ტენდერი. აღნიშნულ წერილზე მითითებული რეზოლუციების მიუხედავად არავინ არ ჩათვალა საჭიროდ პასუხის გაცემაც კი. უცხოელი ინვესტორების მიმართ ასეთმა დამოკიდებულებამ განაპირობა საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა-ჩადებაზე უარი. უცხოელმა ინვესტორმა უარი განაცხადა ტენდერში მონაწილეობაზე. გამოცხადებულ ტენდერში არავინ არ მიიღო მონაწილეობა, რის გამოც 2000 წლის 1 ოქტომბრის 61041 განკარგულებით ტენდერი გაუქმებული იქნა, ხოლო უცხოელი ინვესტორის მიერ გაწეული ხარჯები დაიკარგა. ამასთანავე საყურადღებოა პრეზიდენტის 1999 წლის 8 სექტემბრის განკარგულება „ხობის რაიონში ნავთობ-პროდუქტების საზღვაო ტერმინალის მშენებლობის შესახებ", რომელიც თითქმის არავისთან არ იყო შეთანხმებული (ძირითადად, წინააღმდეგი იყვნენ) და რომლის თანახმადაც სასწრაფო ტემპებით დაიწყო სამშენებლო სამუშაოები და გაწეულ იქნა დიდი დანახარჯები. სოფელ ყულევში აშენებულ ტერმინალს და მასთან არსებულ ე.წ. პორტს მომავალი არ აქვს, ვინაიდან აქ წყლის სიღრმე არის 6-8 მეტრი და მისი გაღრმავება შეუძლებელია, იძულებულნი არიან ნავთობი გაიტანონ პატარა ტანკერებით, რაც ეკონომიურად არ არის ხელსაყრელი და დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ეს პრობლემები შეეძლო მოეხსნა ანაკლიის პორტს 18 კილომეტრიან ნავთობსადენის აშენებით. პრეზიდენტ სააკაშვილის გამოსვლაში დადასტურდა სოფელ ანაკლიასა და ხობს შორის ქალაქ ლაზიკის აშენება, რაც დაუშვებელია, ასევე დაუშვებელია საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობა ქალაქ ფოთში, ვინაიდან იქ არსებული გრუნტი არ იძლევა ამის საშუალებას, რის გამოც დაინგრა არსებული აეროპორტი. ვინ განიხილა ეს საკითხი? მარტო სურვილით ასეთი რამის გაკეთება წარმოუდგენელია. აქ თავისი სიტყვა უნდა თქვან გეოლოგებმა.



რას ნიშნავს ანაკლიაში პორტის აშენება და რას მოუტანს იგი საქართველოს?

პირველ რიგში, იგი შეასრულებს ნაპირდამცავის როლს და შეაჩერებს ნაყოფიერი მიწების ჩამორეცხვას (უკვე წაღებულია 800 ჰა) და იქნება აღდგენილი 1200 ჰა-მდე მიწის ფართობი. ენგურიჰესის სისტემიდან წყლის კატასტროფული ხარჯვისა და წყლის ავარიული გდების შემთხვევაში, იგეგმება მდინარე ტიკორის კალაპოტში შემოვლითი არხის საშუალებით ამ წყლების აცილება ანაკლიის ღრმაწყლიანი პორტისაგან. ამავე დროს პორტის მშენებლობას აქვს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა, ეს მშენებლობა ხელს შეუწყობს ჩვენს მოძმე აფხაზებთან უფრო დაახლოებას და ინტეგრაციას მათ ეკონომიკაში.

ტრანსპორტის დარგში ინტეგრაციული პროცესების დაწყებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი 1993 წელს ბრიუსელში TACIS-ის ეგიდით ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამამ და ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის (TRACECA) განვითარებით დაინტერესებულ სახელმწიფოთა თათბირმა.

საქართველო ხდება ევრაზიის დერეფნის საკვანძო ქვეყანა. საექსპერტო შეფასებით, 2010 წელს შავი ზღვის აუზის ქვეყნებს შორის ყოველწლიური ტვირთბრუნვა მიაღწევს 1,6 მილიარდ ტონას, სანაპირო პოტენციალის სრული ამოქმედებით, საქართველოს საზღვაო პორტების გამტარიანობა 100 მლნ. ტონას გაუტოლდება. ევრაზიის დერეფანი საქართველოს მონაკვეთზე, ტვირთის აღნიშნული ოდენობით ტრანზიტი, თანამედროვე ტარიფების გათვალისწინებით ქვეყანას, დაახლოებით, 1 მილიარდ დოლარს მოუტანს. ინდოეთიდან, ჩინეთიდან, შუა აზიის რესპუბლიკებიდან, სადაც ჭარბი და იაფი მუშახელია, ტვირთი მიწოდებული იქნება ევროპაში ორჯერ უფრო სწრაფად, იაფად და მოკლედ.

ახლა ეს ტვირთი მიდის ევროპაში სუეცის არხით (18-20ათ.კმ) ან აფრიკის შემოვლით (30-35ათ.კმ). ანაკლიის პორტის აშენების შემდეგ კი ტვირთი წამოვა რკინიგზით კასპიის ზღვამდე, ბორანით აზერბაიჯანში და იქიდან რკინიგზით ანაკლიამდე. ანაკლიიდან კი ბორანით ილიჩევსკში (უკრაინა), კონსტანცაში (რუმინეთი), ბურგასში (ბულგარეთი).

ანაკლიის პორტის მშენებლობაზე უარის თქმა დიდი დანაშაულია საქართველოს ეკონომიკის განვითარების და სამეგრელოს წინაშე! ამის თაობაზე აკადემიკოსმა ა. კიკნაძემ და მე მივმართეთ პრეზიდენტ სააკაშვილს 2004 წლის 23 მარტს 65 წერილით, მაგრამ ჩვენს წერილს არავითარი გამოხმაურება არ მოყოლია. ამ დროისთვის კი აშენდა უამრავი ობიექტი, რომლის საჭიროებაც არ იყო (პრეზიდენტის რეზიდენცია, ხიდი მტკვარზე, პარლამენტის შენობა და სხვა). ეს სახსრები საკმარისი იყო, რომ აგვეშენებინა პორტი. მინდა აღვნიშნო, რომ დიდი დაინტერესება პორტის მშენებლობის მიმართ თავის დროზე გამოიჩინა ყაზახეთმა, თურქმენეთმა, ყირგიზეთმა და უზბეკეთმა.

ბატონო ბიძინა, დავოსში ჩატარებული ფორუმის ფონზე ანაკლიაში ღრმაწყლიანი პორტის აშენება ხდება უფრო აქტუალური. არ შეიძლება ამ წლის დაკარგვა, უნდა მოინახოს სახსრები და დაიწყოს პორტის დაპროექტება, რაც იქნება წინგადადგმული ნაბიჯი ამ მარადიულ საქმეში. ამას ელოდება სამეგრელოს მთელი მოსახლეობა და იმედი გვაქვს, რომ ეს ოცნება აგვისრულდება თქვენი ხელმძღვანელობით.

**პატივისცემით,**
**საქართველოს**
**დამსახურებული ინჟინერი**
**ჯუანშერ მხეიძე**
**ტელ: 238-04-33;**
**მობ: 599-51-01-93;**



# _ ma gogias ra? - ra da vi r is Tav- fexi!

## ბიჭები და გოგონები წრეში დგებიან და... კარუსელი ტრიალებს, ტრიალებს?!

პოლიტიკურ ვნებათაღელვას რა ჩააცხრობს ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა. სადაც ყველა პოლიტიკურ სუბიექტს “კარგი ცხოვრების და ჭამის” პრეტენზია აქვს და რაც მთავარია, გამოსდის კიდეც ეს. “ქართული ოცნების” უმრავლესობაში მოსვლითა და “კოალიციაში” ნაწილი ოპოზიციური პარტიების გაერთიანების შემდეგ საზოგადოებას გვეგონა, რომ ბიძინა ივანიშვილისგან დ””შუაში გასაკრეფად” დასახელებული პარტიები– პოლიტიკურ პროცესებს მიღმა დარჩებოდნენ და თავს ახლა მაინც დაგვანებებდნენ. თუმცა, როდესაც საქმე ისევ პოლიტიკურ ორბიტაზე ამოტივტივებას შეეხო– “ნაციონალების მაშველი რგოლი” “ქდმ” და “ახლებიც” მზად არიან პოლიტიკურ პროცესებში ჩაერთონ. წინ ხომ არჩევნები, და ნაციონალებსაც სატელიტები სჭირდებათ?! ყველას გვახსოვს, “ცნობილი რვიანის” ფორმარტში რიგი პოლიტიკური პარტიების თანამაშრომლობა. ამ რვიანის ნაწილი, დღეს, საპარლამენტო უმრავლესობაში, ნაწილიც – ე.წ. უმცირესობაშია მოხვედრილი. “შუაში გაკრეფილი” პარტიები კი პარლამენტს მიღმა. ისიც გვახსოვს, რომ სწორედ “ქდმ”-მ და “ახლებმა”, “რვიანის ფორმატი”, ნაცმოძრაობიდან მილიონმილიონის შეთავაზების შედეგად დატოვეს და ისიც დაიშალა. დღეს “ახლებმაც” და “ქმდმ”-მაც, კახა კუკავას პარტიასთან ერთად, პარლამენტის თავმჯდომარესა და დიპლომატიურ კორპუსს, პოლიტიკურ პროცესებში, (როგორც არსაპარლამენტო პარტიების) ჩართვის თხოვნით მიმართეს. „კუკავას “თავისუფალი საქართველოს” გამოკლებით, პირველი ორი (“ქდმ და ახლები”) სწორედ იმ პოლიტიკურ სუბიეტებს წარმოადგენენ, რომლებიც ნაცმოძრაობამ სხვა სატელიტ პარტიებთან შედარებით, ზომაზე მეტად მოიმადლიერა. ერთს ყველაზე მნიშვნელოვანი – სიების კომისია ჩააბარა და სოლიდური თანხის (5 000 000-ის) განკარგვის უფლება მისცა. მეორე – (ქდმ) ლევან რამიშვილის “თავისუფლების ინსტიტუტთან” ერთად, სწორედ იმ საკონსტიტუციო ცვილებების შეტანაში მონაწილეობდა, რომლიც შეცვლაზეც დღეს ასეთი “გამიშვი-გამატარეა” ატეხილი. კაციტაძის კომისიას საზოგადოებამ მიშას კომისია რატომ შეარქვა, ეს ყოვლად მოუწესრიგებელმა და გასაყალბებისთვის ხელსაყრელმა საარჩევნო სიებმაც დაგვანახა. 5 000 0000 ნამვილად ღირდა “იმად ღირდა”, რომ დღეს ხალხისთვის საძულველი ნაცბანდა 40%-ით არის პარლამენტში წარმოდგენილი და ისევ “საზოგადოების ნერვებზე თამაშობს”! დღეს კითხვის ნიშანს აღარ ბადებს ისიც, რომ კაციტაძემ ნაციონალების დავალება შეასრულა. “მისი კომისია” ხომ სიპის რეკომენადაციებს ასრულებდა. სიპა-ცესკოსი. ცესკო კი- ნაციონალების პირდაპირ დაქვემდებარებაში იყო და დღესაც არის. პოლიტიკურ პროცესებში ჩართვის მოთხოვნას ახლა, “მე თვითონ - მიშას მაგიერ”, ედეპ, ახლადწარმოქმნილი და ნაციონალების სხვა, ახლადაღმოცენებული და ჯერ ჩვენთვის უცნობი სატელიტი პოლიტიკური გაერთიანებებიც აუცილებლად დაემატება. ჩათვალეთ, რომ 2013 წლის ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების “პოლიტიკური ტატამზე” აუცილებლად, ნაციონალების სასარგებლო და საზოგადოებისთვის არასასურველ ძალთა თანაფარდობას მივიღებთ.

გავითვალისწინოთ ისიც, რომ პარლამენტს გარეთ და პარლამენტში მოხვედრილ “ყოფილ ოპოზიციონერ პარტიებს” ნაცმოძრაობასთან შეხმატკბილებული და ხანგრძლივი თანამშრომლობის ართუ მცირე პრაქტიკა აქვთ გავლილი და “ნაციონალთა მერამდენედ მოსვლის” მუხანათური გეგმაც სახეზეა! მართალია, ცდუნებისგან თავის შესაკავებლად ბიძინა ივანიშვილმა კოალიციაში შემავალ ყველა სუბიექტს წინაარჩევნო კამპანიისთვისაც და ზოგიერთს ხელზეც სოლიდური თანხები ჩამოურიგა, მაგრამ საზოგადობამ კარგად ვიცით, რა “პოლიტიკური მადის მქონე” სუბიექტებთან გვაქვს საქმე?! სწორედ მათ კისერზე რომაა რამდენჯერ და რის ფასად, “სააკაშვილის რეჟიმის გათეთრებაც”. ბიძინა ივანიშვილი კარგი პოლიტიკოსი და წესიერი კაცია, მაგრამ ყოფილ ოპოზიციასავით პოლიტიკურ ავანტიურებში და ნაცებთან გარიგებებში გამოუცდელი ადამიანია! გაითვალისწინეთ, ბატონო ბიძინა, რომ საზოგადოებამ, სამწუხაროდ, “თავის ტყავზე” შეიგრძნო, რომ ყოფილ ოპოზიციონერ პოლიტიკოსთაგან, პირადი კეთილდღეობისთვის ხალხის “თხასავით გაყიდვაცა” და სიტყვის გატეხვის ფასიც?! მათ პირად ინტერესს არ დასჭირდეს და არ შეეხოს, ან ვინმემ მეტი არ გადაუხადოს, თორემ ეს პროფესიონალი გამყიდველბი ბიძინა ივანიშვილსაც, (რომელმაც პოლიტიკური ორმოდან ამოიყვანა ზოგიერთი) – “ორშაურად გაყიდიან”!

ამასობაში კი ნაცმოძრაობა მისთვის ჩვეული სტილით პოლიტიკური სპეკულაციის რეჟიმში აგრძელებს უმრავლესობასთან ე.წ. კოაბიტაციას. პრინციპით –“მომიტეხე ჭადი- მოგიტეხავ ყველსა”?! კონსტიტუციაში საკონსტიტუციო ცლილებების შეტანის მოთხოვნაზე ნაციონალების ვაჭრობა, (როგორც ავღნიშნეთ, ამ ცვლილებებში “ქდმ”-ც და “თავისუფლების ინსტიტუტიდან” ლევან რამიშვილიც მონაწილეობდა) ევროატლანტიკური და დასავლური კურსის კონსტიტუციაში დაფიქსირების ულტიმატუმით გრძელდება. კი, მაგრამ, ჩემო ბატონებო, ევროპული კურსი “მაშასადამე ევროპელობის” ძალად დაჩემებით ხომ ისედაც დაფიქსირებული გვაქვს?! ჰოდა, თუ “მე ვარ ქართველი”, ავტომატურად ნიშნავს, რომ “მაშასადამე ევროპელიც” ვარ. ამ ევროპული კურსის გამო კი ლამის პედერასტებად და ლესბოსელებად გვაქციონ ნახევარი საქართველო – მაშ, ეროვნების გრაფას რაღად გვიუქმებდით, ნაცბანდელებო? თუ ამ სტატუსის კონსტიტუციაში შეტანისთვის ვიკლავთ თავს, ევროპისკენ მივილტვით და თან, ამასთან, “ევროპელი ქართველებიც” ვყოფილვართ – გვწერებოდა “ეროვნება ქართველი”, რაც, თავისთავად, – თურმე ევროპელსაც გულისხმობდა. სად გაგონილა, ევრაზიის გასაყარზე მყოფი ქვეყანა, რომელსაც ევროპასა და აზიას შორის ბუფერის როლი თავად გეოპოლიტიკური მდებარეობით ერგო, ამ ორიდან (ევროპასა და აზიას) შორის არჩევანს კონსტიტუციაში აფიქსირებდეს?! თანაც მხოლოდ პოლიტიკური სუბიქტების გადაწყვეტილებით და არა საქართველოს მოსახლეობასთან რეფერენდუმისა და კონსულტაციის ჩატარების შედეგად?! მხოლოდ პოლიტიკურ სუბიექტებთან ჩატარებული პრაიმერებით და საზოგადოებრივი აზრის გაუთვალისწინებლად რომ ირჩევა საარჩევნო კანდიდატებიც – ამიტომაც არ ამართლებს ხოლმე ასეთი არჩევანი ხშირად. ისიც რატომ გვავიწყდება, რომ ევროპული ორიენტაცია – განათლება, ადგილმდებარეობისდა მიუხედავად, სწორედ რუსეთიდან შემოვიდა საქართველოში?! ან “შუაზე გაკრეფილი” პარტიები (ახლები და ქდმ) იმიტომ ხომ არ ითხოვენ პოლიტიკურ პროცესებში მაინცა და მაინც ახლა ჩართვას, რომ ჯერ ერთი, ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები ახლოვდება, მეორეც – კონსტიტუციაში დასაფიქსირებელ ნაციონალების ამ მოთხოვნას “მისმა სატელიტმა” პარტიებმაც რომ დაუჭიროს მხარი და “ანგარიშიც ნაცების სასარგებლოდ დაჯდეს”? პოლიტიკურ პროცესებში გარკვეული სუბიექტების ჩართვა-არჩართვასაც, დემოკრატიის პრინციპიდან (ხალხის მმართველობა და მისი აზრის გაზიარება) გამომდინარე, ისევ საზოგადოება, ხალხი და არა მხოლოდ პოლიტიკოსები, ან უცხოური გრანტებით ნაკვები სოკოებივით აღმოცენებული გაურკვეველი მიზნების არასამთავრობოები უნდა წყვეტდნენ! თუმცა, როგორც ყველაფერი სხვა დანარჩენიც, როგორც სჩანს ესეც, სამწუხაროდ, “აქოური, ქართული დემოკრატიის წესია”?! ისევე, როგორც საკუთარ სამშობლოში უცხო ქვეყნის დირექტივებით ცხოვრებაც, დამნაშვეებთან, ქართველი ხალხის “სისხლის მსმელებთან”, ტერიტორიების დამკარგველებთან და დაუცველ პატიმრებზე ფიზიკურ მოძალადეებთან საზოგადოების ე.წ. “იძულებითი კოაბიტაციაც”– ანუ მშვიდობიანი თანაცხოვრებაც! ამას ვეძახით დემოკრატიას და ადამიანის უფლებების დაცვას, ხალხნო?! ასეთ დემოკრატიაში ადამიანის, როგორ უფლის შექმნილის ადგილი არ არის?! ასეთ დემოკრატიაში მხოლოდ სადიზმის, გარყვნილებისა და ადამიანური ღირსების სრულ გათელვასა და შელახვაზე შეიძლება საუბარი! ეს ის “დემოკრატიაა”, სადაც ნაციონალების სამსახურებიდან გაშვება “პოლიტიკური დევნაა”. მათგან სამსახურებიდან ათასობით გაშვებულმა და ბიძინა ივანიშვილის უანგაროდ ერთგულმა ადამიანმა კი სიცოცხლის ბოლომდე უმუშევრად, ხელისუფლებისა და ე.წ. ოპოზიციის “კოაბიტაციის” შემყურემ უნდა დაასრულოს სიცოცხლე?! ვასიკო ოდიშვილმა სააკაშვილს ურჩია: “ისლა დაგრჩენია, შუშის სასახლეში გამოიკეტო და ახალი ჯიშის ჰიბრიდული ნაციონალები გამოიყვანოო”. სააკაშვილს ეგეც არ სჭირდება – მის ნაცვლად, მისმა ლობისტებმა ამაზეც იზრუნეს! ჯერ კიდევ 95 წლიდან, პოლიტიკოსთა ნაწილიდან დიდი ხანია შექმნილია “ახალი ჯიშის ჰიბრიდული ნაციონალები”! ისინი, ვისაც “პოლიტიკური ბიზნესის” გარდა სხვა სპეციალობა არ გააჩნიათ! ვისაც “მსოფლიო მთავრობა” თავიანთ “გავლენის აგენტებად” მიიჩნევს! ვინც ყოველთვის და ყველაფერზე ხელის მომწერი იყო პოლიტიკაში დარჩენის და ხალხის ხარჯზე ფულის კეთების სანაცვლოდ! **იმიტომ ხომ არ ხდება ეს ყველაფერი, რომ დღეს ბიძინა ივანიშვილის ზურგით პარლამენტში მოხვედრილი ყოფილი ოპოზიციონერები “იგივე თამროები” არიან რაც ადრე! ზუსტად ისევე უჭირთ დღეს რიგითი, პროფესიონალი და მათზე ერთგული ადამიანების წინსვლის დანახვა, როგორც აქციებზე, „პრივატიზებულ“ მიკროფონებთან რიგითი მოქალაქეების მიშვება უჭირდათ! დღესაც ისევ ისე ჩაწიხლავენ, გვერდზე გაწევენ ნებისმიერ მათზე ნიჭიერ და ჭკვიან ადამიანს თავიანთი კარიერული წინსვლისთვის – როგორც ამას წლების განმავლობაში აკეთებდნენ!** ამიტომაც, “მოჯადოებულ წრეზე” ტრიალებს ჩვენი ქვეყანა და როგორც კი, ამგვარ პოლიტიკოსებზე ცოტათი მეტი ქვეყნის პატრიოტი, ხალხში მეტი ავტორიტეტის მქონე და მართლა ქვეყნის ბედზე მჭმუნავი ადამიანი გამოჩნდება – აქედან პოლიტიკური პარტიები და მათი სახეები, იქედან კი პატრიოტობაზე, სამშობლოს სიყვარულზე და ეროვნულობაზე “ცოფიანი ძაღლებივით დაგეშილი” არასამთავრობო სექტორი მიესევა. ხალხი კი ასეთი პოლიტიკოსების შემყურე თანდათან იმედის იმ ბოლო ნაპერწკალსაც კარგავს, რომელიც ანთებასაც ამდენი წელია ელოდა და თითქოს საბოლოოდ ამ იმედმაც ჰპოვა ასრულების შესაძლებლობა. რა გახდა ეს პოლიტიკური ამბიცია და თანამდებობა, ნუთუ ქართველობაზე, სამშობლოზე და შვილების ბედნიერ მომავალზე მეტია “დღევანდელი დღის კვერცხი”?! **ნუთუ ამ პატარა, მაგრამ მაინც დიდ საქართველოში და ქართული ცის ქვეშ მხოლოდ ერთი და იგივე სახეების, უცხო ქვეყნის დავალებების შემსრულებლების ადგილია, სამშობლოს ერთგული ადამიანების კი არა?!**

„მაა გოგიას რა? რა და ვირის თავფეხიო!“, – ასე გამოიყურება დღეს რიგითი ქართველების მდგომარეობა!

**ბაია ამაშუკელი**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

მსოფლიო პრესის მიხედვით

# vin gadaajvaredina relsebi amierkavkasiaSi



**რუსეთი კვლავ ლობირებს სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას აფხაზეთის გავლით. ამ პროექტს ბევრი გავლენიანი მოწინააღმდეგე ჰყავს და ეს არც არის გასაკვირი: მასზეა დამოკიდებული სომხეთისა და მთლიანად სამხრეთ კავკასიის მომავალი.**

აფხაზეთზე გამავალი საქართველოს და სომხეთის დამაკავშირებელი საბჭოური რკინიგზის აღდგენა კარგა ხანს მივიწყებული საკითხი იყო და ახლა მან აქტუალობა შეიძინა. როგორც ჩანს, დაინტერესებულმა მხარეებმა ნიადაგი მოსინჯეს, მომხრეები და მოწინააღმდეგეები გამოავლინეს და გადაწყვიტეს: ამის გაკეთება აუცილებელია.

აპრილში რუსეთის სახელმწიფო სათათბირო ქართველი და რუსი პარლამენტარებისგან ჩამოაყალიბებს არაფორმალურ ჯგუფს, სადაც ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაუმჯობესების, მათ შორის რკინიგზის აღდგენის საკითხზეც იმსჯელებენ. ამ ინფორმაციას საქართველოს პარლამენტში არ ადასტურებენ, თუმცა თბილისში ამის ცოტას თუ სჯერა; უპირველესად კი მიხეილ სააკაშვილს, რომლის განცხადებითაც, აფხაზეთის მონაკვეთის გახსნით რუსეთი „კავკასიაში ექსპანსიის ინსტრუმენტს მიიღებს“. გზის გახსნა საშუალებას მისცემს რუსეთს, ოკუპირებულ აფხაზეთში, საქართველოსგან დაუკითხავად, ინვესტიციები და თანხა მოიზიდოს. ეს ყველაფერი ასჯერ უფრო გაართულებს აფხაზეთის რეინტეგრაციას და სხვა სახის პოლიტიკურ და ეკონომიკურ პრობლემებს შექმნის“. მისივე თქმით, „რუსეთმა მიითვისა ოკუპირებული აფხაზეთის რკინიგზა“ და მას შორს გამიზნული გეგმები გააჩნია...

ამ რკინიგზის მოწინააღმდეგეებს აშინებთ შესაძლო სამხედრო მოქმედებები ირანის მიმართ: აფხაზეთის გზით რუსეთი იოლად შეიქმნის დერეფანს სამხედრო მოქმედებების ადგილამდე მისასვლელად.

გარდა ამისა, ხომ არ წაართმევს აფხაზეთის გზა ტვირთს ბაქო-ყარსი-ახალქალაქის მომავალ მაგისტრალს — ამ რკინიგზის საქართველოს მონაკვეთისთვის აზერბაიჯანი 700 მილიონ დოლარზე მეტ ინვესტიციას დებს. მართალია, საქართველომ უნდა დააბრუნოს ეს ფული, მაგრამ 25 წლის შემდეგ, სიმბოლური პროცენტებით და იმ საშუალებების ხარჯზე, რასაც ტრანზიტის მეშვეობით გამოიმუშავებს.

აზერბაიჯანს საქართველოზე ზემოქმედების ბერკეტები საკმარისად აქვს: იგი საქართველოს აწვდის იაფ გაზს, რომლის ალტერნატივა შესაძლოა, მხოლოდ რუსეთის ენერგეტიკული რესურსი იყოს. საინტერესოა, რა ბედი ეწევა აზერბაიჯანულ ინვესტიციას საქართველოში?

რასაკვირველია, აზერბაიჯანი ვერ წაიღებს საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ საექსპორტო ნავთობ და გაზსადენებს. მაგრამ სომხეთის ფაქტორი (არსობრივად კი — რუსეთის; თანაც აფხაზეთის მონაკვეთზე რკინიგზის აღდგენაზე თბილისის თანხმობა აღიქმება საქართველოს ორიენტაციის ჩრდილოეთისკენ შეცვლის ფაქტად) ხელს არ შეუწყობს სამომავლო გეგმას, რომლის თანახმადაც, საქართველოს ტერიტორიის გავლით აზერბაიჯანული ენერგორესურსების დასავლეთისთვის მიწოდება უნდა გაფართოვდეს.

რას მიიღებს სანაცვლოდ საქართველო, თუკი აზერბაიჯანის სახით მოკავშირესა და ფულს დაკარგავს?

თბილისელი ექსპერტების აზრით, ამით თითქმის ოფიციალურად იქნება აღიარებული ყოფილი ქართული ავტონომიის სუვერენიტეტი. აფხაზეთი არცთუ დიდი ხნის წინ ამ გზის გახსნას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა, ახლა კი მოითხოვს, რომ რკინიგზა მას ეკუთვნოდეს. სოხუმი აგრეთვე ითხოვს, საქართველომ აფხაზეთთან არა ადმინისტრაციული, არამედ სახელმწიფო საზღვარი აღიაროს, საომარი მოქმედებების განუახლებლობის შესახებ შეთანხმებას ხელი არა რუსეთთან, არამედ საქართველოსთან მოაწეროს.

აშკარაა, რომ აფხაზეთს აღარ სურს, დამოკიდებული იყოს რუსეთის ფულზე და ტურიზმზე. ეს უკანასკნელი დიდად სახარბიელოდ ვერ ვითარდება, რადგან აფხაზეთში ძირითადად რუსეთისა და უკრაინის მოკრძალებული შემოსავლის მოქალაქეები ისვენებენ; ანუ დღესდღეობით, აფხაზეთი სერიოზულად ფიქრობს საკუთარი ეკონომიკის დივერსიფიკაციაზე და სატრანზიტო შემოსავალი ერთ-ერთ სუვერენულ წყაროდ მიაჩნია.

მოყვანილი არგუმენტების მიღმა არ უნდა დაიკარგოს ისიც, რომ ახლანდელი გეოპოლიტიკური რეალიების გათვალისწინებით, პრაქტიკულად ყველა ძირითადი რეგიონალური მოთამაშე თავიანთი ყოფილი „იმპერიების“ ან აღდგენას, ან მის გაფართოებას ესწრაფვის. ასეთ დროს სამხრეთ კავკასიის მოძველებულ კომუნიკაციებს სერიოზული როლის შესრულება შეუძლია.

ამ მოედანზე საქართველო ყველაზე მოკრძალებული მოთამაშეა: მას მოწყვეტილ ტერიტორიებთან მხოლოდ რეინტეგრაციული პროცესის დაწყების პრეტენზია გააჩნია. მაგრამ არსებობენ სხვებიც, რომლებიც ოფიციალურად თუ იდეის დონეზე, მიწების შემოკრებაზე ოცნებობენ: ანკარა ოსმალეთის იმპერიის საზღვრებში „თურქული მშვიდობის“ დამყარებაზე ფიქრობს, ბაქო — თავის „სამხრეთ“ და „დასავლეთ“ აზერბაიჯანზე... და რაოდენ სახალისოც არ უნდა იყოს, ერევანს „დიდი სომხეთის“ ნოსტალგია აწუხებს.

რას ფიქრობს დასავლეთი? იგი აქტიურად და წარმატებით მხარს უჭერდა რუსეთის გვერდის ავლით საქართველოს ენერგეტიკული დერეფნის გახსნას (ნავთობსადენი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი და გაზსადენი ბაქო-თბილისი-ერზერუმი), ამკერად კი სამხრეთკავკასიური დერეფნის გაფართოებით არის დაკავებული.

იგივე დასავლეთი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის შენებლობას და მის დაფინანსებაზე უარი განაცხადა. ამბობენ, რომ ეს სომხეთის გამო მოხდა — დასავლეთს თითქოსდა უნდოდა, ერევანი ამ პროექტში ჩართულიყო, რაც არ მოხდა. სინამდვილეში კი, სომხური გამოცემა “რაგირ-ის მტკიცებით, „დასავლეთს უბრალოდ არ სურს, რეგიონის ერთადერთი სარკინიგზო მაგისტრალი აზერბაიჯანისა და თურქეთის ამარა დატოვოს“.

ამიტომაც არის, რომ დასავლეთს ალტერნატიული აფხაზური გზა დიდად არ აღიზიანებს. „ეს პროექტი შესაძლოა, მართლაც გახდეს კონკურენტული, მით უმეტეს, რომ გზის მშენებლობის ხელახლა დაწყება საჭირო არ არის, მისი მხოლოდ და მხოლოდ მოდერნიზაციაა აუცილებელი. სხვათა შორის, აფხაზეთის რკინიგზის ამუშავებით, დასავლეთისთვის სახიფათო ყარსი-ახალქალაქის პროექტი შესაძლოა, საკმაოდ პროდუქტიულ მაგისტრალად იქცეს“, — წერს სომხური გამოცემა.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ დასავლეთი, ერთი მხრივ, სიფრთხილით შეჰყურებს რუსეთის გავლენის გაძლიერებას რეგიონში, მეორე მხრივ კი, იქიდან მისი სრულად განდევნაც არ სურს: ევროპის, აზიისა და ახლო აღმოსავლეთის გზაჯვარედინზე ინტერესების გონივრული დაბალანსების მომხრეა.

სავარაუდოდ, ეს უკანასკნელი გარემოება საქართველოს ახალ პრემიერს აფხაზეთის მონაკვეთზე რკინიგზის გახსნის სტიმულს აძლევს. ეს ნაბიჯი სავსებით ადეკვატური იქნებოდა ქართულ-რუსული ურთიერთობის აღდგენის ფონზე — იგი გავლენას მოახდენს როგორც ეკონომიკურ (რუსეთის ბაზარზე ქართული პროდუქციის დაბრუნება, ურთიერთობა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ფარგლებში), ისე სტრატეგიულ ბალანსზე.

აფხაზეთის რკინიგზის ამუშავება საქართველოს ხელისუფლებას აფხაზეთთან კონფლიქტის საკმაოდ ეფემერული ტრანსფორმაციის იმედს უჩენს. გარდა ამისა, მოუგვარებელია ტვირთის ტრანსპორტირების უსაფრთხოება და მისი მონიტორინგი (ყველა მხარის, საერთაშორისო ძალების და ა.შ.).

რკინიგზის მშენებლობის მიზანშეწონილობა უამრავ შეკითხვას აჩენს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და სამხედრო საკითხებთან დაკავშირებით, მაგრამ მათზე პასუხები არც ერთ დაინტერესებულ მხარეს არ გააჩნია. ასეთ ვითარებაში, შესაძლოა, რკინიგზა სამხრეთ კავკასიაში კიდევ უფრო მეტი დაძაბულობის დეტონატორიც გახდეს.

მეორე მხრივ, მხარეების სრული ადეკვატურობისა და თანასწორობის პირობებში, ამ გზას შეუძლია დააჩქაროს ინტეგრაციული პროცესები რეგიონში და შეამციროს დაძაბულობა, რომლის გრადუსის კორექტირებას გამუდმებით და მკაცრად უნდა ახდენდნენ. თუ ისტორიას ვენდობით, კავკასიის რეგიონში სრული ადეკვატურობა სხვა არაფერია, თუ არა ოცნება.

**rosbalt.ru**

# WeSmariteba qarTul RvinoSia

**ვის ეკისრება პასუხისმგებლობა რუსულ-ქართული ურთიერთობის ახლანდელ ორმხრივ მდგომარეობაზე? ამ საკითხზე მსჯელობა შესაძლებელია ხანგრძლივად და ხმამაღლა, მაგრამ შედეგს არ მოგვცემს, ჩიხში აღმოვჩნდებით. ბევრი ანალიტიკოსის აზით, უფრო სასურველი და შედეგიანი იქნებოდა მშვიდი დიალოგი, რომლის დროსაც უმთავრესად შექმნილი ვითარების განმუხტვის გზებზე იმსჯელებდნენ.**

პოსტსაბჭოთა სივრცეში საქართველო პირველი სახელმწიფოა, სადაც ვარდების ფერადმა რევოლუციამ გაიმარჯვა და იმავდროულად, უკანასკნელიც, სადაც იმავე რევოლუციონერებმა, თითქმის ცხრაწლიანი მმართველობის შემდეგ, ეს ძალაუფლება დაკარგეს.

საქართველო ერთადერთი სახელმწიფოა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებს შორის, რომელსაც ერთ დროს ძმურ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა ოფიციალურად გაწყვეტილი აქვს.

ახალმა ხელისუფლებამ თავის ჩრდილოელ მეზობელთან ურთიერთობის მოგვარება პრიორიტეტულ ამოცანად ჯერ კიდევ საარჩევნო კამპანიის დროს აღიარა. „ქართული ოცნების“ გამარჯვება და მასთან ერთად ხელისუფლების ცვლა რუსეთთან მოლაპარაკებების დაწყების პირობა გახდა. სააკაშვილს კი, რომელსაც საპრეზიდენტო ვადა ჯერ არ ამოსწურვია, მოსკოვი არ ელაპარაკებოდა და არც ახლა აპირებს ამას.




რუსეთი საქართველოს ახალ ხელისუფლებას ყურადღებით აკვირდება და მას საამისო მიზეზი გააჩნია: 1. ბიძინა ივანიშვილის მთავრობის განცხადებით, ისინი რუსეთთან ურთიერთობის დათბობას ესწრაფვიან, მაგრამ ვიდრე აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ოკუპირებულია, ორი ქვეყნის დიპლომატიური კავშირი ვერ აღდგება; 2. საქართველოს ახალი ხელისუფლება არ აპირებს შეცვალოს პროდასავლური გეზი და უარი თქვას ამერიკასთან სტრატეგიულ ურთიერთობასა და ნატო-ს წევრობაზე.

საქართველოს მხრიდან არსებობს სხვა გზავნილებიც — რუსეთის მხარე უნდა დარწმუნდეს, რომ „ახალი პერიოდი“ დადგა და ურთიერთობა ახალი ფურცლიდან არის დასაწყები. საქართველო არ აპირებს სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტს, შესაბამისად, რუსეთს შეუძლია მშვიდად იყოს, რომ ნერვების მომშლელი „რაღაც-რაღაცები“ (თუნდაც ჩერქეზების გენოციდით ინსპირირებული) არ იქნება. ამავე კონტექსტში უნდა განვიხილოთ ანტირუსული სატელევიზიო არხის Ï ÈÊ-ის მუშაობის შეწყვეტაც.

თბილისი ყოფილი ავტონომიების — აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსის საკითხზე ლაპარაკს ნაადრევად მიიჩნევს და ურთიერთობის მოსაგვარებლად საგარეო სამინისტროსგან დამოუკიდებელ სრულიად ახალ სტრუქტურას ქმნის. ივანიშვილმა ამ გადაწყვეტილებით მკაფიოდ განმარტა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს საკითხი საქართველოსთვის. ამას მოჰყვა რუსეთის საგარეო უწყების პოზიტიური პასუხი.

ურთიერთობის აღდგენის გზაზე სასინჯი დარგია ვაჭრობა — საერთაშორისო გამოფენაზე Ïðîäýêñïî-2013 საქართველოს პატარა პავილიონი ერგო, წარმატებით მიმდინარეობს ქართული ღვინის რუსეთის ბაზარზე დაბრუნების პროცესი, თბილისში რუსი სპეციალისტები ქართული ღვინის და მინერალური წყლის ინსპექტირებას აპირებენ... მოკლედ თუ ვიტყვით, გააქტიურება სხვადასხვა ფრონტზე შეინიშნება. ყინული მათალია არ გამლხვალა, მაგრამ ნელ-ნელა დნობა დაიწყო.

t

**მიმოხილვა მოამზადა გ. ჭავჭავაძემ.**

# საქართველოს იუსტიციის მინისტრს ქალბატონ თეა წულუკიანს საქართველოს მთავარ პროკურორს ბატონ არჩილ კბილაშვილს

„საერთო გაზეთმა“ (№31 2012წ) მკითხველს მამა-შვილის, ექიმი-მეცნიერის ჯიმშერ ჩაჩიბაიასა და შაქრიანი დიაბეტით დაავადებული, II ჯგუფის ინვალიდის, ინსულინდამოკიდებული ჯიმშერ ელიზბარაშვილის ბედუკუღმართობის შესახებ ამცნო, ხოლო შესაბამის ორგანოებს შეახსენა, რომ გადასახედი ჰქონდათ პატიმრობაში მყოფ ხსენებულ პირთა საქმე, თუმცა, ამაოდ.

ნაახალწლევს სასჯელაღსრულების ქსნის №15 დაწესებულებიდან თხოვნით მოგვმართეს ხსენებულმა მამა-შვილმა დავხმარებოდით და ღია წერილის სახით ხმა მიგვეწვდინა მთავარი პროკურორისთვის, ბატონი არჩილ კბილაშვილისა და იუსტიციის მინისტრის, ქალბატონ თეა წულუკიანისთვის.

ბატონ არჩილ კბილაშვილსა და ქალბატონ თეა წულუკიანს!

ბატონო არჩილ და ქალბატონო თეა, მოგმართავენ მამა-შვილი ჯიმშერ ჩაჩიბაია და ჯიმშერ ელიზბარაშვილი, რომლებიც თვლიან, რომ არიან არა დამნაშავეები, არამედ კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი უფროსის ირაკლი კოდუას მსხვერპლნი.

– 2010 წლის 10 ოქტომბერს ირაკლი კოდუას, მისი მოადგილის ბედიას, მთავარი პროკურატურის დეპარტამენტის ყოფილი უფროსის, ამჟამად ქ. თბილისის პროკურორის მოადგილის თხელიძის, მისი მოადგილის, ჯალათი ფრანკო ანყოსის და პროკურორ ხარებავას მიერ დადგმული იქნა

სპეცოპერაცია, სპექტაკლი, რომლის დროსაც გამოიყენეს 20 შეიარაღებული დეტექტივი და რამდენიმე მანქანა. ჯალათმა გამომძიებელმა ბადრი დარბაიძემ ინვალიდ ბიჭს ჯიბიდან ამოუღო მისი კუთვნილი ბინის გასაღები, სასამართლო დადგენილების გარეშე შევიდა ბინაში თანამზრახველ დეტექტივებთან ერთად (მ. აბლოთია, ნ. გეგეშიძე, ი. ჯიხურაშვილი) და „ჩადეს“ ნარკოტიკი (მორფინი ჰიდროქლორიდის 20 ამპულა) და ავტომატ „აკს-ის“ მჭიდი 30 ვაზნით.

მას შემდეგ (მანამდეც, დაკავების დროს), რაც წაგვიყვანეს შსს-ს შენობაში, რა თქმა უნდა, ადვოკატის გარეშე, „დაკითხვის“ დროს, ჯალათები სიტყვიერი შეურაცხყოფის თანხლებით გვაწამებდნენ როგორც ფსიქოლოგიურად, ასევე ფიზიკურად, გვცემდნენ, გვიკეთებდნენ დახრჩობის იმიტაციას (ი.კოდუა), გვემუქრებოდნენ გაუპატიურებით, ახლობლების დაპატიმრებით და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ გვეღიარებინა დანაშაული, რომელიც არ ჩაგვიდენია.




განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა I სამმართველოს უფროსი და გამომძიებელი ტარიელ ალავიძე (კოდუას მიერ ჯიმშერ ელიზბარაშვილის ხელზე ჩამწვარი კვალი დღემდე თვალსაჩინოა). 8 საათზე მეტი ხნის განმავლობაში მანამ, სანამ არ მიხვდნენ, რომ ადამიანი კვდებოდა, არ მისცეს ინსულინის გაკეთების საშუალება... წამებისა და ცემის დროს ჩვენთვის მოყენებული დაზიანებები აღწერილია დროებითი მოთავსების იზოლატორის ექიმის მიერ გარეგანი დათვალიერების ოქმში, მათ შორის, დახრჩობის კვალიც. ამ საქმის შესახებ ცნობილია ევროკავშირის ადამიანთა წამების წინააღმდეგ არსებული კომიტეტისთვისაც, რომელმაც ციხეში დელეგაციაც გამოაგზავნა.

ჩვენზე განხორციელებული წამების ფაქტებზე 26.11.2011 წ. თბილისის პროკურატურაში ანტიკორუფციული სამსახურის მიერ აღძრული იყო საქმე ს.ს საქმე №010121111801 მაგრამ არავინაა დაკითხული ჩვენს გარდა და ჩვენც დაკითხული ვართ მოწმის სტატუსით და არა როგორც დაზარალებულები, თან ისე, რომ არ წარმოგვიდგინეს ამოსაცნობი პირები. ეს ყველაფერი იმ ფონზე, როცა ჩვენ წარვუდგინეთ მტკიცებულებები და დავუსახელეთ ჯალათი გამომძიებლების ვინაობა: ტარიელ ალავიძე, ბადრი დარბაიძე, ბექაური, ფერანი, ლ. ომარაშვილი, კ. კატუკია, ნ. გეგეშიძე, I სამმართველოს უფროსი და კიდევ 2 ჯალათის აღწერილობა. ს.ს საქმე აღძრული იყო სსკ-ის 333-ე მუხლის I ნაწილით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) და არა 144-ე მუხლის 1-2-3 ნაწილით (წამება). პროკურატურამ გამოძიება მხოლოდ ფორმალურად დაიწყო, არც ერთი პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ განხორციელდა, რათა მათ არ დაასახელონ პირები, ვინც მათ დაავალა ნარკოტიკებისა და ვაზნების ჩადება და ჩაუდენელი დანაშაულის იძულებითი აღიარების გამო ჩვენი წამება.

ალვნიშნავთ, რომ პროკურატურაში დღემდე არაფერი შეცვლილა ჩვენს სასიკეთოდ – დეპარტამენტის უფროსის მოადგილე არის ხსენებული ფრანკო ანყოსი, რომელიც კვლავ აიძულებს დაკავებულებს მისთვის საჭირო ჩვენების მიცემას; ასევე, მთავარი პროპკურატურის პროკურორია თენგიზ ხარებავა (მასმედიაში არაერთხელ ითქვა მის შესახებ) და ახლა უკვე თბილისის პროკურორის მოადგილეა ბესიკ თხელიძე.

ღამის საათებში (რა თქმა უნდა, ადვოკატის გარეშე. ადვოკატი გელა ნიკოლეიშვილი) დროებითი მოთავსების იზოლატორში შემოდიოდნენ ი. კოდუა, დ. ბედია, ხოლო №8 დაწესებულებაში ა. მუხაძის ხელშეწყობით ბესიკ თხელიძე და ფრანკო ანყოსი, რომლებიც გვაიძულებდნენ საპროცესო შეთანხმებაზე დათანხმებას, ნათესავებსა და ახლობლებლებზე ჩვენებების მიცემას, უარს კი ცემა მოსდევდა. მამა, ჯემალ ჩაჩიბაია, არაერთხელ სცემა ცნობილმა ჯალათმა ო. ფაცაციამ, ოფიცერმა „გოგიტამ“, მ. ღვინიაშვილმა, მეტსახელად „ქოსა.“ ინვალიდი ჯიმშერ ელიზბარაშვილი რამდენჯერმე სცემეს ე.წ „დპნკ-ის“ თანამშრომლებმა (ოფიცერი „დათო“, „პალიჩი“, „ქუთაისელი“) სასამართლო პროცესის შემდეგაც, რომლებმაც ცემა ახსნეს როგორც პროკურატურის დავალება, რათა სასამართლოზე არ დაგ-



ვეცვა თავი. თვეების მანძილზე გადაკეტილი გვქონდა წერილების გაგზავნის უფლება...

იმის შემდეგ, რაც ჩვენ აქტიურად დავიწყეთ მოთხოვნა ი.კოდუას, ბ. თხელიძის, ფ. ანყოსის, თ. ხარებავას და დ. ბედიას წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ სსკ-ის მუხლი 333 მე-3 ნაწილით, მუხლი 143 მე-3 ნაწილით, $144^1$ მე-2 ნაწ., $144^2$, $144^3$ მე-2ნაწ. $369^1$ მე-3 ნაწ., 260 მე-2 ნაწილით, 06.12. 2012 წელს უეცრად გადაწყვიტეს ჩვენი, მამა-შვილის დაშორება. ი. კოდუა და მისი მოადგილე დ. ბედია შეპირებულები არიან, რომ აუცილებლად გაიგებენ ჩვენი განთავისუფლების თარიღს და დაგვიხვდებიან.

ჩვენი საჩივრები იუსტიციის სამინისტროდან გადაგზავნილი იყო დაინტერესებული მხარის, მთავარი პროკურატურის მისამართით, საიდანაც მივიღეთ პასუხი, რომ პროკურორების ქმედებები კანონსაწინააღმდეგოს არაფერს შეიცავენ, ანუ ნარკოტიკებისა და ვაზნების ჩადება, წამება, ცემა და გამუდმებული ზეწოლა ნორმაა.

ხსენებული პირების, ი.კოდუას, ბ. თხელიძისა და ფ. ანყოსის ბრძანებით 50-ზე მეტი დაუშვებელი მტკიცებულებით, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს კოლეგიის მოსამართლემ მ. ცერცვაძემ, ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებმა მ. ლომთათიძემ, გ. რემიამ და მ. ხოლუაშვილმა (ცნობილი „მკვლელი მოსამართლეები“) გაგვასამართლეს და მოგვისაჯეს თავისუფლების აღკვეთა 30 და 32 წლით. უზენაესი სასამართლოს უსამართლო მოსამართლეებს (მ. ოშხარელი, პ. სილაგაძე, გ. შავლიაშვილი) არ ეყოთ სიმამაცე და მოგვეხსნა მხოლოდ ერთი მუხლი და 6 წელი. პროკურატურამ და მოსამართლეებმა გააყალბეს მოწმეების ჩვენებები, ყველაფერი, რაზეც ხელი მიუწვდებოდათ და არ განიხილეს ჩვენს მიერ წარდგენილი არც ერთი საბუთი, გაგვწირეს ნელი სიკვდილისთვის.

ჩვენ ასევე მივმართეთ მთავარ პროკურატურას მოსამართლეების წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებაზე და იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დისციპლინარულ დევნაზე, თუმცა, ვიცოდით, რომ არანაირ პასუხს არ მივიღებდით, რადგან იუსტიციის საბჭოს მდივანი ვ. ცერცვაძე მხოლოდ ნეპოტიზმითაა დაკავებული.

გთხოვთ, ვინაიდან ვთვლით, რომ ჩაუდენელი დანაშაულისთვის ვიხდით სასჯელს, გადახედოთ ჩვენს საქმეს (ამნისტიის შედეგად 9-9 წელი დაგვრჩება) და ამასთანავე, ბოლომდე აღასრულოთ სამართალი და სათანადოდ დაისაჯონ კონკრეტული პირები იმ დანაშაულებათა გამო, რაც ჩვენს მიმართ ჩაიდინეს.

**პატივისცემით**
**ჯიმშერ ჩაჩიბაია და ჯიმშერ ელიზბარაშვილი**

---

ვიღაცის თავში გაჩნდა იდეა, რომელიც ჩიორამ და მეგობრებმა გაიზიარეს. სასწრაფოდ მოიტანეს თეთრეული - ახალი, ნაკეცებიანი. გაშალეს მისაღების ტახტზე, ჩიორას ამოაცვეს პიჟამა და ვარდისფერ-გალაჟღაჟებული დაახვედრეს ევროპარლამენტარს, რომელიც უხერხულობისგან ისე შეცბა, რომ ჩიორას სასთუმალს უსწრაფესად გაეცალა. ტყუილი და თან ასეთი უნიჭო - რა საცოდავია ეს გოგო.

შენ, ლოგინი თქვი - ჩიორა ტრაპიზონიდან მოფრინდებაო...

ივანე ტკბილადმოუბარმა, ამაყად შევდივარ ჩვენს მიერ აშენებულ იუსტიციის სახლშიო... ჯერ სად ხარ ვანო, თქვენს მიერ აშენებულ ციხეში რო თავაწეული და ამაყი შეხვალ ის იქნება ძაან მაგარი.




თაქთაქიშვილის მოლოგინება იმაზე მეტი სამარცხვინო და მიუღებელია, ვიდრე მასზე გარტყმული ხელი. ვინაიდან მას საერთო არეულობაში შესაძლებელია შემთხვევითი ხელი მოხვედროდა. რასაც მაინც არ ვამართლებ მაგრამ როდესაც სხვის დასანახად სახლში წვები და სცენარს დგამ, ამის გამართლებას მხოლოდ ნაციონალი თუ შეძლებს. აბა წესიერ ადამიანებში ზიზღის მეტი სხვა რეაქცია ნამდვილად არ იქნებოდა!:(((

ჩიორა თაქთაქიშვილს ექიმებმა მოძრაობა აუკრძალეს - კისერი აქვს დაზიანებული დარტყმისგან

ეს ფრინველი ასეთ ჭუჭყიან ტახტს რომ არ დაფრენოდა და ცოტა უფრო სუფთა ბუმბულში გახვეულიყო, გაცილებით ესთეტური შესახედავი იქნებოდა და ხალხი ამდენს აღარ დასცინებდა :))) ეს ბებერი კაცი რომ მიჰგვარეს ლოგინთან, ამან ხომ მთლად “გამაფუჭა”... სიცილისგან ისე ცუდად გავხდი, წყალმაც არ მიშველა ))))) თან ერთი ძველი ამბავი გამახსენდა... მოხუცი ქმარი ქე რომ ახლოს მიჩოჩებულ ცოლს ეტყვის, კაცო ამ დინამოს რომ უძახიან, დინამო, დინამო, დინამოოოო, მე რომ მიძახო ეხლა მიხეილ, მიხეილ მიხეილ, ეშველება ამ ოხერს რამეო? :))))) დინამოს კიდევ შეიძლება ეშველოს, მაგრამ ჩიორას, ევროპის სახალხო პარტიის ვიცე-პრეზიდენტ, გიუნერ ჰოკმარკს და ამ “აქციის” დამგეგმავს, აწი აღარაფერი უშველით... მიშა კაპუტ!!! :)))))

## ჯემალ დავლიანიძე

### ანტიკური ხანის კომუნისტები

დღეს მთელი მსოფლიო ბღავის, რომ ერთადერთი საქართველოა, რომელიც რუსეთის ფედერაციას წინ აღუდგა და ებრძვისო. ყველა, უკლებლივ ყველა, ცდილობს რუსეთთან მომგებიანი კავშირები ჰქონდეს, ჩვენ კი, როგორც პატარა ფინიას, გვაყეფებენ და ახალი მსოფლიო სისხლისღვრის მიზეზად სურთ გვაქციონ! ჩვენი ბედოვლათი და ბრიყვი პოლიტიკოსები კი დღე და ღამ რუპორებით, მოწოდებებით, ათასგვარი მიზეზით „ებრძვიან არადემოკრატიულ რუსეთის იმპერიას“ და სულაც არ ფიქრობენ იმაზე, რომ დღეს თუ ხვალ, კიდეც რომ მოგვეხმაროს ევროამერიკა რუსეთის წინააღმდეგ ატეხილ ომში, ჩვენგან რაღა დარჩება?კითხვას აღარავინ სვამს, - რატომ აქციეს ჩვენმა, მოღალატე პოლიტიკოსებმა ევროამერიკის და რუსეთის ფედერაციის დაპირისპირების პოლიგონად ჩვენი საქართველო? ამავ დროს, ამ მსოფლიო ახალი წესრიგის მესვეურებს, სულაც არ ედარდებათ ჩვენი ხალხი რა დღეშია და ჩვენი ქვეყანა რომ ქუცმაცდება! არადა, ჩვენი წინაპრები, ჯერ კიდევ საუკუნეთა სიღრმეებში, თვით ყველაზე ძვირფასს, რჯულსაც კი იცვლიდნენ, რომ სამშობლოს თითო მტკაველი მიწა გადაერჩინათ. ესენი კი ყველაფერს — რწმენას, მამულს, ზნეობას, სინდისს, მიწა-წყალს, ყველაფერს ჰყიდიან ხელისუფლებაში ყოფნის და ოქროს წყურვილის გამო!

საქართველოს არა მხოლოდ ჰყიდიან, არამედ სამარეს უთხრიან. ეს პირშავი ორმო უკვე ნახევრად ამოთხრილია და ეს ჩვენი ხალხი, გაბანგული ევროამერიკული აგიტაციით, რუსეთს მუშტებს უტრიალებს ცხვირწინ.

და, რაც ყველაზე სამწუხაროა, ამ ბოლო ოციოდ წელიწადში იმდენი იმუშავეს, ისეთი გაჭირვება თესეს, იმდენი არეულობა მოაწყვეს, ისე წაჰკიდეს ადამიანები ერთმანეთს, იმდენი პარტია დააარსეს, ვეღარავინაა ჭკუაზე! სააკაშვილის ხელისუფლებას, რომელიც თვითონ არის დესპოტი, მტარვალი, მკვლელი და სისხლის მწოველი, ტაშს უკრავენ და ბღავიან: 2008 წელს რუსეთს ომი მოვუგეთო. უფრო მეტიც — პარალელს ავლებენ, რომ ადრე ასევე მოიგო ომი პოლონეთმა, ფინეთმა, ჩეხეთმა, სლოვაკიამ და ვგონებ ბალტიისპირეთის ქვეყნებმაც... შემდგომ ომები მოიგეს ჩეჩნებმა, დაღესტნელებმა და ა.შ. უსასრულოდ!

არა და არა! ქართველი კაცი უკვე ისე გამოათაყვანეს, რომ ფიქრიც ეზარება და ევროამერიკაში შევარდნაძის მიერ მზაკვრულად გაგზავნილ ჭაბუკების თუ ქალიშვილების ნააზრევს მსხვერპლად სწირავენ სამშობლოს...

ხედავთ რა უქნია ეძიკა შევარდნაძეს? როცა ის საქართველოში ერთმანეთს უპირისპირებდა მოსახლეობას, თვითონ კი ტერაქტებს იწყობდა ხშირ-ხშირად, თან, თურმე ევროამერიკისკენ მოსწავლეებს აგზავნიდა, რომ ძველი ბრძენი კაცების ოქმები შეესწავლათ, მსოფლიო, ტოლერანტულ მასად ქცეულიყვნენ, სამშობლოს ცნება დაეკარგათ, ზნეობა, სინდისი, ბაზარში, დახლზე დაედოთ გასაყიდად და ჰომოსექსუალური თავისუფლების და დემოკრატიის ძახილით, საქართველო დაღუპვის კარამდე მიეყვანათ. სამიზნედ კი რუსეთის ფედერაცია უნდა აეღოთ, რომ ევროამერიკას სალაპარაკო და სალანძღავი გასჩენოდა. თვითონ 30000 ლარი ხელფასები დაინიშნეს, ხალხს 10, 20, 70 ლარი და, რაც გამაოგნებელია, ამის მცოდნე ხალხი, ამ მართლაც წურბელებს და ანტიკური ხანის კომუნისტებს, ტაშსაც უკრავს , სინდისსაც აძლევენ და კიდევ იმას, რაც პიროვნებამ არასოდეს არ უნდა გაიმეტოს!

gagrZeleba. dasawyisi ix. `saerTo gazeTi~ #02

# mwaregakveTilebi

## evroamerika, ruseTi da saqarTvelo

## ციკლიდან: ომი ბნელეთთან — რიცხვი მისი 666

ახლა უარესი ხდება! ევროამერიკაში განათლებამიღებული, ანუ დაქოქილი ანუ აღზრდილი, ანუ იდეური, დაპროგრამირებული ხელისუფალნი, მანიაკურად ზრდიან ახალ თაობას, რომელიც ვეღარასოდეს გადაარჩენს ქვეყანას! რაღაც ამორფულ, უთავმოყვარეო, გარყვნილებისკენ, ნარკომანიისკენ მიდრეკილ მასის გამოყვანა-გამოძერწვას აპირებენ! კი არ აპირებენ, უკვე კიდეც გამოიყვანეს თავიანთ საშინელ, ინტერნაციონალურ ბანაკებში!

არის უსასრულო ყბედობა პოლიტიკოსებისა. კამათობენ, ვითომ აქვთ წადილი, რომ დაამყარონ დემოკრატია, არიან პოზიციაში, არიან ოპოზიციაში და ყველა ერთად, ევროამერიკის ინკუბატორებიდან გამოჩეკილნი ბრძანდებიან.

საბჭოთა კავშირის დაშლაზე ჰიმნებს „ჰგალობენ“ და ახალ ევროამერიკულ კავშირში გარბიან ყელზე თოკის შესაბმელად!

სამწუხაროდ, ამ ფერხულშია ჩაბმული კავკასიის სხვა ქვეყნებიც... მაგალითად ჩეჩენ ზაკაევს და მის მსგავს, როგორც ჩანს, ძალიან ახლომხედველ



ადამიანებს, ჰგონიათ, რომ ამერიკას და ევროპას ჩეჩნების სრულ დამოუკიდებლობაზე ამოსდით მზე და მთვარე. რუსეთიდან გამოქცეულები სამოთხეში შევაბიჯებთო, - ასე ფიქრობენ. ნუთუ საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა არ არის მათთვის საკმარისი, რომ მიხვდნენ ერთხელაც და სამუდამოდაც: ამერიკას მათი პაწაწინა ქვეყანა, დღევანდელი ჩეჩნეთის რესპუბლიკა, სათავისოდ რომ უნდა! რაღა თქმა უნდა, განა მხოლოდ კურორტად, ტურისტული თვალსაზრისით, ანდა წყაროს ცივი წყლის ჩამოსასხმელად, არამედ გროზნოს ნავთობს გაცოფებამდე მიჰყავს. მისი დალევა სწყურიათ! მისი ამოქაჩვა და ოკეანეს გაღმა უზარმაზარ რეზერვუარებში დაბინავება უნდათ. დანარჩენი კი — რაც ჩვენ, ქართველებს დაგვემართა, არა მხოლოდ ჩეჩნებს, არამედ ყველას უკლებლივ, დაუნდობელ ხახაში მოქცევა მოუწევთ... დაიძახებენ — ევროინტეგრაციააო! დიახ! შემდგომ საბაზრო ეკონომიკა! შემდეგ უსასრულო დახმარება! აღდგენითი სამუშაოები! გრანტები! თავისუფლების ინსტიტუტები, ფონდები! მსოფლიო ბანკი! სესხები და კიდევ სესხები... უმოკლეს ხანში, სანატრელიც კი გაუხდებათ იმ მდგომარეობაში ყოფნა, სადაც მანამდე იყვნენ.

საქართველოში უხშირესად ჩამოდიან გაეროს, ეუთოს, ევროკავშირის და ვინ იცის კიდევ, ათასნაირი ჯურის ნახევრად საიდუმლო ორგანიზაციათა მესვეურები და სიცილ-ხარხარით, ხშირად ღრეჯვა-სიცილით იძლევიან ინტერვიუებს — თქვენი ქვეყანა, ეკონომიურად, ფინანსურად წინ მიდის, თქვენი ხელისუფლება უსაყვარლესია, სიმართლით სავსეაო.

ჩვენ, ქართველები ვაგინებთ, საზღვარგარეთელი სტუმრები კი აქებენ!

ვითომ ღვინის ყანწით სმამ, დილით ხაშმა და ყაურმამ ათქმევინათ?

იქნებ ჯიბეში რაღაც საეჭვო დასტებიც ჩაუცურეს და შეუცურეს?

აბა, რა წინსვლაზეა საუბარი, როცა საქართველო-ში აღარაფერი აღარ იწარმოება და სოფლის მეურნეობა განადგურებულია?

ერთი რამ მინდა გკითხოთ, ჩემო მკითხველებო, აბა, თუ მიხვდით და გაარჩიეთ, შევარდნაძის ხელისუფლების შესახებ ვსაუბრობდით აქამდე თუ სააკაშვილისაზე?

გეთანხმებით, მართლაც ძალიან წააგავს ერთმანეთს. თითქმის არ არსებობს განსხვავება.

### შევარდნაძის შემცვლელი და... ღვთისნიერი ევროამერიკელები

მთავარია, გვერდი არ მექცეს და გორგალის ძაფი არ დავკარგო... შევარდნაძეზე ვსაუბრობთ, მაგრამ წამდაუწუმ სააკაშვილი გვეჩხირება თვალში, რადგან მეორე გამომდინარეობს პირველიდან...

შევარდნაძემ აანთო აფხაზეთი, მაგრამ სასურველი ბოლომდე ვერ მიიყვანა — ვერასგზით ვერ მოახერხა სამეგრელოს ტერიტორიაზე ხანგრძლივი, ნელად მომქმედი ომის კერა წარმოშობილიყო, კიდეც ილაშქრა, ჰხოცა, აწამა, შეურაცხჰყო, მაგრამ ზვიად გამსახურდიამ გაუგო ბნელი გეგმების ავტორებს და წინააღმდეგობა თავადვე ჩააცხრო.

სასურველი იყო აჭარისკენ წარმართვა ძალისხმევისა, მაგრამ ასლან აბაშიძემ ჩაკეტა იქაურობა და ცეცხლი ვერც იქ დაანთეს... აქეთ, ცხინვალის მისადგომებთან, ე.წ. ერგნეთის ბაზრობამ, რომელიც ოსების და ქართველების ძალისხმევამ დააფუძნა, კინაღამ მთლად არივ-დარია ბნელი წადილის პატრონთა ჩანაფიქრი.

ხალხმა შერიგება დაიწყო.

ჭრილობების მოშუშება ბუნებრივად წარიმართა.

საქართველოში იფეთქა ეკლესია-მონასტრების მშენებლობამ.

თვით შევარდნაძე თავის მომავალ ბედზეც ფიქრობდა. გარანტიებს ეძებდა. იქნებ საყვედურსაც ეუბნებოდა მალულად თავის პატრონებს — მეც ადამიანი ვარ, თან ვბერდები, სადმე ხომ უნდა დამედგომებოდეს, იფიქრეთო...

ჰოდა, იმათაც დაიწყეს ფიქრი შევარდნაძის შემცვლელზე.

შევარდნაძემ ჩამოაყალიბა მოქალაქეთა კავშირი, სადაც გააერთიანა ძველები, გამოცდილები და ჩამოათესლა საზღვარგარეთ ე.წ. რჯულშეცვლილთა, ახალგაზრდა რეფორმატორთა „ფრთა“.

ახლა, ისიც უნდა ითქვას, რომ ევროამერიკაში ყველა კი არ გახლავთ დემონური საწყისებისა და ყველა კი არ არის კაცობრიობის წინააღმდეგ ჩაფიქრებული შეთქმულების მონაწილე.

იქნებ დამაგვიანდა, მაგრამ თითქმის განცხადებაც კი მსურს, რომ ევროამერიკაში ასეულ-ათასობით, უფრო სწორად, მილიონობით ადამიანი, მიმაჩნია ჩემს მომხრედ და პირიქით, მე ვთვლი თავს მათ მომხრედ. ეს მილიონები რომ არა, სადღეისოდ მთლად უიმედო იქნებოდა ცხოვრება. სწორედ ამ ღვთისნიერი ადამიანების არსებობის გამოა, რომ საბოლოოდ არ გვსჯის მამაზეციერი.

შევარდნაძის გამყიდველურ, არაკაცურ, დემონურ ქმედებას, ევროამერიკიდანაც აკვირდებოდნენ და, რაღა თქმა უნდა, არ მოსწონდათ მისი საქმიანობა. სამაგალითოდ შემიძლია დაგისახელოთ ნიდერლანდების ჰელსინკის კავშირის გენერალური მდივანი, ადამიანის უფლებათა დამცველი, დოქტორ ბას ვან დერ პლასი.

გაზეთმა „რეზონანსმა“ (1998 წლის 7 ნოემბრის ნომერი) გამოაქვეყნა ინტერვიუ, სადაც ნიდერლანდელი დოქტორი მოგვითხრობს:

„... დაახლოებით ოთხი წლის წინათ ჰოლანდიაში შევხვდი პირველ ქართველს, რადგანაც ბანაკში გერმანულ ენას ვასწავლიდი. თქვენი ქვეყნისადმი სიყვარულიც ამ დროიდან ჩამესახა. აქედან დავიწყე საქართველოსთვის მუშაობა. სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ დიდი დეზინფორმაცია გავრცელდა დასავლეთში, რომელიც ზვიად გამსახურდიას შეეხებოდა. დავინტერესდი, გამეგო რეალური სიტუაცია... მინდა გითხრათ, რომ ქართველი ლტოლვილები ჩემს ქვეყანაში ცუდ მდგომარეობაში არიან... 10 წლის წინათ ვიმყოფებოდი ბუხენვალდში. მინდა ვთქვა, რომ იქ არსებული საკონცენტრაციო ბანაკს ეს ბანაკები რაღაცით ჰგვანან. ჩემს ქვეყანაში ქართველ ლტოლვილებს უფრო მეტი პრობლემა აღმოაჩნდათ, ვიდრე თავიანთ სამშობლოში ჰქონდათ. იუსტიციის სამინისტრომ არ აღიარა ის რეალური პირობები, რომელიც საქართველოში არსებობდა, რადგან იგი ამ პირობების გასარკვევად ეკითხებოდა საქართველოს ხელისუფლებას (ანუ შევარდნაძეს! — ჯ.დ.). ამასთანავე, ჩვენი ქვეყნიდან საქართველოში იგზავნებოდნენ ექსპერტები, რომლებიც დადიოდნენ ღამის კლუბებში შევარდნაძის ქალიშვილს რომ ეკუთვნის. ცხოვრობდნენ მეტეხში და არასოდეს ყოფილან ქსანში, ორთაჭალაში, ავჭალაში. როდესაც უკან ბრუნდებოდნენ, ამბობდნენ, რომ თქვენთან თითქოს ყველაფერი რიგზე იყო. სინამდვილეში კი ასე არ არის. მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოში სახელმწიფო გადატრიალებასთან დაკავშირებით, დასავლეთის ქვეყნებს არანაირი პროტესტი არ გამოუთქვამთ. შევარდნაძე ყოველდღე იღებს მათ დელეგაციებს და ჰყიდის საქართველოს“.

ახლა ვნახოთ, მიწერილ პირად წერილში როგორ ამუნათებს კიდევ ერთი ღირსეული ევროამერიკელი ჯენ სტრეიქერი (არლინგტონის სასწავლო და კულტურული გაცვლის ორგანიზაციის პრეზიდენტი) ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ე.წ. მამა-ჯორჯ ბუშს (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №178, 1991 წ. 13 სექტემბერი):

„1991 წლის 21 აგვისტოს ჟურნალისტის მიერ დასმულ კითხვაზე საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მიერ გამოთქმულ მოსაზრებასთან დაკავშირებით, თქვენ ასე უპასუხეთ: „მე მგონია, რომ ეს არის კაცი, რომელიც ცოტა არ იყოს დინების საწინააღმდეგოდ მიცურავს“.

მე ვფიქრობ, რომ თქვენ ამ „დინებაში“ დემოკრატიულ რეფორმებს გულისხმობდით. ძალიან გთხოვთ, ყურადღება გაამახვილოთ შემდეგ ფაქტებზე:

1990 წლის 28 ოქტომბერს საბჭოთა კავშირში პირველად ჩატარდა მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნები საქართველოში, რომელსაც ესწრებოდა დამოუკიდებელი საერთაშორისო მეთვალყურეთა ჯგუფი.

1991 წლის 31 მარტს საქართველოში ჩატარდა დამოუკიდებლობის რეფერენდუმი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 90,8 პროცენტმა და ყველამ მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობას.

1991 წლის 26 მაისს საბჭოთა კავშირში პირველად ჩატარდა მრავალპარტიული, დემოკრატიული საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოში, რომელშიც გაიმარჯვა ზვიად გამსახურდიამ.

ამ არჩევნებსაც ესწრებოდნენ საერთაშორისო მეთვალყურენი. აქვე გთავაზობთ საყურადღებო დემოგრაფიულ ცნობას: საქართველოს მოსახლეობის 70 პროცენტს შეადგენენ ქართველები, ხოლო დანარჩენ 30 პროცენტს აფხაზები, სომხები, აზერბაიჯანელები, ბერძნები, ქურთები, ოსები, რუსები, უკრაინელები და სხვები. პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას, ეროვნებით ქართველს, ხმა მისცა მოსახლეობის 86,4 პროცენტმა, რაც ნიშნავს, რომ არაქართველებსაც სურდათ ეხილათ იგი თავის პრეზიდენტად.

4. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა უკვე მიიღო კონსტიტუციური კანონები, რომლებიც იცავს ეროვნულ უმცირესობის ეთნიკურ, კულტურულ და რელიგიურ უფლებებს.

ყველაზე უფრო მტკიცე რეფორმები საბჭოთა კავშირში დაიწყო და ხორციელდება სწორედ საქართველოში. მაშ, რომელ დინების წინააღმდეგ მიცურავს პრეზიდენტი გამსახურდია? მას მხარს უჭერს საქართველოს მოსახლეობა, ქართველი თუ არაქართველი. ის ებრძვის კომუნიზმს 16 წლის ასაკიდან, დაპატიმრებული, დევნილი იყო თავისუფლებისა და დემოკრატიის იდეალებისადმი ერთგულების გამო.

ამერიკის შეერთებული შტატებიდან ყოველგვარი დახმარების გარეშე იგი დაუღალავად იბრძოდა საქართველოში ნამდვილი დემოკრატიული, კონსტიტუციური რეფორმების გატარებისათვის.

მოგახსენებთ, რომ საქართველოს არა აქვს ბალტიისპირეთის მსგავსი, განსაკუთრებული სტატუსი. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებმა, საქართველოს პარლამენტმა და პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ ფაქტობრივად მარტოდმარტო განახორციელეს ეს რეფორმები.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# ჩემი 85 წლის მეგობარი

ერთი კარგი მეგობარი მყავს – ყოველ ოთხშაბათს მირეკავს, „საერთო გაზეთის“ ახალ ნომერს დაწვრილებით მიმოიხილავს და ფრიად გონივრული რჩევა-დარიგებებსაც მაძლევს ხოლმე.

ზოგჯერ რჩევა-დარიგებებითაც არ კმაყოფილდება და ისეთ საინტერესო თემას შემომიგდებს, გაოცებული ვრჩები.

2 ოქტომბერს მირეკავს და მეუბნება: „სისხლით სავსე კოკა არჩევნების გზაზე გატყდა“.



– შესანიშნავი ფრაზაა! ბრწყინვალეა! შეიძლება გამოვიყენო? – ვეკითხები.

– კი, ბატონო, მიჩუქნია! – მპასუხობს ჩემი მეგობარი.

„საერთო გაზეთის“ ახალ ნომერში იბეჭდება წერილი სათაურით – „სისხლით სავსე კოკა არჩევნების გზაზე გატყდა“.

საოცარი კაცია ეს ჩემი მეგობარი – ყველაფრის საქმის კურსშია, ქვეყნისთვის საჭირბოროტო ყველა პრობლემა აფორიაქებს და სტკივა.

მისი ცხოვრება ნიმუშია იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი მოქალაქე და როგორ უნდა აზროვნებდეს, როგორ უნდა მოქმედებდეს თავისი ქვეყნის სასიკეთოდ.

– მეგობარი ვის არ ჰყოლია... კარგი ადამიანი და კარგი მოქალაქეც ბევრია... რას გვეტრაბახება ეს კაცი ამ თავისი მეგობრითო? – შეიძლება მისაყვედუროს ვინმემ.

კი, ბატონო, ბევრი კარგი ადამიანია ამ ქვეყანაზე, მაგრამ ჩემი მეგობარი მაინც განსაკუთრებული კაცია.

განსაკუთრებულია თუნდაც იმით, რომ ჩემი მეგობარი 85 წლისაა, თუმცა გონების სიმკვირცხლით და ჯანის სიმრთელით ბევრ ჯეელს ტოლს არ დაუდებს.

რამდენჯერაც ეს 85 წლის კაცი დამირეკავს და საუბარს გამიბამს, იმდენჯერ ჩემთვის გავიფიქრებ – ეს 85 წლის ადამიანი ასეთი ენერგიული რომ არის, 35-45-55 წლისანი რამ დააბერა და რამ დააჩაჩანაკა, ყველაფერი რომ ეზარებათ და ყველაფერი ფეხებზე რომ ჰკიდიათ-მეთქი?

როგორც ჩანს, სიყვარულია ის მთავარი მამოძრავებელი ძალა, რომელიც, მიუხედავად წლებისა, ადამიანს მოდუნების და მოშვების საშუალებას არ აძლევს.

ეს ჩემი 85 წლის მეგობარი სიყვარულით და სიკეთით სავსე კაცია, რომელსაც, სადაც კი უმუშავია, ყველგან სიყვარული და სიკეთე უთესია.

ბატონ **გიორგი ნაჭყებიაზე** გესაუბრებოდით, რომელსაც სულ ახლახან 85 წელი შეუსრულდა.

სულით და გულით ვულოცავთ ბატონ გიორგის ამ შესანიშნავ თარიღს და დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და სულის მხნეობას ვუსურვებთ.

**ვახტანგ ხარჩილავა**

# ალექსანდრე კოტორაშვილი - 70



ძნელად თუ მოიძებნება საქართველოში ადამიანი, ვისაც არ გაუგონია ალექსანდრე კოტორაშვილის სახელი. მისი ფოტოები ყველა ქართულ გამოცემაში იბეჭდება. მოღვაწეობა 50 წლის წინ დაიწყო გაზეთ „ლელოში“. დღესაც შენახული აქვს ის ფოტოაპარატი „ფედი“, რომლითაც ფეხი შეადგა ფოტოხელოვნებაში. ადრე, ძირითადად, სპორტულ ჟურნალისტიკაში მოღვაწეობდა, დღეს კი მის მიერ სხვადასხვა ჟანრში გადაღებული ფოტოები გამოირჩევა მაღალი გემოვნებით, პროფესიული ხედვით. „კოტორასთან“ (ასე ეძახიან შინაურულად) მუშაობა მართლაც დიდი სიამოვნებაა.

სანდრო მდიდარი ხელოვანია თავისი არქივით. ამ ფოტოხელოვანზე შეიძლება, დაუსრულებლად ისაუბრო. თავისი კეთილი ბუნებიდან გამომდინარე, უამრავი მეგობარი ჰყავს, მასზე აუგის მთქმელი ადამიანი არ მოიძებნება.

უყურებ ამ კეთილ, ენერგიით აღსავსე ადამიანს და ძნელი დასაჯერებელია, რომ იგი უკვე 70 წლის გახდა.

ალექსანდრე კოტორაშვილის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით „ქარვასლაში“ მისი ფოტოგამოფენა მოეწყო.

ვულოცავთ ალექსანდრე კოტორაშვილს დაბადების დღეს და ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებთ.





## რედაქციაში წერილი მოვიდა

# ოზურგეთის მოსახლეობა შეცდომებს აღარავის აპატიებს...

უპირველეს ყოვლისა, მინდა მივულოცო მთელ საქართველოს, რომ 2013 წელს შევხვდით ისე, რომ ჩვენი ქვეყანა გათავისუფლებულია ნაციონალური რეჟიმისგან. სამწუხაროდ, ამ რეჟიმის ნარჩენები ისევ ბოგინობენ, მაგრამ დიდი იმედი გვაქვს ყველას, იმედი მაქვს მეც, რომ მალე სრულიად გათავისუფლდება საქართველო მათგან.

სააკაშვილის პოლიტიკის გამაძლიერებელი გუბერნატორები, გამგებლები და მათი თანამოაზრეები წლების განმავლობაში შიშსა და სიძულვილს თესავდნენ მოსახლეობაში. დაშინებული ხალხი ბრმად უკრავდა ტაშს ნაციონალების მიერ დაგეგმილ ღონისძიებებს, იძულებით დადიოდნენ აქციებზე.

დღეს გურიის, კერძოდ, ოზურგეთის რაიონის მოსახლეობა უკმაყოფილოა იმით, რომ უცხო ხალხი ჩამოიყვანეს და მაღალ თანამდებობაზე დანიშნეს. ისინი არ იცნობენ რეგიონს, ხალხს და მათი ქმედებები ათასნაირ ეჭვს იწვევს. მაშინ, როცა გურიაში და კერძოდ, ოზურგეთში ღირსეული და პროფესიონალი კადრები საკმარისზე მეტია. ბატონი მერაბ აბაშმაძე, ვიქტორ გობრონიძე, ზურაბ ჩხაიძე ხალხში დაფასებული, საკუთარი საქმის მოყვარული ხალხია. მათ დიდი წვლილი შეიტანეს გურიაში „ქართული ოცნების“ გამარჯვებაში ოქტომბრის არჩევნებისას და ხალხი ფიქრობს, რომ ისინი უნდა მუშაობდნენ თავიანთი პროფესიით, რადგან მათი გამოცდილება საჭიროა დღეს.

სააკაშვილის მონა-მორჩილი გურიის გუბერნატორი, რომლის მიმართ სერიოზული გამოძიება უნდა ჩატარდეს, ძალისმიერი მეთოდებით ცდილობდა არჩევნებში ნაციონალების დეპუტატის გამარჯვებას. საარჩევნო კამპანია ფულზე, შიშზე და სიბინძურეზე ააგეს და ამიტომაც დამარცხდა ნაციონალების კანდიდატი ბატონ ზვიად კვაჭანტირაძესთან.

მეც, ჩემი მხრიდან, მცდელობა არ დამიკლია, რომ „ქართულ ოცნებას“ გაემარჯვა. პირადი ამბიციები გვერდზე გადავდე და ლანჩხუთის რაიონში დეპუტატობის კანდიდატის სტატუსი საკუთარი ნებით მოვხსენი თემურ ჩხაიძის სასარგებლოდ. ჩემს შემდეგ ყველა ჩემმა თანამებრძოლმა მოხსნა კანდიდატურები ოზურგეთსა და ჩოხატაურში.

ეს იყო სააკაშვილის პირსისხლიანი დიქტატურის დამარცხება, რომელიც საცეცებს დღესაც იქნევს. პირადად მე და ჩემი ოჯახი ვართ სააკაშვილის რეჟიმის მსხვერპლი...

დღეს ამაყად ვიხსენებ, როგორ ვიდექი ბატონი ბიძინა ივანიშვილის გვერდით ლანჩხუთში, სცენაზე. არასდროს დამავიწყდება ის თბილი სიტყვები, რაც ბიძინა ივანიშვილმა წარმოსთქვა ჩემი მისამართით.

ამ ადამიანის დამსახურებებზე ბევრს არ ვილაპარაკებ. ყველამ ვიცით, ვინც არის ის პიროვნება, ვინც თავისი სიტყვა კაცურად შეასრულა და ყველა ჩვენგანი, ჩვენი ოჯახები, საქართველოს მოსახლეობა დაიხსნა მიხეილ სააკაშვილისა და მისი ნაციონალურ-ფაშისტური მოძრაობის კლანჭებისგან.

**მინდია კეჭაყმაძე**

**„ქართული ოცნების“ აქტივისტი**

**ოზურგეთი**

# daviT (daTa) soselias xsovnas



დათა სოსელიას გარდაცვალება ენით აუწერელი უსამართლობაა, მზაკვრული განაჩენის შედეგია, გამჩენთან შეუთანხმებელი უთავბოლობაა.

მოულოდნელი უბედურება, რომელიც თავს დაგვატყდა – გამაოგნებელია.

წავიდა ჩვენგან ახალგაზრდა კაცი, უმაგალითო კეთილშობილებით და თავმდაბლობით გამორჩეული, ასევე დიდად განსწავლული და, რაც ჩვენთვის უმთავრესი იყო, ქართველი მწერლების თავგამოდებული ქომაგი.

უანგარიშოდ, გულუხვად გასცემდა საბოძვარს, ყოველგვარი სათვალავის და სანაცვლოს გარეშე... ბოლოჟამ ნათხოვარი წიგნიც კი არ დამიბრუნებია მისთვის.

დათას ოჯახსაც შეეხო ოცდაათიანი წლების მონაგვანი თანადროული რეპრესიები – ხანში შესული, ჯანმოშლილი მამა დაუპატიმრეს. ამან რამდენადმე შეცვალა მისი უშფოთველი ხასიათი, გულჩახვეულობა დაეტყო, თუმცაღა გაბოროტების ოდნავი წუნწიც კი არასოდეს შეხებია, მოთმინებით, იმედიანად უდარაჯებდა მომავალს.

და სწორედ ამგვარი დროების მოწევისთანავე შეუწყდა ამქვეყნიური სიცოცხლე დათას, დასრულდა მისი სამუშაო–საძიებელი, მოეხსნა დარდი და მიეთვალა მარადისობას.

დათას გარდაცვალებამ დაგვაბნია და უზომოდ დაგვამწუხრა მისი ახლობლები, დიდად შეგვაფერხა იმ ნატვრის აცხადებაში, რომელიც მალე ერთად უნდა გვეზეიმა.

**საქართველოს მწერალთა კავშირის**

**სამეგრელო–ზემო სვანეთის ორგანიზაციის სახელით**

**შუკო ჯიქია**

**„სერთო გაზეთის“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ბატონ გივი სოსელიას შვილის**

**დავით (დათა) სოსელიას**

**გარდაცვალების გამო.**



# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია



***„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი***
***მთვარისა კევლიშვილი.***
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

**- ვარ ბრალდებული თაღლითობის მუხლით. მეხება თუ არა ამნისტია?**

- ამნისტია გეხებათ იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებული ოფიციალურად დააფიქსირებს პოზიციას, რომ არა აქვს თქვენს მიმართ პრეტენზია.

* * *

**- ჩემმა ახლობელმა მოიკლა თავი. ის დაზღვეული იყო ერთ-ერთ სადაზღვევო კომპანიაში. მიიღებს თუ არა ოჯახი სადაზღვევო თანხებს?**

—არა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 850-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სიცოცხლის დაზღვევისას მზღვეველი თავისუფლდება თავისი მოვალეობისაგან, თუ პირი, რომლის სიცოცხლეც დაზღვეული იყო, თავს მოიკლავს.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, დამზღვევის მემკვიდრეს უფლება აქვს, მოითხოვოს გადახდილი სადაზღვევო შესატანების დაბრუნება.

* * *

**- ვინ არიან ანდერძის დადასტურებისას ნოტარიუსთან გათანაბრებული პირები?**

- სამოქალაქო კოდექსისი 1359 მუხლის მიხედვით, ანდერძის დადასტურებისას ნოტარიუსთან გათანაბრებულები არიან:

1. საავადმყოფოს, ჰოსპიტლისა და სხვა სამკურნალო დაწესებულების, სანატორიუმის მთავარი ექიმი, უფროსი, მათი მოადგილე სამედიცინო ნაწილში, მორიგე ექიმი, მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლის დირექტორი ან მთავარი ექიმი, თუ მოანდერძე ამ დაწესებულებაში მკურნალობს ან ცხოვრობს;

2. საძიებო, გეოგრაფიული და სხვა მსგავსი ექსპედიციის უფროსი, თუ მოანდერძე ასეთ ექსპედიციაში იმყოფება;

3.გემის კაპიტანი ან საჰაერო ხომალდის მეთაური, თუ მოანდერძე გემზე ან საჰაერო ხომალდზე იმყოფება;

4.სამხედრ ნაწილის, შენაერთის, დაწესებულებისა და სასწავლებლის მეთაური /უფროსი/, თუ სამხედრო ნაწილების დისლოკაციის პუნქტში ნოტარიუსი არ არის და თუ მოანდერძე სამხედრო მოსამსახურე ან სამხედრო ნაწილში მომსახურე სამოქალაქო პირი ან მათი ოჯახის წევრია;

5. პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორი, თუ მოანდერძე პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში იმყოფება.

* * *

**- რას ნიშნავს სოლიდარული მოვალეები?**

- სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლის მიხედვით, თუ რამდენიმე პირს ევალება ვალდებულების შესრულება ისე რომ თითოეულმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში /სოლიდარული ვალდებულება/, ხოლო კრედიტორს აქვს შესრულების მხოლოდ ერთჯერადი მოთხოვნის უფლება, მაშინ ისინი წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს.

* * *

**- შეიძლება თუ არა სესხის ხელშეკრულების ზეპირად დადება?**

- შეიძლება.

სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლის მიხედვით, სესხის ხელშეკრულება იდება ზეპირად. მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს წერილობითი ფორმაც.

ჩემი, როგორც იურისტის რჩევაა, სესხის ხელშეკრულებას ყოველთვის მისცეთ წერილობითი ფორმა, რადგან სამომავლოდ, დავის შემთხვევაში მას მიენიჭება უპირატესი იურიდიული ძალა. ზემოთ ხსენებული მუხლის მიხედვით, ზეპირი ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით. ხოლო როცა არსებობს წერილობითი ხელშეკრულება, მას უკვე ენიჭება უპირველესი მტკიცებულებითი ძალა.

* * *

**- ისჯება თუ არა პირი დანაშაულის მომზადებისთვის?**

- სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი



პასუხისმგებლობა დაწესებულია მხოლოდ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების მომზადებისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაკლებად მძიმე დანაშაულის მომზადება არ არის სისხლის სამართლებრივი წესით დასჯადი ქმედება.

* * *

**- რას ნიშნავს დანაშაულის რეციდივი?**

-სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, დანაშაულის რეციდივი ნიშნავს წინათ განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენას.

დანაშაულის რეციდივის დადგენისას მხედველობაში არ მიიღება ნასამართლობა თვრამეტ წლამდე ჩადენილი დანაშაულისათვის, აგრეთვე, ნასამართლობა, რომელიც მოხსნილია კანონით დადგენილი წესით.

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

# `aqtrisa~ Ciora



„აქტრისა“ ჩიორა ლოგინს „მიჯაჭვული“ დახვდა მაღალი რანგის ევროპიელ სტუმარს — ნახეთ, რა მიქნეს „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმაო.

აქტრისა ჩიორა ვარდივით ღუღდა ვარდისფერ საბანში და შეუძლოდ ყოფნისა არაფერი ეტყობოდა, მაგრამ სტუმარმა, როგორც ეს ჯენტლმენს შეჰფერის, მაინც გამოჯანმრთელება უსურვა.

გამოსაჯანმრთელებელი რა სჭირს ჩიორას — ჩიტივითაა, მაგრამ რადგან პარტიის ინტერესები ასე მოითხოვს, ინებივრებს ცოტა ხანს ლოგინში.

როგორც „პროვიზორმა“ ოდიშვილმა განაცხადა, ვანო მერაბიშვილს, „ნაცმოძრაობის“ თავკაცს, ჩიორასთვის შეუთვლია: — არ გაბედო ადგომა, პარტიას შენ ლოგინში სჭირდებიო.

ჰოდა, წევს ესეც ლოგინში. საერთაშორისო თანამეგობრობა კი ახალ დელეგაციას აგზავნის ტვინშერყეულის მოსანახულებლად და თანაგრძნობის გამოსახატავად.

# სააკაშვილი „პრეზიდენტად“ საერთაშორისო თანამეგობრობამ ათი თვით დაგვინიშნა

საერთაშორისო თანამეგობრობამ მოქალაქე მიხეილ სააკაშვილი ათი თვით (ოქტომბრამდე) საქართველოს პრეზიდენტად დაგვინიშნა.

დიახ, საერთაშორისო თანამეგობრობამ დაგვინიშნა პრეზიდენტად მოქალაქე სააკაშვილი და დანიშვნას ინსტრუქციაც მოაყოლა: — კეთილი ინებეთ და ჩემს დანიშნულს ზედმეტი სიტყვა არ უთხრათ, ითანამშრომლეთ და იმეგობრეთო.



— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ დემოკრატიულ ქვეყანაში, სადაც კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტი ხალხმა უნდა აირჩიოს, რატომ გვინიშნავს ეს პატივცემული საერთაშორისო თანამეგობრობა პრეზიდენტად ვადაგასულ პრეზიდენტს? — კითხულობენ ვიღაც-ვიღაცები.

— დემოკრატია გინდებლარიენ? ნამეტანი კაი რაღაც მოგდომებიათ თქვენ, მაგრამ დემოკრატიაზე ფიქრი თქვენთვის ჯერჯერობით ადრეა. რასაც ჩვენ გეტყვით, იმას შეასრულებთ. არ შეასრულებთ და თქვენი აჯობებს — შემოუთვლიათ საერთაშორისო თანამეგობრობის პოლიტბიუროდან და ზედ ასეთი მუქარაც მოუყოლებიათ — თუ ჭკუით არ იქნებით, ოქტომბერში სააკაშვილის ნაცვლად მერაბიშვილს დაგინიშნავთ პრეზიდენტად, ან გივია თარგამაძეს, ან ხათუნა გოგორიშვილს. ბალანსი ხომ უნდა დავიცვათ — ერთ მხარეს „ქართული ოცნება“, მის საპირწონედ „ნაცმოძრაობა“ და „ნაციონალი“ პრეზიდენტი უნდა იყოს, თუ გინდათ, რომ წონასწორობა არ დაირღვესო.

ოქტომბრამდე თუ მივატანეთ, იზამენ ამას, აი, ნახავთ, თუ არ იზამენ...

აი, მაშინ ნახეთ თქვენ კოაბიტაცია, ფრიად შესარგი და ამო, როგორც ხორცისთვის, ისე სულისთვის.

# თავბრუსხვევა

... თითქოს გემზე ვარ, არც აფრა აქვს ამ გემს, არც ნიჩბოსნები ჩანან სადმე... ტრიალებს, ბზრიალებს ეს საწყალი უაფრო გემი უზარმაზარ ტალღებში და თუ ასე გაგრძელდება, მალე ფსკერისკენ წავა...

თავბრუსხვევები დამჩემდა ბოლო ხანს, თავბრუსხვევა და გულისრევის შეგრძნება.

თითქოს გემზე ვარ — ერთი ტალღა მარცხნიდან რომ დამარტყამს, მარჯვენა მხარეს წავქანდები, მეორე მარჯვნიდან მგლიჯავს და მარცხნივ წავბარბაცდები. ვარ ასე ყანყალსა და თავბრუსხვევაში — გული მერევა, თვალები მიბნელდება, სმენა მეხშობა.

მეგონა, პირველი ოქტომბრის შემდეგ მეშველებოდა და ამ დროს უარეს დღეში ჩავვარდი.

ზღვის ავადმყოფობა ჰქვია თურმე ამას, მაგრამ ზღვაში არ ვარ, ხმელეთზე ვდგავარ და ეს ზღვის ავადმყოფობა საიდან შემომეჩვია, არ ვიცი.

განსაკუთრებით სიტყვა კოაბიტაციაზე მერევა გული და კიდევ იმაზე, ამ შარაგზის ყაჩაღებს, ბანდიტებს და მეკობრეებს ენას რომ უჩლექქენ მავანნი და მავანნი — დავსხდეთ და მოვილაპარაკოთ! დავსხდეთ და მოვრიგდეთ! ერთი სამშობლო გვაქვს და ამ სამშობლოს ხათრით რაღაც-რაღაცები დავუთმოთ ერთმანეთსო.



კი, ბატონო, მოილაპარაკეთ, მორიგდით, შერიგდით, მაგრამ მე და ჩემსავით ათასობით და ასიათასობით ადამიანს გული რომ ერევა, ამას რა ვუყოთ?

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

## ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** — თავშეკავება გმართებთ, თორემ დაპირისპირება გარდაუვალია. მოთმინება მალე სასურველ ნაყოფს გამოიღებს.

**კურო** — უჩვეულო სიახლეებმა არ შეგაშფოთოთ. ეს კვირა მეტად დაძაბული, მრავალფეროვანი და ემოციური უნდა იყოს. გულს ნუ გაიტეხთ ყოველდღიურობაზე ფიქრით, ცუდი არაფერი გელით.

**ტყუპები** — ამ კვირაში ერთ-ერთი ახლობელი დაგიკავშირდებათ და შესაძლებელია, რაიმე საქმეში თანამონაწილეობა შემოგთავაზოთ. ფრთხილად იყავით, ბრმად არ ენდოთ, თორემ ინანებთ.

**კირჩხიბი** — უხეში გამონათქვამებისგან თავი შეიკავეთ. უპირატესობა მიანიჭეთ იმ მოსაზრებებს, რომლებიც კომპრომისებზეა აგებული.

**ლომი** — მოულოდნელად საინტერესო ატმოსფეროში მოხვდებით და იმხიარულებთ, ოღონდ, გახსოვდეთ ერთი რამ — ღირსეულად მოიქეცით, თორემ ჭორები არ აგცდებათ.

**ქალწული** — სახლში ნაკლები პრობლემები შეგექმნებათ. ნუ იქნებით ზედმეტად თვითდაჯერებული. გირჩევნიათ, ზოგიერთ მომენტს ეჭვით შეხედოთ.

**სასწორი** — ერთ-ერთი ახლობლის ინიციატივას მხარს თუ აუბამთ და პროცესებში ჩაერთვებით, საკუთარ შესაძლებლობებში იოლად დარწმუნდებით. ამ კვირაში პირადი პრობლემების მოსაგვარებლად ნაკლები დრო დაგრჩებათ.

**მორიელი** — ადვილი შესაძლებელია, ქალაქიდან გაემგზავროთ. გექნებათ საქმიანი მოლაპარაკებები და შეხვედრები. თქვენი მომავალი პროგრესით წარიმართება. გელით სიხარული. ამიტომ შეგიძლიათ თავს უფლება მისცეთ და პირადი საქმეები მოაგვაროთ.

**მშვილდოსანი** — კვირის პირველ ნახევარში სერიოზულ დაბრკოლებებს წააწყდებით, მაგრამ ოთხშაბათიდან ყველაფერი მოგვარდება. ახლობლებს და თანამშრომლებს თავაზიანად მოეპყარით.

**თხის რქა** — ინტერესების ახალი სფერო გაგიჩნდებათ, შესაძლოა, რამდენიმე დღეში გამგზავრება მოგიწიოთ. საკუთარი საქციელით კმაყოფილი დარჩებით. მოთმინება იქონიეთ. ოჯახსა და სამსახურში ახალი საზრუნავი და თავსატეხი გაგიჩნდებათ.

**მერწყული** — თანდაყოლილი შინაგანი შარმი და მომხიბვლელობა პარტნიორულ ურთიერთობებში ახალ-ახალ წარმატებებს მოგიტანთ. ადვილი შესაძლებელია, მომავალ კვირას მნიშვნელოვანი პრობლემების ნაწილი დაძლიოთ.

**თევზები** — სერიოზული და მეტად მნიშვნელოვანი არჩევნის წინაშე აღმოჩნდებით. გარკვეული პიროვნებები საკუთარი პოზიციების გასამყარებლად თქვენ დაგეყრდნობიან, შემდეგ მოვლენები თქვენს სასიკეთოდ წარიმართება.

**სკანვორდის პასუხები:**

1.შარპეი. 2. ჩეჩნეთი. 3. ჩახრუხაძე. 4. ჩეპმენი. 5. ოაზისი. 6. თაკილი. 7. ორშიმო. 8. პოლკა. 9. კაროლი. 10. სისლეი. 11. ნახშირი. 12. ბეკჰემი. 13. დიაფრაგმა. 14. ხუბუა. 15. ბატიბუტი. 16. სინაი. 17. მუხლი. 18. ოფსეტი. 19. ფლაკონი. 20. ფიტი. 21. ჩოკინა. 22. ფიბა. 23. ბუხარი. 24. ალფ. 25. ბიგამია. 26. პადედე. 27. გრანიტი. 28. სონეტი. 29. გენეტიკა. 30. არაბიკა. 31. ჯოდი. 32. სირენა. 33. სიგი. 34. ნეფრიტი. 35. რობერტ. 36. უნიტაზი. 37. სარფი. 38. ონკანი. 39. გლობუსი. 40. ბუკი. 41. გიდელი. 42. ორაგული. 43. კობრა. 44. ოპერატორი. 45. ელზასი. 46. მეტიუზი. 47. ალექსანდრია. 48. ბრატისლავა. 49. ფრონტი. 50. ტემზა. 51. ფიგარო. 52. ისპანახი. 53. კუზენი. 54. კიფოზი. 55. ამულეტი. 56. სიროკო. 57. უმა. 58. კურო. 59. ზარი. 60. სირ. 61. ტროფეი. 62. კაბალა. 63. ედემი. 64. მონო. 65. ყრუ. 66. დეკა. 67. ხარო. 68. ჰუკი. 69. პორტრეტი. 70. შაორი.